ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

20 ივნისიდან
„ახალი თაობა“+
ჯუზეპე ვერდი
8 ლარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოთხშაბათი, 27 ივნისი, 2012 №151 (5841) ფასი: 30 თეთრი

სისხლიანი ინციდენტი გორში

გვ.3

მერეთში ივანიშვილისა და ალასანიას სტუმრობა შეხლა-შემოხლით დასრულდა

გვ.5

გელა ნიკოლეიშვილი: „გასულ წელს 140 პატიმარი დაიღუპა“



გვ.4

ბენდუქიძის დანაშაულებრივი რეფორმა ქვეყანას ძვირად უჯდება

საქართველოში მახინჯი საბანკო სისტემაა

იუსტიციის სამინისტროსთან აქცია – „მატყუარა პროკურორები“ გაიმართა

გვ.6

„კონსტიტუციის 42-ე მუხლმა“ წამების მსხვერპლთა მხარდასაჭერი აქცია გამართა

გვ.6

ნახუნაოს, კურზუნისა და მედანის სკოლები სავალალო დღეშია

გვ.2



გიორგი ტუღუში შოთა თოლორდავას პატიმრების წამებაში ადანაშაულებს

გვ.7

გვ.2

კახა კუკავა ხელისუფლებას აფრთხილებს

ISSN 1987-9385

2 ერთიან ეროვნულ გამოცდებზე კომპეტენციის ზღვარი შეიცვალა

3 „ივანიშვილის საქართველოში არსებული ქონება ჯარიმის თანხას ვერ უზრუნველყოფს“

2 რუსთავში გველმა 30 წლის მამაკაცი დაგესლა

4 კვეოფილიით დაავადებული 27 ადამიანი მკურნალობის კურსს წყალტუბოში გაივლის

კახა კუკავა ხელისუფლებას აფრთხილებს

ნათია ხურცილავა

„თავისუფალი საქართველოს“ ლიდერის, კახა კუკავას განცხადებით, მისი პარტიის კახეთის რეგიონის ხელმძღვანელს დაკავებას უპირებენ.

გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე კუკავამ განაცხადა, რომ აღნიშნულთან დაკავშირებით ის საქმის კურსში ჩააყენებს საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატებს და საერთაშორისო ორგანიზაციებს.

კახა კუკავა აცხადებს, რომ მან პრესკონფერენციით მისი თანაპარტიელის შესაძლო დაკავების შესახებ პრევენციული ღონისძიება ჩაატარა.

კუკავა აცხადებს, რომ გოგიტა მოსიშვილი „თავისუფალი საქართველოს“ ერთ-ერთი აქტიური წევრია და თავის ოპოზიციურ შეხედულებებსაც ხშირად აფიქსირებს, რაც, კუკავას განცხადებით, ხელისუფლების გაღიზიანებას იწვევს.

კახა კუკავამ პრესკონფერენციაზე საერთაშორისო ორგანიზაციებს მოუწოდა, რომ თუ ინფორმაცია დადასტურდება და მოსიაშვილს მართლაც დააკავებენ, იმ შემთხვევაში აღნიშნული საქმით დაინტერესდნენ და ფაქტს პოლიტიკური დევნის შეფასება მისცენ.

„თავისუფალი საქართველოს“ ლიდერმა პრესკონფერენციაზე აღნიშნა, რომ მან განცხადება ოპერატიულ ინფორმაციაზე დაყრდნობით გააკეთა.

როგორ მოიპოვა კუკავამ აღნიშნული ინფორმაცია, არ დაუკონკრეტებია. საიდან აქვს კუკავას ოპერატიული ინფორმაცია და რამდენად რეალური შეიძლება იყოს, უცნობია. თუმცა, „თავისუფალი საქართველოს“ კახეთის რეგიონალური ორგანიზაციის ხელმძღვანელს, შესაძლოა, ბრალი იარაღის უკანონოდ შენახვა-ტარების ბრალდებით წაეყენოს.

– ჩვენ ვფლობთ ოპერატიულ ინფორმაციას იმის თაობაზე, რომ ხელისუფლება, შინაგან საქმეთა სამინისტრო აპირებს „თავისუფალი საქართველოს“ კახეთის ორგანიზაციის თავმჯდომარის, გიორგი მოსიაშვილის დაპატიმრებას, დაკავებას. სავარაუდოდ, ბრალდება იქნება უკანონო იარაღის შენახვა– ტარების ბრალდებით, – განაცხადა კახა კუკავამ.

კახა კუკავა პოლიტიკურ რეპრესიებზე საუბრობს. მისი განცხადებით, ეს არის ხელისუფლების გაფრთხილება, რომ მას და მის პარტიას მიეცეს შესაძლებლობა, რომ თავისუფალ რეჟიმში აწარმოოს თავისი პოლიტიკური შეხედულებების გავრცელება და ლობირება. წინააღმდეგ შემთხვევაში „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერი არ გამორიცხავს, რომ ამ ყველაფერმა შეუქცევადი პროცესი მიიღოს.

კუკავას განცხადებით, თუ ზაფხულა დაფიქსირდება და მის თანაპარტიელს დააპატიმრებენ, მაშინ ის საერთაშორისო ორგანიზაციებს და საქართველოში აკრედიტებულ ელჩებს შეხვდება და დეტალურად მიაწვდის ინფორმაციას, რათა მათ სწორი და ადეკვატური შეფასებები გააკეთონ.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, კუკავა, გიორგი მოსიაშვილის დაპატიმრების შემთხვევაში, დიპლომატებისგან პოლიტიკური რეპრესიების განხორციელების შეფასებას მოსთხოვს.

– ჩვენ ვაფრთხილებთ ხელისუფლებას, რომ გიორგი მოსიაშვილის დაკავება თუ მოხდა, ეს იქნება განხილული, როგორც პოლიტიკური რეპრესიის ფაქტი. საერთაშორისო ორგანიზაციებს ვთხოვთ, რომ აღნიშნული ფაქტი მხედველობაში წინასწარ მიიღონ, – განაცხადა კახა კუკავამ.

ნახუნაოს, კურზუნისა და მედანის სკოლები სავალალო დღეშია

ნათია ხურცილავა

„ახალი მემარჯვენეები“ განაგრძობენ საქართველოს სხვადასხვა რაიონსა და სოფელში სიარულს. „ახლების“ ერთ-ერთმა ლიდერმა მანანა ნაჭყებიამ ამჯერად დასავლეთ საქართველოს, კერძოდ, სამეგრელოს რაიონში არსებულ სკოლების მდგომარეობაზე ისაუბრა.

მარტვილის რაიონის სოფლებში, კურზუში, ნახუნაოსა და მედანში სკოლები, ნაჭყებიას განცხადებით სავალალო მდგომარეობაშია. აღნიშნული სოფლების სკოლებში მოსწავლეების სიარული სრულიად შეუძლებელია, რადგან სკოლების ნაცვლად, შეიძლება ითქვას, რომ იქ ბოსელია.

„მემარჯვენეების“ განცხადებით, სოფლებში საჯარო სკოლების დიდი ნაწილი უმძიმეს მდგომარეობაშია.

ნაჭყებიას განცხადებით, ხელისუფლების „წარმატებულ რეფორმებში“ ერთ-ერთი მოწინავე ადგილს განათლების რეფორმა და საჯარო სკოლების თითქოს ბევრად გაუმჯობესებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა იკავებს.

მანანა ნაჭყებიას თქმით, „ახალი მემარჯვენეების“ ფართომასშტაბიანმა აქციამ საქართველოს სოფლებში აჩვენა, რომ რეალობა სულ სხვაა.

– საქართველოს პრაქტიკულად ყველა რეგიონის სოფლებში საჯარო სკოლების მდგომარეობა უმძიმესია. მათი ნაწილის გამოყენება სასწავლო დანიშნულებით საშიშია უსაფრთხოების თვალსაზრისით. წარმოუდგენელია იქ ბავშვმა განათლება მიიღოს, – აღნიშნა ნაჭყებიამ.

„ახლების“ ერთ-ერთი ლიდერი აცხადებს, რომ მას ხელთ აქვს სოფლებში გადაღებული ფოტოები. მისი თქმით, ფოტოებს კომენტარი არ სჭირდება. ამ ფოტოებზე სწორედ ის რეალობაა ასახული, რაც ადგილზეა.

– ფოტოებს კომენტარი არ სჭირდება. თუ ვინმეს მაინც დაებადება კითხვა და გაუჩნდება ეჭვი, რომ ეს სკოლების შენობებია, მინდა ვუთხრა, რომ ეს მართლაც სკოლების შენობებია მარტვილის, წალენჯიხის, ჩოხატაურის, ხაშურის რაიონებში, რომლებსაც, როგორც თვითონ სოფლების მცხოვრებნი ამბობენ, თავმოყვარე ადამიანი საქონლის დასაბინავებლადაც არ გამოიყენებს. ამის მიხედვით ერთი დასკვნის გაკეთება შეიძლება – სოფელი და მისი სკოლა ამ ხელისუფლებისთვის პრიორიტეტი არ არის, – განაცხადა პრესკონფერენციაზე მანანა ნაჭყებიამ.

ნაჭყებიას განცხადებით, „ახალ მემარჯვენეებს“ ეჭვი აქვთ, რომ განათლების სამინისტრო ამ შენობების შეკეთებას არც აპირებს და მისი სტრატეგია ასეთია: მატერიალურ-ტექნიკური მდგომარეობის საბაბით ამ სკოლებს დახურვა ემუქრებათ, ისე, როგორც უკვე დაიხურა ბევრი სკოლა საქართველოს რაიონებში და ბავშვებს რამდენიმე კილომეტრზე ფეხით უწევთ სიარული.

ნაჭყებიას განცხადებით, კანონის თანახმად, უკვე დაწყებული უნდა იყოს 2013 წლის ბიუჯეტზე მუშაობის პროცესი და საქართველოს მთავრობამ მინიმუმ უნდა გააორმაგოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებისთვის გამოყოფილი თანხები.

– სირცხვილია, 21-ე საუკუნის საქართველოში ასეთი სკოლების არსებობა. დანაშაულია, ბავშვები აიძულონ ან ასეთ სკოლებში ისწავლონ, ან სკოლამდე რამდენიმე კილომეტრიც ფეხით იარონ. რაც „ახალმა მემარჯვენეებმა“ სოფლებში სიარული დავიწყეთ, „ნაციონალური მოძრაობაც“ აყვა ამ კამპანიას და თვითონაც დადიან ბევრ სოფელში. მინდა შევთავაზო მათ – მოგანვდით ამ სოფლების ჩამონათვალს და თქვენი თვალით ნახეთ სკოლების მდგომარეობა, – განაცხადა მანანა ნაჭყებიამ.

„ახალი მემარჯვენეების“ წარმომადგენელი მანანა ნაჭყებია აცხადებს, რომ ხელისუფლების განათლების პოლიტიკა მათთვის მიუღებელია.

„ახალი მემარჯვენეები“ პირობას დებენ, რომ მათი პრიორიტეტი განათლების პოლიტიკაში, განათლების დაფინანსება იქნება.

ასევე ისინი აცხადებენ, რომ სკოლაში დააბრუნებენ არა მხოლოდ ბავშვს, არამედ, პირველ რიგში, განათლებას. გაორმაგებენ განათლების სისტემის დაფინანსებას და მსგავსი პრობლემები არ იქნება მოსწავლეებისთვის.

ერთიან ეროვნულ გამოცდებზე კომპეტენციის ზღვარი შეიცვალა

წელს აბიტურიენტებს ერთიან ეროვნულ გამოცდებზე სამ ძირითად საგანში განსხვავებული კომპეტენციის ზღვარის გადალახვა მოუწევთ.

მინიმალური კომპეტენციის ზღვარი იმ აბიტურიენტებისთვის, რომლებიც სამედიცინო და იურიდიულ ფაკულტეტებზე აბარებენ, 10 პროცენტით გაიზარდა. თუ აბიტურიენტებს ერთიანი ეროვნული გამოცდების დროს სამ ძირითად საგანში, თითოეულში ცალ-ცალკე 25– პროცენტიანი ზღვარი უნდა გადაელახა, წელს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 35 პროცენტამდე გაიზარდა. უცხო ენაში კი აბიტურიენტებს 30– პროცენტიანი ზღვარის გადალახვა მოუწევთ.

გამოცდების ეროვნულ ცენტრში განმარტავენ, რომ ცვლილების მიზეზი, მხოლოდ და მხოლოდ, ამ პროფესიებზე მზარდი მოთხოვნა გახდა. ამ გზით ცენტრი ეცდება ახალგაზრდებს შორის კონკურენცია გაზარდოს და მოთხოვნად პროფესიებზე მხოლოდ საუკეთესოები ჩაირიცხონ.

„მინიმალური კომპეტენციის ზღვარი ყველა საგანში დარჩა 25 პროცენტს პლუს ერთი, ხოლო უცხო ენებში დარჩა 20 პროცენტს პლუს ერთი, მაგრამ ეს კომპეტენციების ზღვარი შედარებით გაზრდილია, მხოლოდ მომავალი იურისტების, მედიკოსების, ფარმაცევტებისა და სტომატოლოგებისათვის. იურიდიული და სამედიცინო ტრადიციულად იყო მოთხოვნადი ფაკულტეტები და ჩვენი მიზანი იყო, რომ უფრო მოტივირებულ ბავშვებს მიეღოთ ამ კონკურსში მონაწილეობა“, – განაცხადა გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორმა ხატია დეკანოიძემ.

შეგახსენებთ, რომ ერთიანი ეროვნული გამოცდები ხვალ იწყება.

მედიანიუსი

შიდსით 40 წლის მამაკაცი გარდაიცვალა

საქართველოში შიდსით 40 წლის მამაკაცი გარდაიცვალა. პაციენტი ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო ცენტრში ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო მოათავსეს.

დაგვიანებული დიაგნოსტიკის გამო მისი გადარჩენა ვეღარ მოხერხდა. მას აივ– ვირუსთან ერთად ღვიძლის დაავადებაც აღენიშნებოდა.

მედიანიუსი

სასამართლომ ცოლის მკვლელობაში ბრალდებულს 14 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა

თბილისის საქალაქო სასამართლომ თბილისში, 2012 წლის იანვარში მომხდარი მკვლელობის საქმეზე, რომლის დროსაც 35 წლის ლაშა შურღაიამ 33 წლის მეუღლე, მაია ჩილაჩავა მოკლა, საბოლოო ვერდიქტი გამოიტანა, რომლის თანახმადაც, ლაშა შურღაიას 14 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.

აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით თბილისის საქალაქო სასამართლოში სპეციალური განცხადება სპიკერ-მოსამართლემ ეკა არეშიძემ გააკეთა.

„თბილისის საქალაქო სასამართლომ დაასრულა სისხლის სამართლის საქმის განხილვა მაია ჩილაჩავას განზრახ მკვლელობის ფაქტზე ბრალდებულ, ლაშა შურღაიას მიმართ. მეუღლის მკვლელობაში ბრალდებული ლაშა შურღაია თბილისის საქალაქო სასამართლომ დამნაშავედ სცნო და მის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენი გამოიტანა. თბილისის საქალაქო სასამართლომ შურღაიას სასჯელის ზომად 14 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა“-აღნიშნა მოსამართლემ.

მკვლელობის მოტივად შურღაიას მიერ ნარკოტიკების მოხმარება სახელდება.

შეგახსენებთ, რომ აღნიშნული მკვლელობა თბილისში 2012 წლის იანვარში მოხდა. 35 წლის ლაშა შურღაიამ 33 წლის მეუღლე მაია ჩილაჩავა მოკლა.

გამოძიების ვერსიით, ქალთა მა ცოლი ოჯახური კონფლიქტის ნიადაგზე მოკლა. მან ცოლს სამი ჭრილობა დანით, გულ-მკერდის არეში მიაყენა. მაია ჩილაჩავა ადგილზევე დაიღუპა. მეზობლების ვერსიით, მკვლელობის დროს შურღაია ნარკოტიკული ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა.

მედიანიუსი

იტალიაში საქართველოს მოქალაქე დააკავეს

იტალიაში ქალაქ ბარის პოლიციამ ძარცვის ბრალდებით საქართველოს მოქალაქე დააკავა. 37 წლის ეჭვმიტანილთან ერთად სამართალდამცავებმა მისი ორი თანამზრახველიც დაკავეს, რომელთაგან ერთ-ერთი ქალია.

დაკავებულებს ტექნიკის მაღაზიების ძარცვა ედებათ ბრალად. ჩხრეკისას ქალს სპეციალური ჩანთა აღმოაჩნდა, რომლის საშუალებითაც ჯგუფს მაღაზიებიდან ნაქურდალი დეტექტორებისგან შეუმჩნევლად გაჰქონდათ.

სამივე დაკავებული იტალიაში არალეგალურად ცხოვრობდა.

მედიანიუსი

რუსთავში გველმა 30 წლის მამაკაცი დაგესლა

რუსთავში გველმა 30 წლის მამაკაცი დაგესლა.

ბესიკ ლომსიძე ერთ-ერთ სამშენებლო ობიექტზე ზედამხედველად მუშაობდა, როდესაც მას ფეხზე გიურზამ უკბინა.

დაშავებული კატასტროფის ბრიგადამ თბილისში, საუნივერსიტეტო კლინიკაში (ე. წ. მიხეილის საავადმყოფო) გადმოიყვანა, სადაც მას შესაბამისი მკურნალობა ჩაუტარდა.

ექიმების განცხადებით, პაციენტისათვის მკურნალობის დაწყება დროულად მოხდა და მისი მდგომარეობა სტაბილურია.

მედიანიუსი

აჭარის ათასამ მოსწავლეებს პრეზიდენტის საჩუქარი გადაეცათ

პრეზიდენტის საჩუქარი – პერსონალური კომპიუტერი ამჯერად აჭარის რეგიონის საჯარო სკოლების 151 მეათეკლასელმა მოსწავლემ მიიღო. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ ნოდარ სურგულაძემ და აჭარის განათლების მინისტრმა გია აბულაძემ კომპიუტერებით ის მოსწავლეები დაასაჩუქრეს, რომლებმაც საბაზო საფეხური წარჩინებით დაამთავრეს.

მოსწავლეთა წახალისების პროექტი პრეზიდენტის ნაციონალური პროგრამის – „ჩემი პირველი კომპიუტერი“ ფარგლებში ხორციელდება და მისი მიზანია ხელი შეუწყოს მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებასა და ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სწავლების პროცესში დანერგვას. განათლების სამინისტროს ცნობით, 2012 წელს, პროგრამის ბენეფიციარებად განისაზღვრენ საჯარო სკოლის მოსწავლეები, რომლებმაც 2011/2012 სასწავლო წელს საბაზო საფეხური (მე-7, მე-8 და მე-9 კლასები) დაასრულეს და მათი საფეხურის ნიშანია 10 ქულა (დამრგვალების გარეშე).

მედიანიუსი

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო საქმიანობის – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეკერიშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა ანდღულაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2-94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, ხელნაწერების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

სისხლიანი ინციდენტი გორში

მერეთში ივანიშვილისა და ალასანიას სტუმრობა შეხლა-შემოხლით დასრულდა

თეა მარხვაიძე

გუშინ გორის რაიონის სოფელ მერეთში სისხლიანი დაპირისპირება მოხდა. მოსახლეობასთან შესახვედრად კოალიცია „ქართული ოცნების“ ლიდერები ირაკლი ალასანია და ბიძინა ივანიშვილი ჩავიდნენ. ეს სოფელი კონფლიქტის ზონაში მდებარეობს. სოფელში 400 ოჯახი ცხოვრობს.

ინციდენტები ივანიშვილის ვოიაჟებს თან ახლავს. მას ზუგდიდშიც გაუმართეს აყალმაყალი, ხმაურიანი დახვედრა მოუწყვეს მთიან აჭარაშიც. ქედელი ნაციონალებიდან ერთ-ერთი მედგრად დაუხვდა დაუპატიჟებელ მეოცნებეებს და მათ სულ „მუსორზე“ გადასაყრელი ხალხი ეძახა.

ინციდენტები ერთვოდა თან მეოცნებეთა ოფისების გახსნასაც. კოალიციის რამდენიმე წევრს სასტიკადაც სცემეს. მაგრამ, რაც გუშინ მოხდა, ასეთ ფაქტს ადგილი ჯერ არ ჰქონია. მომხდარზე შსს-მაც კი გააკეთა კომენტარი. მშობლიური პოლიცია პირობას დებს, რომ მომხდარი გამოძიებული იქნება.

მერეთში ივანიშვილს ხმაურით შეხვდნენ. რამდენიმე ადამიანმა ივანიშვილის სოფელში სტუმრობა გააპროტესტა. მერე სამაშველო სამსახური გამოიძახეს და სიტუაცია უკიდურესად დაიძაბა.

– გორის რაიონის სოფელ მერეთში დაპირისპირება გორის სამაშველო სამსახურის თანამშრომლებმა გამოიწვიეს, – ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ „თავისუფალი დემოკრატების“ გორის რაიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელმა, თამაზ შიოშვილმა განუცხადა.

მისი ინფორმაციით, ხელისუფლების წარმომადგენელთა გაღიზიანება, სოფელ მერეთში ბიძინა ივანიშვილსა და ირაკლი ალასანიასთან შეხვედრაზე მისული მოსახლეობის დიდმა რაოდენობამ გამოიწვია.

– სოფელ მერეთში დაახლოებით 450-500 კომლი ცხოვრობს. 300 კაცზე მეტი კი შეხვედრაზე იყო გამოსული. აქედან გამომდინარე, „ზონდერდაჯგუფება“, რომელიც ხელისუფლებამ კუდ-ისა და სხვადასხვა გაურკვეველი უწყების მეშვეობით შექმნა, მოვიდა და პირდაპირ ჩხუბი დაიწყო. სცემეს „ქართული ოცნების“ მხარდამჭერებს – დათო ცერცვაძეს, გიორგი შიოშვილს, გოდერძი მახარაშვილის ასაკოვან მამას, რომელიც ცუდად გახდა და გოგონას, რომელიც ძლივს გადავარჩინეთ. ეს არის „ნაციონალური მოძრაობის“ სახე, – განაცხადა შიოშვილმა.

მისივე თქმით, ყველა ის ახალგაზრდა, რომლებიც ამგვარ პროვოკაციებში მონაწილეობდნენ, ოქტომბრის არჩევნების შემდეგ კანონის შესაბამისად დაისჯებიან.

როგორც შიოშვილმა განაცხადა, დაპირისპირებაში გორის სამაშველო სამსახურის უფროსი და მისი თანამშრომლები მონაწილეობდნენ და არა ადგილობრივი მოსახლეობა.

– თავიდან 20 კაცი დაგვახვედრეს, პედაგოგები და 10-მდე ახალგაზრდა იყვნენ, მაგრამ, როდესაც დაინახეს, შეხვედრაზე ზღვა ხალხი იყო მოსული, დაიწყეს დარეკვა და გორიდან სამაშველო სამსახური გამოიძახეს, ვითომ ხანძარი ყოფილიყოს, – აღნიშნა შიოშვილმა.

მისივე ინფორმაციით, „ქართული ოცნების“ ლიდერების შეხვედრა მოსახლეობასთან ჩაიშალა, რადგან პროვოკაციის თავიდან აცილების მიზნით ირაკლი ალასანიამ და ბიძინა ივანიშვილმა მერეთი დატოვეს.

ეს სოფელი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, კონფლიქტის ზონაშია. სოფლიდან 200 მეტრში რუსული საგუშაგოა. ამ ინციდენტს შესაძლოა სერიოზული გართულება მოჰყოლოდა. წესითა და რიგით, იქ პოლიცია აუცილებლად უნდა მისულიყო. პოლიცია არ გამოჩენილა.

სოფელ მერეთში მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით რამდენიმე საათში შინაგან საქმეთა სამინისტრომ კომენტარი გააკეთა.

დეტექტივ გიორგი ბუხრაშვილის განცხადებით, პოლიციის მიერ იდენტიფიცირებულია მომხდარ ფაქტში მონაწილე პირები, რომელთა მიმართაც კანონით გათვალისწინებული ღონისძიებები განხორციელდება.

მომხდარ ინციდენტზე ყურადღება საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემაც გაამახვილა. მომხდარით ის შეშფოთებული გახლავთ. მის შეშფოთებას ივანიშვილის განცხადებაც უძლიერებს. ივანიშვილმა კი, თავის მხრივ, თქვა, რომ 2008 წლის აგვისტოში ომი მიხეილ სააკაშვილმა დაიწყო. ამიტომ სპიკერს სოფელ მერეთში მომხდარი ინციდენტის ინიციატორების კარგად ესმის, თუმცა საზოგადოებას მაინც თავშეკავებისკენ მოუწოდებს.

– სოფელი მერეთი საოკუპაციო ზოლიდან რამდენიმე ასეულ მეტრში მდებარეობს და ამიტომ გასაგებია, თუ რამდენად მძიმეა იქ მცხოვრები ადამიანებისთვის ნებისმიერი პოლიტიკოსის მხრიდან იმ სიტყვების მოსმენა, რომ ომი საქართველომ დაიწყო და ოკუპაცია, რაც მათ მშობლიურ სახლებში ხდება, საქართველოს ბრალია. მესმის, რომ ამ ადამიანებისთვის, როგორც ძალიან ბევრისთვის მთელ ქვეყანაში, ასეთი ბრალდება და სიტყვები კრემლის პოლიტიკის გაგრძელებასთან და საქართველოში ოკუპანტის ინტერესების დაცვასთან ასოცირდება. მიუხედავად ამისა, საზოგადოებას თავშეკავება მართებს, – განაცხადა სპიკერმა.

– დემოკრატია გულისხმობს ნებისმიერი პოლიტიკური ძალისთვის საკუთარი პოლიტიკური მოსაზრებების თავისუფლად დაფიქსირების შესაძლებლობას, მოსწონს თუ არ მოსწონს. დემოკრატია გულისხმობს იმას, რომ საბოლოო არჩევანსა და შეფასებას



ქართველი ხალხი გააკეთებს ოქტომბერში საარჩევნო ყუთებთან, – განმარტა ბაქრაძემ.

ქვეყნის მეორე პირი მთელ საზოგადოებას, ყველა პოლიტიკური ძალის მხარდამჭერსა და აქტივისტს მოუწოდებს, თავი აარიდონ ნებისმიერ ინციდენტს წინასაარჩევნო პროცესში და იყვნენ თავშეკავებულნი.

– რაც არ უნდა მიუღებელი იყოს ამ თუ იმ პოლიტიკური ძალის გამონათქვამი ან პოზიცია, მივცეთ ყველას თავისუფლად ხალხთან შეხვედრისა და საუბრის საშუალება. ხალხი და ქართველი ამომრჩეველი ოქტომბერში თავად გადაწყვეტს, თუ რომელი პოლიტიკური ძალაა მისაღები და რომელი – მიუღებელი. ამიტომ ყველას მოვუწოდებ, მივცეთ ყველა პოლიტიკურ ძალას შეხვედრების შესაძლებლობა. თავი ავარიდოთ ყველანაირ ინციდენტს და შევქმნათ პირობები, რათა იყოს ბოლომდე თავისუფალი გარემო, სადაც ყველა გამოხატავს საკუთარ მოსაზრებას. ხოლო რამდენად მისაღები ან მიუღებელია ეს მოსაზრება, ამაზე ვერდიქტს ქართველი ხალხი არჩევნებზე და საარჩევნო პროცესში გამოიტანს, – განაცხადა ბაქრაძემ.

ბაჩუკი ქარდავა სამგორის მოსახლეობას შეხვდა

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე ბაჩუკი ქარდავა სამგორის რაიონის მოსახლეობას შეხვდა და პარტიის განახლებული პროგრამის მთავარი პრიორიტეტები გააცნო.

პარტიის პრესსამსახურის ინფორმაციით, ბაჩუკი ქარდავამ მოსახლეობაში არსებულ საბანკო დავალიანებების პრობლემაზეც ისაუბრა.

„საბანკო დავალიანებამ უამრავი ოჯახი განადგურების პირას მიიყვანა. ედპ ხელისუფლებას პრობლემის მოგვარების ხედვას სთავაზობს, რაც სარეზერვო ფონდიდან ფინანსების გამოყოფაში გამოიხატება“, – აღნიშნა მან.

ქარდავას განცხადებით, ბანკებმა უნდა მოახდინონ საკრედიტო დავალიანებების გადავადება ხანგრძლივი ვადით, ჩამოწერონ საჯარიმო თანხები და პროცენტები, შედეგად, მოსახლეობა გადაიხდის სესხის მხოლოდ საწყის ოდენობას, რამოდენიმე წელზე გაწერილს.

ედპ-ს ლიდერმა ასევე ისაუბრა იმ ინიციატივაზე, რომელიც დიასახლისის სტატუსის შემოღებას გულისხმობს, კერძოდ, დიასახლისების სოციალური სტატუსის გათანაბრებას ყველა დასაქმებული მოქალაქის სტატუსთან.]

„მინიმალურის ნაცვლად დიასახლისებისთვის შრომითი პენსიის, ყოველთვიური მინიმალური ანაზღაურებისა და სამედიცინო დაზღვევის მიცემა, ეს არის აუცილებელი პირობა ყველა დიასახლი ქალბატონისთვის, რომლებიც ქვეყანას უზრდიან მომავალ მეცნიერებს, მომავალ ჯარისკაცებს და ზოგადად, მომავალ თაობას“, – თქვა ქარდავამ.

პარტიის თავმჯდომარემ მოსახლეობასთან საყოველთაო დაზღვევისა და უმუშევრობის პრობლემის დაძლევის გზებზეც ისაუბრა. მოსახლეობის მხრიდან დასმული იყო კითხვები ახალგაზრდობის დასაქმების თაობაზე. ქარდავას განცხადებით, მხოლოდ განათლების მიღება არ არის საკმარისი, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ახალგაზრდების დასაქმება, წინააღმდეგ შემთხვევაში ქვეყანას ეყოლება განათლებული, მაგრამ დაკარგული თაობა.

ინტერპრესნიუსი

„ქრისტიან-დემოკრატები“ რუსთაველ სტუდენტებს შეხვდნენ

„ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერები გიორგი თარგამაძე, ლევან ვეფხვაძე და ინგა გრიგოლია გუშინ, რუსთავში, დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში რუსთაველ ახალგაზრდებს და სტუდენტებს შეხვდნენ.

შეხვედრაზე საუბარი უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობას და ამ კუთხით „ქრისტიან-დემოკრატების“ მხრიდან ბოლო დროს დაყენებულ ინიციატივას შეეხო.

გიორგი თარგამაძემ რუსთაველ ახალგაზრდებს დეტალურად გააცნო „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის“ მიერ ინიცირებული პროგრამა უმაღლესი განათლების დაფინანსების შესახებ.

როგორც გიორგი თარგამაძემ „ინტერპრესნიუსს“ განუცხადა, ზოგადად ახალგაზრდული პოლიტიკა არის „ქრისტიან-დემოკრატების“ ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი. ბოლო კვლევების მიხედვით, ჩვენი საზოგადოების დემოგრაფიულ სტრუქტურაში ახალგაზრდობის წილი საგრძნობლად არის შემცირებული. ამისი ერთ-ერთი მთავარი მიზეზია სოციალური სიდუხჭირე და განათლების ხელმიუწვდომლობა, რომელიც დღევანდელ საქართველოშია.

„ახალგაზრდა ოჯახები ან ოჯახების შექმნის მსურველი ახალგაზრდები თავიანთი თანხების ეკონომიას იწყებენ იმისათვის, რომ გადაიხადონ უზარმაზარი გადასახადები უმაღლეს სასწავლებლებში. ჩვენ ვთავაზობთ საზოგადოებას, მათ შორის ხელისუფლებას, გადაწყვეტილებას, რომელიც დღესვე არის შესაძლებელი და რომელიც გამოიწვევს საბაზისო დაფინანსების არსებობას, რითაც საგრძნობლად გავუადვილებთ ახალგაზრდებს უმაღლეს სასწავლებლებში ფინანსური პრობლემების მოგვარებას. ეს პირდაპირ აისახება საქართველოში ახალგაზრდა ოჯახების შექმნის დინამიკაზე, ჩვენი ერის გამრავლებაზე, დემოგრაფიული პრობლემების მოგვარებაზე“, – განუცხადა „ინტერპრესნიუსს“ გიორგი თარგამაძემ.

ლევან ვეფხვაძის თქმით კი, „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის“ მიზანია უმაღლესი განათლება იყოს ყველასათვის ხელმისაწვდომი და თუ უმაღლესში ჩაბარება დღეს მარტივი გახდა, სწავლა პრაქტიკულად შეუძლებელია რამდენიმე ათეული ათასი სტუდენტისათვის, რადგან ძალიან დიდი თანხაა გადასახდელი.

„ჩვენ მიგვაჩნია, რომ საბაზისო დაფინანსება უნდა იყოს სწავლის საფასურის ნახევარი, ანუ ის, ვინც საატესტატო გამოცდებს ჩაბარებს და მისი ცოდნის ხარისხი გარკვეულწილად იქნება მინიმალური სტანდარტების დამაკმაყოფილებელი, ეს ნიშნავს, რომ მას უნდა ჰქონდეს 50-პროცენტიანი დაფინანსება სახელმწიფოსგან. ამის ზემოთ უკვე საატესტატო გამოცდებისა და უნარების ტესტების შედეგებით უნდა იყოს 25 და 50-პროცენტიანი თანადაფინანსება სახელმწიფოს მხრიდან. ამრიგად ეს ნიშნავს ბიუჯეტში დაფინანსების სამჯერ ზრდას და ჩვენი სტუდენტების ორ მესამედს პრაქტიკულად სწავლის 100 პროცენტის თავად გადახდა აღარ მოუწევს“, – განაცხადა ლევან ვეფხვაძემ.

ინტერპრესნიუსი

„ივანიშვილის საქართველოში არსებული ქონება ჯარიმის თანხას ვერ უზრუნველყოფს“

ბიძინა ივანიშვილის ადვოკატის, სანდრო ბარამიძის განცხადებით, ივანიშვილის საქართველოში არსებული ქონება მისთვის დაკისრებულ ჯარიმის თანხას ვერ უზრუნველყოფს. როგორც ბარამიძემ „ინტერპრესნიუსს“ განუცხადა, ივანიშვილი ჯარიმის გადახდას არ აპირებს და ამაზე საჯარო განცხადება უკვე გააკეთა.

„ივანიშვილმა თქვა, რომ არ აპირებს უკანონო გადაწყვეტილების შესრულებას და ამ მხრივ ახალი არაფერია. ივანიშვილს გარკვეული ქონება საქართველოში აქვს, თუმცა ძალიან მცირე, რაც ჯარიმის თანხის დაფარვას ნამდვილად არ ეყოფა“, – განაცხადა სანდრო ბარამიძემ.

კოალიცია „ქართული ოცნების“ ლიდერ ბიძინა ივანიშვილს ჯარიმის გადახდის ვადა გუშინ, 24:00 საათზე ამოეწურა.

ბიძინა ივანიშვილს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისრა ჯარიმის სახით თანხა 74 325 065. 65 (63 110 095 ლარი და 11 214 970.65 ლარი) ლარის ოდენობით.

ინტერპრესნიუსი

გრიგოლ ვაშაძე ინდონეზიასა და მალაიზიას ეწვევა

დღეს ინდონეზიასა და მალაიზიაში საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი გრიგოლ ვაშაძის პირველი ოფიციალური ვიზიტი იწყება. როგორც საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე დავით ჯალაღანიამ განაცხადა, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის რეგიონში ეს ვიზიტი 2 ივლისის ჩათვლით გასტანს.

„ხანგრძლივი ვიზიტი დიპლომატიურ დონეზე პირველად ტარდება“, – აღნიშნა დავით ჯალაღანიამ.

ინდონეზიასა და მალაიზიაში სტუმრობისას გრიგოლ ვაშაძე საგარეო საქმეთა მინისტრებს შეხვდება. ინდონეზიაში მისი შეხვედრა ვაჭრობისა და ეკონომიკის მინისტრებთანაც არის დაგეგმილი.

ინდონეზიასთან საქართველო ორ შეთანხმებას აფორმებს. პირველია მემორანდუმი ორი ქვეყნის საგარეო უწყებებს შორის პოლიტიკური კონსულტაციების წარმართვაზე. მეორე კი არის სახელმწიფოთაშორისი შეთანხმება ტექნიკურ-ეკონომიკურ თანამშრომლობაზე.

დავით ჯალაღანიას ინფორმაციით, ინდონეზიაში საქართველოს საელჩოს გახსნაც იგეგმება.

მედიანიუსი

ბათუმს მთავარი არქიტექტორი არ ჰყავს

ერთი წელია, ბათუმს მთავარი არქიტექტორი არ ჰყავს. საკითხი დღეს გამართულ საკრებულოს სხდომაზე ფრაქცია „ბათუმელებისათვის“ თავმჯდომარემ, „რესპუბლიკელმა“ ირაკლი ჩავლეიშვილმა დააყენა.

როგორც ირაკლი ჩავლეიშვილი აცხადებს, არქიტექტურის სამსახურის ფუნქციები ქალაქის მერიამ შეითავსა და, თუ ქალაქს არ სჭირდება მთავარი არქიტექტორი, ეს სამსახური უნდა გაუქმდეს.

„ერთი წლის განმავლობაში საკრებულოში ვსვამ ამ საკითხს. დაჟინებით ვითხოვ, რომ მთავარი არქიტექტორი დაინიშნოს. მთავარი არქიტექტორი ბათუმსა და მთლიანად საქართველოში არის მიხეილ სააკაშვილი, რასაც ის დააპირებს და გადაწყვეტს, ისე უნდა დაიგეგმოს და აშენდეს. აქედან გამომდინარე, ქალაქის მთავარმა არქიტექტორმა დაკარგა თავისი ფუნქციები. ეს არის ყველაზე ცუდი. როგორც ვიცი, მიხეილ სააკაშვილი არის იურიდიული განათლების და არა არქიტექტორი, თუმცა ითავსებს ამ თანამდებობას“, – აღნიშნა ირაკლი ჩავლეიშვილმა.

როგორც ბათუმის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი კირთაძემ მთავარი არქიტექტორის საკითხზე კომენტირებისას აღნიშნა, მიუხედავად იმისა, რომ ბათუმს მთავარი არქიტექტორი არ ჰყავს, ქალაქი შენდება.

„რა თქმა უნდა, ქალაქს მთავარი არქიტექტორი სჭირდება. ძალიან სამწუხაროა, რომ ამდენი ხნის განმავლობაში ვერ მოხდა შერჩევა ქალაქის მთავარი არქიტექტორის. იმედი მაქვს, სწრაფად, უმოკლეს ვადაში მოხდება შერჩევა და დანიშვნა ამ თანამდებობაზე. თუმცა ის, რომ ქალაქს არ ჰყავს მთავარი არქიტექტორი და ამის გამო შეჩერებულია ქალაქში მშენებლობა, ალბათ ატყობთ, ეს ასე არ არის. მართალია, არ გვყავს ქალაქის მთავარი არქიტექტორი, მაგრამ გვყავს არქიტექტურის სამსახურის ძალიან კარგი სპეციალისტები“, – აღნიშნა გიორგი კირთაძემ.

2012, 27 ივნისი, №151

ბენდუქიძის დანაშაულებრივი რეფორმა ქვეყანას ძვირად უჯდება

საქართველოში მახინჯი საბანკო სისტემაა

შორენა კოწოწაშვილი

დემურ გიორხელიძე სააკაშვილის დამოკიდებულებას ბანკირების მიმართ ამართლებს. მისი თქმით, რადგან პრეზიდენტმა ბანკები სასათბურე პირობებში ამყოფა, როცა მას ფული დასჭირდება, უნდა მისცენ.

რატომ ვერ მიიღებს ბენდუქიძის შენიშვნებს ივანიშვილის თანამოაზრე და რა შედეგები მოიტანა ხელისუფლების სოციალურ-ეკონომიკურმა რეფორმამ? – ამ საკითხების ირგვლივ გთავაზობთ ინტერვიუს „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი თემატური ჯგუფის ხელმძღვანელთან, ექსპერტ დემურ გიორხელიძესთან.

– ბატონო დემურ, ითქვა, რომ სააკაშვილმა წინასაარჩევნოდ ბანკებს 100 მლნ-ის მობილიზება მოსთხოვა. შემდგომ ეს ინფორმაცია პრეზიდენტის პრესსპიკერმა უარყო. რა ინფორმაცია გაქვთ, მართლა მორიგი დარტყმა მიიტანა ხელისუფლებამ ბანკებზე?

– როცა კრიზისი დადგა, ხელისუფლება იყო არჩევანის წინაშე. მაშინ ხელისუფლებამ გაწირა ქართული ეკონომიკა და გადაარჩინა ბანკები. მან არა მხოლოდ ამ ნაბიჯით გადაარჩინა ბანკები, არამედ ყველანაირად ხელი შეუწყო, რომ, ტრადიციულ საბანკო საქმიანობასთან ერთად, სხვა უამრავი საქმე ეწარმოებინათ. ხელისუფლებამ ბანკები დაიცავა კონკურენციისაგან. საქართველო დახურულია გარე საბანკო ჯგუფებისთვის. ნებისმიერ ძლიერ ჯგუფს საქართველოში შემოსვლა რომ უნდოდეს და ამის მცდელობები იყო, ვერ შემოვა. გამორიცხულია, ხელისუფლებამ მათ უფლება მისცეს. ამიტომ სამოთხი ბანკია, რომელიც საქართველოში ძირითადად ამინდს ქმნის. ისინი სწორედ ხელისუფლების მხარდაჭერით, უზარმაზარი საპროცენტო განაკვეთებით, ზემოგებების ხარჯზე შესანიშნავად გრძნობენ თავს. ამ დროს ეკონომიკა, ფაქტობრივად, კრახის წინაშეა. უხერხული და სასაცილოა, რომ ყოველ მოსახვევში ბანკის ფილიალი იხსნება. უხერხულია, შედიხარ ბანკში და ყველგან რიგი გხვდება. ხელისუფლებამ მიდგნა მთელი ხალხი ბანკებში. ყველანაირ მომსახურებაზე გარკვეული თანხა დაიწესა. დასავლეთში ბანკში რიგი რომ ნახოს იქაურმა ეროვნულმა ბანკმა, მაშინვე ლიცენზიას შეუჩერებენ. ერთადერთი სექტორი, რომელიც ხელისუფლების სრული მხარდაჭერით გამდიდრდა და თავს კარგად გრძნობს, მხოლოდ ბანკებია. ამ დროს ეკონომიკაში ინვესტირება თავისუფალი ბიზნესმენებისთვის, ფაქტობრივად, გამორიცხულია. ისინი თუ კრედიტს ვინმეს აძლევენ, ისევ თავიანთ ახლობელს, ხელისუფლებასთან ასოცირებულ ბიზნეს-ჯგუფებს. ეს არის მონოპოლიური სტრუქტურები, რომლებიც, ასეთი ფორმით თუ იქნა შენარჩუნებული, ველარ შეძლებს ქვეყნის ეკონომიკის ოდნავადაც განვითარებას. ამიტომ, თამამად ვამბობ, ეს არის მახინჯი საბანკო სისტემა, რომელიც უნდა იქნეს რეფორმირებული. უნდა იყოს კონკურენტული გარემო. უნდა იყოს ეკონომიკაზე ორიენტირებული საბანკო სისტემა. ბანკი თავისუფალი უნდა იყოს თავის არჩევანში, მაგრამ არა ასეთ სასათბურე პირობებში მყოფი.

– თქვენი აზრით, დაიდება 100 მლნ ბანკების მიერ წინასაარჩევნოდ მმართველი პარტიის სასარგებლოდ?

– ახლა მინდა, მთლიანად ხელისუფლების მხარეს ვიყო, რადგან ხელისუფლებამ ბანკებს ყველაფერი გაუკეთა და ისინი შესანიშნავ პირობებში ამყოფა. ახლა ხელისუფლებას დახმარება თუ სჭირდება, პრეზიდენტს უფლება აქვს, ამ ბანკებს 100 მლნ-ც მოსთხოვოს და 200 მლნ-ც, ჩემი თვალთახედვით, ეს არის სწორი შეხედულება, იმიტომ რომ, მე თუ შენ გარჩინე და ნებივრობაში გამყოფე, როცა მჭირდება, ფული უნდა მომცე. დიახ, მე ამ წუთში ვეთანხმები პრეზიდენტს, რომ მას აქვს უფლება, მოსთხოვოს ბანკებს, რადგან ეს არ არის ის ბანკები, რომლებიც ტრადიციულად მოიაზრება ნორმალურ ქვეყნებში. ესენი არიან მევახშეები, რომლებიც უკანასკნელ კაპიკს აცლიან საქართველოს მოქალაქეებს და თვითონ მდიდრდებიან. ჩვენ ამ უზნეობაზე ხმამაღლა თუ არ ვისაუბრეთ, სულ ასე მოგვიწევს ცხოვრება.

– ანუ ახია ბანკირებზე პოლიტიკური წნეხი?

– რა თქმა უნდა, ახია.

– მოდით, ბატონო დემურ, პრეზიდენტის ნაბიჯები და ის სოციალური და აგრარული რეფორმის პაკეტები შევაფასოთ, რომლითაც „ქართული ოცნება“ და ხელისუფლება ამომრჩევლის გულის მოგებას ცდილობენ. ხელისუფლება ამტკიცებს, რომ მისთვის პრიორიტეტი სოფლის მეურნეობაა.



– მე ვარ „ქართული ოცნების“ ეკონომიკის, სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის თემატური ჯგუფის ხელმძღვანელი. ჩვენ ეკონომიკის, სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის კონცეფცია შევიმუშავეთ. ეს ღერძია იმისა, რომ სოციალურ პოლიტიკაზე, განათლებაზე შეგვეძლოს საუბარი. ხელისუფლებას დღეს, კონცეპტუალური თვალსაზრისით, ის, რაც ჩვენ გვაქვს პრინციპში დამუშავებული 7 თვის განმავლობაში და ეს იყო ტიტანური შრომა, არანაირი კონკურენციის გაწევა არ შეუძლია. ეს არის ერთად შეკრული კონცეფცია, მის ყველა ასპექტში უწვრილმანეს დეტალებში განსაზღვრული. ამ კონცეფციას თუ ისინი არ ეთანხმებიან, არსებობს ღია მედია და დავსხდეთ და გონივრულად განვიხილოთ, რას გვთავაზობენ ისინი, ჩვენ რას ვთავაზობთ. რასაც ხელისუფლება გვთავაზობს, ეპიზოდურია. დიახ, სოფლის მეურნეობა ძალიან მნიშვნელოვანია და სწრაფად შეიძლება მისი ფეხზე დაყენება. მაგრამ, სოფლის მეურნეობასთან ერთად, უამრავი სხვა რამ არის გასაკეთებელი. ჩვენი ეკონომიკა ძალიან მწირია. ის, რაზეც ხელისუფლება აპელირებს, არის გზა ჩიხისაკენ, რომ 10-12%-ით თუ გაიზრდება, ჩვენ ათ წელიწადში გავორმაგდებით, ანუ ვიყავით მიზერული, ახლა კი ამ მიზერს კიდევ ერთი მიზერი მიემატება. ეს არ არის გზა. ჩვენ გადავდივართ სხვა ტიპის სახელმწიფოზე. ჩვენ უკვე ორი სახელმწიფო ვიცით ძალიან კარგად: სოციალისტური სახელმწიფო და სახელმწიფო კორპორაცია, რასაც ხელისუფლება ქადაგებს, ანუ ეს არის ფირმა. ფირმის მფლობელები არიან ძალიან ვიწრო წრე. ჩვენ თუ რამე გვინდა, უნდა მოვიდეთ ამ სახელმწიფოში და ვიყიდოთ. პასპორტი გინდა? – 100 ლარი მოიტანე და წაიღე შენი პასპორტი. არ მოგწონს ეს ვითარება და ასე ცხოვრება? – წადი, აახვიე აქედან. აი, ეს არის ამ ხელისუფლების პოლიტიკა. ვიცით ჩვენ, რომ არც ერთი სახელმწიფო ვარგა, არც მეორე. აი, სახელმწიფოს მოდელი, რომელიც იქნება დომინირებული, ივანიშვილის პოლიტიკური ძალისთვის. ეს არის სოციალურად სამართლიანი სახელმწიფო, რომელიც აგებულია ურთიერთთანადგომაზე, ურთიერთპატივისცემასა და ურთიერთპასუხისმგებლობაზე. სოციალური სამართლიანობა ისე უნდა გავიგოთ, რომ ვისაც უჭირს და ამოწურა თავისი შრომის უნარი, იმას დავეხმაროთ, რომ ღირსეულ, ნორმალურ გარემოში იყოს, ჯანმრთელ და ზრდასრულ ადამიანს კი მივცეთ ის გარემო, რომელშიც თავის შრომას გამოიყენებს. ჩვენ ადამიანებს დასაქმების ყველანაირ საშუალებას მივცემთ. გარდა ამისა, საუბარია იმაზე, რომ უნდა გაძლიერდეს სახელმწიფოს პრიორიტეტული ფუნდამენტური ფუნქციები. ხელისუფლება დღეს ამბობს, რომ არაფერი სტრატეგიული არ არის. თავისუფლება უნდა იყოს მინიმალური, ყველაფერი გაყიდული უნდა იყოს. განათლება თურმე ბიზნესია. სოციალური ვალდებულებები – ეს სოციალისტურია. გაიგეთ, ხომ, რა პოზიცია აქვს სააკაშვილის გუნდს?! ეს აბსოლუტურად მიუღებელია. საქმე ისაა, რომ დღევანდელ სიტუაციაში თუ არ გაიხსნა ეკონომიკური ზრდის ახალი ფაქტორები, ზრდის ახალ ფაქტორებში ინოვაციურ განვითარებას ვგულისხმობთ, შესანიშნავად არის საქართველო გამზადებული ინოვაციური განვითარებისთვის. მისი პოტენციალი აქ და მისი ხალხის პოტენციალი საზღვარგარეთ იძლევა ამის საშუალებას. განათლება ფუნდამენტური პრიორიტეტი უნდა იყოს ამ სახელმწიფოში, იმიტომ რომ განათლება უზრუნველყოფს ინოვაციურ წინსვლას. ჯანმრთელობის დაცვა პრიორიტეტული მიმართულება უნდა იყოს.

– პრეზიდენტიც ფიქრობს სოციალურ დახმარებებზე. მისი ინიციატივაა პენსიონერებისთვის კბილების ჩასმა და ა.შ. სააკაშვილმა განსხვავებულად დაინახა პრობლემები?

– ივანიშვილმა უკვე განაცხადა, რომ ყველა ადამიანი დაზღვეული იქნება. იმას, რაც ხელისუფლებამ ჯანდაცვისა და განათლების სფეროში გააკეთა, უბრალოდ, გამართლება არა აქვს. თქვენ წარმოიდგინეთ ჯანდაცვის სისტემა, სადაც საქართველოს მოქალაქეთა უდიდეს ნაწილს არ შეუძლია მიიღოს აუცილებელი მომსახურება, იმიტომ რომ კატასტროფულად ძვირია ეს ყველაფერი. ამიტომაც არის, ბანკებიც რომ ასე გახლებული არიან და გაჭირვებული ადამიანებიც სახლებს დებენ მძარცველურ პროცენტად თავიანთი ახლობლის გადასარჩენად. შედეგი რა გამოდის? დაიკლო საშუალო ასაკმა საქართველოში. სიკვდილიანობა უფრო მეტია შობადობაზე. დემოგრაფიული მიმართულებით კატასტროფული შედეგები გვაქვს. ეს არის არა სოციალისტური, არა რაღაც პოპულისტური, არამედ პასუხისმგებლობის მქონე ადამიანის პოლიტიკა. სოციალური სამართლიანობისთვის აუცილებელია ყველა ადამიანის დაზღვევა. როცა ეკონომიკა შეიცვლება უკეთესობისკენ, მერე იმ ადამიანების რიცხვი, რომლებსაც ექნებათ სახელმწიფო დაზღვევა, შემცირდება.

– ხელისუფლებამ დანაშაულებრივი პოლიტიკა აწარმოა იგივე ჯანდაცვისა და განათლების მიმართულებით?

– ეჭვი არ მეპარება, რომ ჯანდაცვისა და განათლების სფეროში გაუმართლებელი ნაბიჯები გადაიდგა. ჯერ ერთი, ახალი თაობა განწირულია უპერსპექტივობისთვის. ბედნიერება მჭონდა, ფუნდამენტურ მეცნიერებაში, ძალიან შორს წასულ მეცნიერებაში მემუშავა და კარგად ვიცი ის ტექნოლოგიური წყობები, თუ როგორ ვითარდება პროგრესი და ა.შ. იმ საგანმანათლებლო სისტემით, რომელიც საქართველოშია, მოსწავლეებს სკოლის დამთავრების შემდეგ არ შეუძლიათ სერიოზული პროფესიის მიღება. არანაირი საფუძველი არ აქვთ; და მეორე – ჯანდაცვა. იმის გამო, რომ მონოპოლისტურმა ჯგუფებმა ფანტასტიკური ფასები დაადეს სამედიცინო მომსახურებას, წამლებს, ადამიანებს მკურნალობა არ შეუძლიათ. ვერანაირი ლიბერალური ეკონომიკა, ვერანაირი იდეოლოგია ამ უმსგავსობას ვერ გაამართლებს.

– კახა ბენდუქიძე მიიჩნევს, რომ ხელისუფლებაში ხარვეზები მართლაც არის, თუმცა ოპოზიცია არასწორ აქცენტებს აკეთებს.

– როცა ბენდუქიძე სახელმწიფო მინისტრი იყო, მაშინაც ხისტად ვაკრიტიკებდი. როგორც ჩანს, ის ისევ მონაწილეობს სახელმწიფოს მართვაში. ეს სახელმწიფო სახელმწიფო ინსტიტუტებით არ იმართება. საქართველო რაღაც კლანით იმართება, რომელშიც, ალბათ, ბენდუქიძესაც აქვს თავის ადგილი. ეს ხელისუფლების პრობლემაა. რასაც ბენდუქიძე ამბობს, არ გამოდის იმ რეალობიდან, რომელიც მან შექმნა. დიახ, მან დაარწმუნა ეს ხელისუფლება ამაში. ის ლიბერტანიალურ ეკონომიკას უწევს პროპაგანდას. მაგრამ, როცა მოდელს აკეთებ, მოდელი უნდა გააკეთო სრულყოფილად, ანონიმურად, ყოველგვარი სახელისუფლებო ჯგუფის სარგებლობის გარეშე. თუ ეს გარემო პრობლემურია და არ იქმნება, მაშინ ისეთივე ინსტიტუტები უნდა იყოს, ვინც ამას უზრუნველყოფს. შენ ლიბერტანიალურ პოლიტიკას თავაზობ, ადამიანს ახრჩობ, სხვის ბიზნესს იტაცებ, სხვას გასაქანს არ აძლევ და მხოლოდ რამდენიმე ჯგუფს უნდა, ქვეყნის მთელი რესურსი აკონტროლოს. სხვას არაფრის შანსი არ უნდა ჰქონდეს. ჩვენ დასავლეთ ევროპის უამრავ ქვეყანაზე მდიდრები ვართ. კლიმატურ პირობებში კი ვერც ერთი ვერ შეგვედრება. აი, პოლიტიკის შედეგი. ბენდუქიძემ გააკეთა ყველაფერი და სოფელი დაავიწყდა. მას საკუთარი მეგობრების ინტერესები თუ ამოძრავებდა, თორემ, აბა, სად არის ეკონომიკა? მანახვეთ მონაცემები.

– ანუ ბენდუქიძის შენიშვნებს ვერ მიიღებთ?

– ვერ მივიღებ. ჯერ ერთი, ექსპერტი, რომელიც ოპოზიციურია ან სამთავრობოა, ის სპეციალისტი არ არის. არსებობს პროფესიული წესიერება და პირადი პასუხისმგებლობა. ამ წესიერებისა და პასუხისმგებლობის ფარგლებში იმოქმედოს ბენდუქიძემ, თუ რამე უნდა. მე ყოველთვის ამ ჩარჩოებში ვრჩებოდი. ბენდუქიძემ გააკეთა დანაშაულებრივი რეფორმა, რაც ქვეყანას ძვირად უჯდება. ბენდუქიძემ რაც გააკეთა, იქ არის სრული სიღარიბე და უპერსპექტივობა. რასაც ივანიშვილის პოლიტიკური ორგანიზაცია აპირებს, ეს არის, პირიქით, ყველას სტიმულირება გამდიდრებისკენ, ნიჭის განვითარებისკენ. ასეთი ამოცანა ხელისუფლებას არასდროს ჰქონია. ეს არის ამ ორ პოლიტიკურ ძალას შორის უდიდესი სხვაობა.

ჰემოფილიით დაავადებული 27 ადამიანი მკურნალობის კურსს წყალტუბოში გაივლის

ჰემოფილიით დაავადებული 27 ადამიანი ათდღიან სარეაბილიტაციო მკურნალობის კურსს წყალტუბოში გაივლს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ „ჰემოფილიისა და დონორობის ასოციაციიდან“ აცნობეს, სარეაბილიტაციო მკურნალობის კურსი 6-40 წლამდე ასაკის ადამიანებს ჩაუტარდებათ. ისინი თანმხლებ პირებთან ერთად დაისვენებენ. სარეაბილიტაციო კურსი ბალნეოლოგიურ, ფიზიოთერაპიულ პროცედურებს და მასაჟებს ითვალისწინებს. ჰემოფილიით დაავადებულები წყალტუბოში დღეს გაემგზავრებიან. მათი დასვენებას თავად ასოციაცია აფინანსებს. სარეაბილიტაციო მკურნალობის პროგრამა მეექვსე წელია ხორციელდება.

ინტერპრესნიუსი

ბიზნესმენი დავით ბეგიაშვილი ბიძინა ივანიშვილს მოუწოდებს, ჯარიმა არ გადაიხადოს

ჰოლდინგური კომპანია "ვაკე-5"-ის და "ალბატროს ჯგუფის" დამფუძნებელი, ბიზნესმენი დავით ბეგიაშვილი "ქართული ოცნების" ლიდერ ბიძინა ივანიშვილს მხარდაჭერას უცხადებს და მოუწოდებს, არ გადაიხადოს დაკისრებული ჯარიმა.

"საქართველოში დიდი ხანია, მართლმსაჯულება აღარ არსებობს. ხელისუფლება ძალაუფლების შენარჩუნების მიზნით პოლიტიკურ ოპონენტების, თავისუფალი აზრის, მედიისა თუ ბიზნესის მათვის არასასურველი წარმომადგენლების მიმართ ბრმა იარაღად უსამართლობას იყენებს. დაუსაბუთებელი გადაწყვეტილებები, ცრუ ბრალდებები თუ დარღვეული კანონები - ეს ის აქტივობებია, რომელსაც დღევანდელი მართული "სასამართლოს" წარმომადგენლები ხელისუფლების შეკვეთით გვიპირისპირებენ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებები ბიძინა ივანიშვილის დაჯარიმების შესახებ, ესეც მორიგი შეთითხნილი სახელისუფლებო ფარსია. მოუვლდებ ბატონ ბიძინა ივანიშვილს, უარი უთხრას უსამართლობას, არ გადაიხადოს ჯარიმა", - ნათქვამია ბიზნესმენის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

"ქართული ოცნების" ლიდერს ჯარიმის გადახდის ვადა დღეს, 24:00 საათზე ეწურება. კონტროლის პალატის ორი ოქმის საფუძველზე თბილისის საქალაქო სასამართლომ ბიძინა ივანიშვილს 148 650 131 ლარით დაჯარიმების გადაწყვეტილება მიიღო, თუმცა ეს გადაწყვეტილება ივანიშვილის ადვოკატებმა სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრეს. სასამართლომ ჯარიმები შეამცირა და მათი რაოდენობა 74 325 065 ლარით განისაზღვრა. ივანიშვილი ჯარიმის გადახდაზე უარს ამბობს.

გარდა ამისა, აღსრულების ეროვნულმა ბიურომ უკვე მოითხოვა დოკუმენტები "ქართუ ჯგუფისა" და ბანკ "ქართუს" მეწილეების შესახებ.

ინტერპრესნიუსი

სასამართლომ ლეონიდ კუჩმას გიორგი ღონღაძის მკვლელობაში მონაწილეობის ბრალდება მოუხსნა

უკრაინის უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეების კოლეგიამ გენერალური პროკურატურის საკასაციო სარჩელი უარყო და ძალაში დატოვა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რითიც უკრაინის ყოფილ პრეზიდენტს ლეონიდ კუჩმას ჟურნალისტ გიორგი ღონღაძის მკვლელობაში მონაწილეობის ბრალდება მოეხსნა.

„რია ნოვოსტის“ ცნობით, სასამართლომ დაცვის მხარეს სხდომის 26 ივლისისათვის გადატანაზეც უარი უთხრა.

2011 წლის 14 დეკემბერს, კიევის პეჩორის სასამართლომ ბათილად სცნო გენპროკურატურის მიერ კუჩმას წინააღმდეგ აღძრული სისხლის სამართლის საქმე. 20 იანვარს კი სააპელაციო სასამართლომაც ძალაში დატოვა პეჩორის სასამართლოს გადაწყვეტილება. ამის შემდეგ გენერალურმა პროკურატურამ უკრაინის უმაღლეს სასამართლოს მიმართა.

შეგახსენებთ, რომ ინტერნეტ-გამოცემა "უკრაინსკაია პრავდას" მთავარი რედაქტორი გიორგი ღონღაძე 2000 წლის 16 სექტემბერს გაუჩინარდა. გაუჩინარებიდან დაახლოებით ორ თვეში კიევთან მდებარე ტყეში მისი ცხედარი იპოვეს.

გამოძიების პერიოდში გამოქვეყნდა აუდიო-მასალა, სადაც გამოძიების ინფორმაციით, მტკიცდებოდა ღონღაძის მკვლელობაში ლეონიდ კუჩმას მონაწილეობის საკითხი.

მედიანიუსი

სამარის საავადმყოფოში პნევმონიის დიაგნოზით 37 ჯარისკაცი გადაიყვანეს

სამარაში პნევმონიის დიაგნოზით სამხედრო ნაწილიდან საავადმყოფოში 37 ჯარისკაცი გადაიყვანეს.

უცხოური მედიის ინფორმაციით, შემთხვევა ოლქის 23-ე სამხედრო ნაწილში დაფიქსირდა ჯარისკაცებს ხველა და ცხელება ჯერ კიდევ გასულ კვირას დაეწყოთ. ჰოსპიტალიზებული სამხედროებიდან შედარებით მძიმეა სამი მათგანის ჯანმრთელობის მდგომარეობა. ამ დროისთვის პაციენტები საჭირო მკურალობას გადიან.

ინტერპრესნიუსი

გელა ნიკოლეიშვილი: „გასულ წელს 140 პატიმარი დაიღუპა“

ნონა ცაბაძე

იმის შესახებ, თუ ჰა ხდება დღეს ციხეებსა თუ ჯოლონიებში, „ახალი თაობა“ ადამიანის უფლებათა დამცველს, ადვოკატ გელა ნიკოლეიშვილს ესაუბრა:

– ბატონო გელა, როგორც ადვოკატი, რა ინფორმაციებს ფლობთ, რა ხდება დღეს სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში, რა მდგომარეობაა?

– სხვათა შორის, 26 ივნისი წამების საერთაშორისო დღეა და სწორედ ამ კონფერენციაზე ვიმყოფები, რომელშიც ცხრა პოსტსაბჭოთა ქვეყანა მონაწილეობს. აქ საუბარია სხვადასხვა ქვეყნებში არსებულ სიტუაციაზე, მათ შორის, საქართველოზეც და ეს პრობლემა, წამება და არაადამიანური მოპყრობა, დგას ძალიან აქტუალურად და ის მექანიზმები და ის გზები, რომლითაც შეიძლება აღმოიფხვრას ან შემცირდეს, არის სრულიად სხვადასხვა, მაგრამ მთავარი აქ არის ხელისუფლების პოლიტიკური ნება, ნებისმიერი ქვეყნის ხელისუფლების. საქართველოს ხელისუფლება თუ მოინდომებს, შესაძლებელია ეს პრობლემა აღმოფხვრან, ან მინიმუმამდე დაიყვანონ. მაგრამ, რადგანაც მათი პოლიტიკური ნება არის, სასჯელაღსრულების დაწესებულებებში იყოს ეს წამება, როგორც მეთოდი ამ დაწესებულებების მართვის, ამიტომ ის, რა თქმა უნდა, ვერ აღმოიფხვრება. მაგალითად, ჩვენმა ხელისუფლებამ მოინდომა, რომ ე.წ. კაპეზებში, ანუ წინასწარი დაკავების ადგილებში, არის ასეთი განყოფილებები, სადაც 48 საათით ათავსებენ დაკავებულებს, სანამ ორთვიან წინასწარ პატიმრობას მიუსჯიან სასამართლოები. იქ დღეს, ფაქტიურად, აღმოფხვრილია მსგავსი ფაქტები, იმიტომ, რომ ჩვენმა ხელისუფლებამ გამოიჩინა პოლიტიკური ნება, რამდენიმე დასაჯა, სახტიკად გააფრთხილა პოლიციელები, რომ იქ შეყვანილი ადამიანები აღარ უნდა ექვემდებარებოდნენ წამებას. ამ 48-დან 72-საათამდე კაპეზებში დღეს წამება აღარ ხდება. გამონაკლისი შემთხვევები შეიძლება იყოს, მაგრამ, როგორც წესი, მასობრივად ეს აღარ ხდება. იმიტომ, რომ ხელისუფლებამ მოინდომა ეს. იქ შეყავთ, აჩვენებენ, თავს იწონებენ, რომ იქ წესრიგია. მაგრამ წამებები ხდება სანამ იქ შეიყვანენ, პოლიციის ოთახებში, სამმართველოს ოთახებში, ხდება ქუჩაში. შეიძლება რამდენიმე საათი სულაც არ მიიყვანონ კაპეზში და ამ დროს მიდის მათი წამება. რაც მთავარია, იმ ორი თვის განმავლობაში, როდესაც ციხეზე გადაყავთ, იქ ხდება ცემა-წამების ფაქტები, შემდეგ კი კოლონიებში.

– რატომ არ იჩენს ხელისუფლება ამ პოლიტიკურ ნებას, რომ ადგილი აღარ ჰქონდეს მსგავს შემთხვევებს?

– ეს არის ხელისუფლების პოლიტიკა. თუ მოინდომებს ხელისუფლება, რა თქმა უნდა, შეუძლია იქაც აღკვეთოს, მაგრამ მათი მეთოდი ეს არის დღეს. რაც ქურდებს ჰქონდათ, ქურდული კანონები რომ იყო, ეს ხელისუფლებამ თავის ხელში აიღო. დღეს კანონიერი ქურდების როლს ასრულებს ხელისუფლება, მაგრამ ქურდებს რაღაცა დაუწერელი კანონები მაინც ჰქონდათ, რაღაცა ჩარჩოები ჰქონდათ და თუ გადაცდებოდნენ იმას, მაშინ პატიმარს შეეძლო სხვა ქურდთან ეჩივლა და ეთქვა, აი, ბატონო, ამან დაარღვია წესი. დღეს ეს ზღვარი გადალახულია და განუკითხაობაა, იმიტომ, რომ ვერავისთან ვერ იჩივლებ, ეს არის ერთი სისტემა, ერთი გუნდი და თქვენ ვერ ნახავთ ადამიანს, რომელიც დასჯილყოს წამების გულისთვის. არადა, წამების რამდენი შემთხვევაა. გუშინ აქ იყო იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენელი და მაგაზე მოგვივიდა კამათი. მან დაიწყო თავისი რეფორმის ქება და როდესაც მე ვუთხარი, ერთი მაგალითი მაინც დამისახელე ბოლო წლების განმავლობაში, როცა წამების გამო, წამების მუხლით დაისაჯა ადამიანი, მან მხოლოდ ერთადერთი მაგალითი მოიყვანა 2011 წელს ქუთაისში მომხდარ ამბავთან დაკავშირებით და ისიც იმიტომ მოხდა, რომ ევროსასამართლომ გამოიტანა გამამტყუნებელი განაჩენი. ეს გამონაკლისი არის ისეთი, რომელიც წესის არსებობას ადასტურებს. ასეთი მაგალითი ათეულობით კი არა, ასეულობით არის, მაგრამ ხელისუფლება ამაზე თვალს ხუჭავს. გამოძიება რომ მიმდინარეობს ასეთი შემთხვევების, ყოველთვის ცდილობენ გამომძიებლები და პროკურორები, ან შეაშინონ და უთხრან, რომ უარესი დაგემართება თუ შენ ამ საჩივარს არ გაიტან, ან არ შეცვლი ჩვენებას, ან პირდებიან რაღაც შეღავათებს, პირობით გათავისუფლებას, შეწყალებას და ა.შ. და ძალიან ხშირ შემთხვევებში აცვლევინებენ ხოლმე ჩვენებებს.



– ბოლო პერიოდში რა ტენდენცია შეინიშნება, რამდენად დამძიმებულია ფონი?

– ბოლო პერიოდში განსაკუთრებით დამძიმდა ფონი, ალბათ იმიტომ, რომ არჩევნები ახლოვდება.

– ამის შესახებ ბევრს საუბრობენ, რომ არჩევნების გამო ციხეებში საგანგებო მდგომარეობაა და რა კავშირია არჩევნებსა და ციხეებს შორის?

– იქ არის რამდენიმე მომენტი, ერთი ის, რომ კონტინგენტი 25 ათასზე მეტია და მათი ოჯახის წევრებს თუ ჩავთვლით და მათ ახლობლებსაც, ეს ციფრი ასი ათას სცილდება. ერთი მხრივ, მათ უნდათ ხმების მობილიზება და მოპოვება ამის საშუალებით. მეორე მხრივ, იქ წესრიგი უნდა იყოს და არ უნდა მოხდეს რაღაცა ბუნტის მაგვარი. უნდა იყოს დაშინება. ჩვენი ხელისუფლების პოლიტიკა ხომ დაშინება და მოსყიდვაა, ეს არის მათთვის ორი მთავარი ინსტრუმენტი. ნაწილს პატიმრებისას შეპირდებიან, რომ გაათავისუფლებენ, ან რაღაც შეღავათებს მისცემენ, მეორე ნაწილს კი დააშინებენ. გამოყოფენ ავტორიტეტებს, რადგან კანონიერი ქურდები აღარ არიან, ისინი დაამუშავებენ პატიმრებს. მით უმეტეს, ახალი საარჩევნო კოდექსით პატიმრებს, ვისაც ხუთ წლამდე აქვთ მისჯილი, ასევე იმათ, ვისაც ჯერ მისჯილი არა აქვთ, მისცეს საშუალება, რომ არჩევნებში მიიღონ მონაწილეობა. ძალიან აქტუალურია ეს საკითხი ხელისუფლებისთვის. გარეთ ნათესავებს ამუშავებენ, პირდებიან ოჯახის წევრებს, რომ შეღავათი ექნება შენი ოჯახის წევრ პატიმარს და ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, ძალიან აქტუალურია და ამიტომ უნდა იყოს გადაკეტილი საინფორმაციო წყარო, პატიმრებს არანაირი იმედი არ უნდა ჰქონდეთ, ისევ ამ ხელისუფლების შემყურე უნდა იყვნენ. ამისათვის საერთოდ შეზღუდეს, თუ აქამდე რაღაცა გაზეთები მაინც შედიოდა, უკვე ბოლო რამდენიმე თვეა არანაირი გაზეთი არ შედის, თუ არ ჩავთვლით სპორტულ გაზეღებს და ყვითელ პრესას. თუმცა, როცა დაძაბულობა პიკს აღწევს და პოლიტიკური ტემპერატურა გარეთ მაღლა იწევს, ეს ჟურნალებიც აღარ არის გაყიდვაში. გარედან რამის შეგზავნა კი შეუძლებელია. ტელევიზია მხოლოდ ზონებშია და იქაც მხოლოდ იმედის და რუსთავი ორის ყურება არის შესაძლებელი. რაც შეეხება რადიოებს, რადიოები აქვთ, ოღონდ ყველა პროგრამას ვერ იჭერენ და თუ გარეთ დაძაბულობა მატულობს, მაშინ რადიოებსაც ურთავენ. საერთაშორისო და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სტანდარტებით, ნებისმიერ პატიმარს აქვს ინფორმაციის მიღების უფლება და ამ სტანდარტებსაც არღვევენ, როდესაც ასე იქცევიან ხელისუფლების წარმომადგენლები.

– ბატონო გელა, რაც შეეხება სიკვდილიანობის ფაქტებს, ერთი პერიოდი საკმაოდ ხშირი იყო პატიმრების გარდაცვალების შემთხვევები. დღეს რა სიტუაციაა ამ მხრივ?

– დაახლოებით ორ-სამ დღეში ერთხელ ერთი პატიმარი იღუპება. თუ ოფიციალურ სტატისტიკას დავეყრდნობით, 140 პატიმარია დაღუპული მხოლოდ შარშან. წელს ეს სტატისტიკური მონაცემები ჯერ არა გვაქვს, მაგრამ ამ ფარგლებში იქნება. როდესაც ორ-სამ დღეში ერთხელ ერთი პატიმარი იღუპება, რა თქმა უნდა, საშინელებაა და ეს კიდევ ერთი მძიმე მომენტია, რომლითაც, სხვათა შორის, ხდება მართვა ამ პატიმრების. ამაზე მეტი რა უნდა წაართვა ადამიანს. ეს მაგალითები როდესაც აქვთ პატიმრებს და მათი ოჯახის წევრებს, ყველანაირად დათრგუნულები არიან და უმრავლესობა ცდილობს დაემორჩილონ ხელისუფლების მოთხოვნებს, რათა არ დაკარგონ სიცოცხლე. ამ სისტემის ხელმძღვანელები ადამიანის დაღუპვის ფაქტებს ძალიან მშვიდად უყურებენ, აცხადებენ, რა მოხდა მერე, გარეთაც კი კვდება ხალხიო და ავიწყდებათ, რომ გარეთ მყოფები თვითონ არიან პასუხისმგებლები საკუთარ ჯანმრთელობაზე. ამ ადამიანებზე კი სახელმწიფომ უნდა იზრუნოს, რომლებზეც პასუხისმგებლობა აიღო და თავისუფლება აღუკვეთა. მათ არა აქვთ საკუთარ ჯანმრთელობაზე ზრუნვის საშუალება და კანონმდებლობაც ამას განსაზღვრავს, საერთაშორისოც და ადგილობრივიც, რომ იმ შემთხვევაში თუ მძიმე დაავადება აქვს და სიკვდილის პირას არის ადამიანი, კანონმდებლობით ეკუთვნით ვადამდე პირობით გათავისუფლება, ან სასჯელის გადავადება გამოჯანმრთელებამდე, მაგრამ ეს ჩვენთან არ ხდება. კომისიაც არის შექმნილი, რომელიც მხოლოდ ფორმალურად მოქმედებს. ასეთი კომისიების შექმნა და თვალებში ნაცრის შეყრა იმისთვის, რომ თითქოს ჩვენთან რაღაც რეფორმები მიმდინარეობს, ეს, რა თქმა უნდა, ჩვენი ხელისუფლებისთვის დამახასიათებელია და გამონაკლისი არც აქ არ არის. პრაქტიკულად შედეგი რა გვაქვს, შედეგი არის ის, რაზეც მე ზემოთ გელაპარაკეთ.

– გამოდის, რაც უფრო მოახლოვდება არჩევნები, ამ სისტემაში ვითარება მით უფრო დამძიმდება?

– ისევე, როგორც გარეთ, რაც უფრო მოახლოვდება არჩევნები, სიტუაცია ამ სისტემაშიც საგრძნობლად დაიძაბება. ხელისუფლებისთვის მთავარი არის მაქსიმალურად აკონტროლოს ის მასა, რომელიც საარჩევნოდ ხმებს იძლევა. საარჩევნო ხმებს კი იძლევიან არა მხოლოდ გარეთ მყოფი ადამიანები, არამედ პატიმრები, მათი ოჯახის წევრები და მათი ახლობლები. ბუნებრივია, პატიმარზე ზემოქმედება უფრო ადვილია, ვიდრე გარეთ მყოფებზე და, რა თქმა უნდა, ხელისუფლებაც ყველაფერს გააკეთებს ამისთვის.

სასამართლომ „გლობალ კონტაქტ კონსალტინგის“ საჩივარი არ დააკმაყოფილა

თბილისის საქალაქო სასამართლომ კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიის წინააღმდეგ კომპანია „გლობალ კონტაქტ კონსალტინგის“ საჩივარი არ დააკმაყოფილა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ კომპანიის დირექტორმა, ზურაბ ბაზლიძემ განუცხადა, მოსამართლემ მოწინააღმდეგე მხარის დასწრების გარეშე მიიღო გადაწყვეტილება, რომ საჩივარი არ დააკმაყოფილოს

საქმე ეხება კომპანია „რეალკომის“ წერილის საფუძველზე კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიის გადაწყვეტილებას „გლობალ კონტაქტ კონსალტინგის“ დაჯარიმების თაობაზე.

„მარეგულირებელ კომისიას ჩვენი კონკურენტი კომპანია „რეალკომისგან“ გაეგზავნა წერილი, თითქოს ჩვენ ვახდენდით ამ კომპანიის სიხშირის გამოყენებას, ანუ ემთხვეოდა ჩვენი სიხშირეები. ამის გამო დაგვაჯარიმეს, სასამართლომ კი, დღეს მხარის დასწრების გარეშე არ დააკმაყოფილა ჩვენი საჩივარი ჯარიმის მოხსნასთან დაკავშირებით“, – განაცხადა ზურაბ ბაზლიძემ.

მისი თქმით, „რეალკომი“ სიხშირეს, რომელზეც „გლობალ კონტაქტ კონსალტინგს“ ედავებოდა, 2004 წლის შემდეგ არ იყენებდა.

„ახლა გადაწყვიტეს მაუწყებლობა და იყიდეს აპარატურა. დაგვაბრალეს, რომ მათ სიხშირეს ვაიყენებთ და ამის გამო დაგვაჯარიმეს“, – განაცხადა ზურაბ ბაზლიძემ.

ინტერპრესნიუსი

„ქართუ ჯგუფის“ დამფუძნებელი ბიძინა ივანიშვილი არ არის

„ქართუ ჯგუფის“ დამფუძნებელი ბიძინა ივანიშვილი არ არის და ეს ინფორმაცია აღსრულების ბიუროს უკვე გადაეგზავნა, – ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ „ქართუ ჯგუფის“ იურიდიული სამსახურის უფროსმა, ალა კახნიაურმა განუცხადა.

მისი თქმით, აღსრულების ბიუროს არანაირი საფუძველი არ აქვს, „ქართუ ჯგუფი“ დააყადაღოს. როგორც კახნიაურმა აღნიშნა, „ქართუ ჯგუფს“ 6 დამფუძნებელი ჰყავს.

„აღსრულების ბიუროს მივაწოდეთ ინფორმაცია „ქართუ ჯგუფის“ დამფუძნებლების შესახებ. დამფუძნებელია ორი ქართული კომპანია – სააქციო საზოგადოება „აგრო სერვისი“ და სააქციო საზოგადოება „ინტერ ინვესტი“. ასევე ოთხი ოფშორულ ზონაში რეგისტრირებული კომპანია“,-აღნიშნა კახიანურმა და განაცხადა, რომ ქართუ ჯგუფს“ დაყადაღების საფრთხე წესით არ ემუქრება.

„თუმცა, რას მოიფიქრებენ, ჩემთვის უცნობია. ჩვენ ხომ უწესო ქვეყანაში ვცხოვრობთ“, – დასძინა კახნიაურმა.

აღსრულების ეროვნულმა ბიურომ 22 ივნისს გააკეთა განცხადება, რომ ბანკ „ქართუს“ და „ქართუ ჯგუფს“, ბიძინა ივანიშვილის დაჯარიმებასთან დაკავშირებით დაწყებული სააღსრულებო პროცედურების ფარგლებში, დამფუძნებლების შესახებ ინფორმაცია მოსთხოვა.

იმავე დღეს ბანკ „ქართუს“ პრეზიდენტმა, ნოდარ ჯავახიშვილმა „ინტერპრესნიუსს“ განუცხადა, რომ ინფორმაციას აღსრულების ბიუროს, კანონით დადგენილ ვადაში, ანუ 10 დღეში გადაუგზავნის.

ინტერპრესნიუსი

მიხეილ სააკაშვილი 29 ივნისს ბაქოს ეწვევა

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი 29 ივნისს ბაქოს ეწვევა, – ამის შესახებტრადიციულ ბრიფინგზე პრეზიდენტის პრესსპიკერმა მანანა მანჯგალაძემ განაცხადა. პრეზიდენტის პრესპიკერის თქმით, აზერბაიჯანში მიხეილ სააკაშვილი რეგიონული ფორუმის მუშაობაში მიიღებს მონაწილეობას.

ვიზიტის ფარგლებში, საქართველოს პრეზიდენტი პირისპირ შეხვდება აზერბაიჯანის პრეზიდენტ ილჰამ ალიევს.

ინტერპრესნიუსი

პოლონეთის სენატის თავმჯდომარემ საჯარო ლექცია წაიკითხა

გუშინ ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს პოლონეთის რესპუბლიკის სეიმის დელეგაცია სენატის თავმჯდომარის ბოგდან ბორუსევიჩის ხელმძღვანელობით ეწვია. სენატის თავმჯდომარემ თსუ-ში წაიკითხა საჯარო ლექციას „პოლონეთის გზა დამოუკიდებლობისაკენ.“

ბოგდან ბორუსევიჩმა მოკლედ მიმოიხილა პოლონეთის ბოლო პერიოდის ისტორია, ისაუბრა რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ პოლონელი ხალხის დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაზე.

„რატომ უყვართ პოლონელებს ქართველები - ამის მიზეზი ის საერთო ფასეულობებია, რომელიც ორივე ერისთვის მნიშვნელოვანია. ჩვენ დაახლოებით 250- წლიანი საერთო ისტორია გვაკავშირებს. ჩვენ მხარს ვუჭერთ საქართველოს და ეს არ არის ვინმეს წინააღმდეგ გატარებული პოლიტიკა. ცხადია, საქართველო უფრო რთულ ვითარებაშია, რადგან კავკასიის რეგიონი კონფლიქტებით აქტიური რეგიონია. ოციოდე წლის წინ პოლონელმა ხალხმა თავად გაიკეთა დემოკრატიული არჩევანი ნაცრისფერ სამყაროსა და ევროსტრუქტურებში და ნატოში ინტეგრაციას შორის. ევროკავშირში ყოფნა პოლონეთის უსაფრთხოების გარანტიაა. რაც შეეხება ენერგოუსაფრთხოებას და რუსულ ენერგომატარებლებზე დამოკიდებულებას: პოლონეთისთვის ენერგოუსაფრთხოება ნავთობისა და გაზის ახალი გზებისა და რესურსების მოპოვებაა. ამ საკითხისადმი ოდნავ სხვა დამოკიდებულებაა ძველ ევროპად მოაზრებულ ქვეყნებში. ძველი ევროპისთვის რუსული გაზი და ნავთობი არასტაბილური არაბული სივრცის ალტერნატივაა“, – განაცხადა სენატის თავმჯდომარემ.

ღონისძიებას საქართველოში პოლონეთის რესპუბლიკის ელჩი ურსულა დრაშევსკა, თსუ სტუდენტები, აკადემიური წრეების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და საქართველოში პოლონური დიასპორების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

სენატის თავმჯდომარე ბოგდან ბორუსევიჩი თსუ-ს ვარშავის უნივერსიტეტის სემინარების ციკლის ფარგლებში ეწვია. სემინარების მიზანია ხელი შეუწყოს პოლონეთის თანამედროვე ისტორიისა და კულტურის უკეთ გაცნობას საქართველოში. ღონისძიების ორგანიზატორია ვარშავის უნივერსიტეტის კავკასიის სამეცნიერო კვლევის ცენტრი.

პოლონეთის რესპუბლიკის სენატის თავმჯდომარის ბოგდან ბორუსევიჩის ვიზიტი საქართველოში 25 ივნისიდან 28 ივნისამდე გაგრძელდება. ვიზიტის ფარგლებში სენატის თავმჯდომარე შეხვდება საქართველოს პრეზიდენტს, პრემიერ-მინისტრს, პარლამენტის თავმჯდომარეს. ბოგდან ბორუსევიჩი ეწვევა მცხეთას, ქუთაისს, თერჯოლას და ბათუმს.

მედიანიუსი

ფოთში სამეგრელოს ქუჩის მოსახლეობამ ქალაქში შესასვლელი გადაკეტა

ფოთში, სამეგრელოს ქუჩის მოსახლეობამ ნახევარი სათით ქალაქში შესასვლელი ცენტრალური მაგისტრალი გადაკეტა.

როგორც "ინტერპრესნიუსის" კორესპონდენტი იუწყება, ადგილობრივი მოსახლეობა, სამეგრელოს ქუჩის გავლით, მძიმეტონაჟიანი სატვირთო მანქანების გადაადგილებას აპროტესტებს.

მოსახლეობა, მძიმეტონაჟიანი მანქანების გადაადგილების გამო, საცხოვრებელი სახლების დაზიანებას არ გამორიცხავს. ისინი გზის შეკეთებას ან მარშუტის შეცვლას ითხოვდნენ.

აქციაზე ფოთის მერის პირველი მოადგილე დავით ხომერიკი მივიდა, რომელმაც ადგილობრივებს განუმარტა, რომ მიწისქვეშა კომუნიკაციების სამუშაოების დასრულებამდე ასფალტის ახალი საფარი ვერ დაიგება. მოგვიანებით, აქციის ორგანიზატორებმა და დავით ხომერიკმა ქალაქის საკრებულოს თავმჯდომარის ივანე საღინაძის კაბინეტში მოლაპარაკებებისთვის გადაინაცვლეს, რომელიც მედიისთვის დახურული იყო.

შეხვედრიდან გამოსული მოსახლეობა ამბობს, რომ საღინაძისგან რაიმე კონკრეტული ღონისძიების შესახებ ინფორმაცია ვერ მიიღეს.

საკრებულოს თავმჯდომარეს მედიასთან კომენტარი არ გაუკეთებია.

ინტერპრესნიუსი

2012, 27 ივნისი, №151

აფხაზებმა რუსებს 5 მილიარდი „მოუჭეხეს“?

რას წაიღებს მოსკოვი ამის სანაცვლოდ

თეა მარხვაიძე

აფხაზეთში მორიგი სკანდალი გორდება. ისევე, როგორც ახლო წარსულში, აფხაზი დეპუტატები ახლაც შექმნიან სპეციალურ კომისიას, რომელმაც თანხების არამიზნობრივი ხარჯვა უნდა შეისწავლოს. აქაურმა ჩინოსნებმა რუსებთან ერთად კარგად დაამხეცეს თანხების მოტება. მოტეხილი თანხების მოძებნა, როგორც წესი, ძალიან ჭირს. მით უმეტეს, რომ ამის გამო აფხაზეთში ჯერ არავინ დაუჭერიათ.

ალბათ, გახსოვთ, რა სკანდალი ატყდა წინა წლებში.

აფხაზური ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი იაკუბ ლაკობა გისოსებს მიღმა გამოამწყვდიეს. სასჯელი მხოლოდ იმიტომ დაიმსახურა, რომ რუსი მაკონტროლებლების დასკვნაში ეჭვი შეიტანა. საზოგადოების პროტესტის გამო, ხელისუფლება იძულებული გახდა ლაკობა გაეთავისუფლებინა. რუსული დასკვნა და გამქრალი მილიონები კი დიდი ხნის განმავლობაში იყო სალაპარაკო.

ამ თემაზე აქტიურად საუბრობდა რაულ ხაჯიმბა. მისი თანამოაზრე დეპუტატი რიტა ლოგუა სპეციალური კომისიის წევრი იყო. ეს კომისია რუსეთის მიერ გამოყოფილი თანხების მიზნობრივად ხარჯვას სწავლობდა. კომისიამ ბევრი დარღვევა აღმოაჩინა. დასკვნაც დაიდო, მაგრამ რეაქცია არ იყო. არადა, საუბარი ასობით მილიონი რუბლის გაქრობას ეხებოდა.

ნათქვამია, მადა ჭამაში მოდისო და აქაურებსაც გაეხსნათ მადა. ახლა აფხაზეთში 2 მილიარდ რუბლს დაეძებენ. რომელიც რუსეთმა აფხაზეთის რკინიგზის აღსადგენად გამოყო.

პორტალ „აპსნი.რუს“ ცნობით, აფხაზეთის პარლამენტი აპირებს სპეციალური კომისიის შექმნას. რომელმაც 2 მილიარდიანი თაღლითობა უნდა გამოიძიოს.

„ექსპერტთა კლუბის“ ინფორმაციით, 2009 წელს აფხაზებისა და რუსეთის ხელმძღვანელებს შორის შედგა მოლაპარაკება, რომლის საფუძველზე რუსეთის რკინიგზას მართვის უფლებით 10 წლის ვადით გადაეცა „აფხაზეთის რკინიგზა“. სანაცვლოდ რუსეთი „აფხაზეთის რკინიგზის“ სარეაბილიტაციოდ გამოყოფდა 2 მილიარდ რუბლს, რომელსაც აფხაზეთი კი არ ღებულობდა, არამედ რუსეთის რკინიგზა, რომელიც ახორციელებდა სამუშაოებს.

– რკინიგზა რუსეთს გადაეცა, აღსადგენ თანხებს რუსეთი აძლევს თავისსავე ორგანიზაციას, ხოლო ამ კრედიტის მიმღებად და გადამხდელად აფხაზეთია დაფიქსირებული. „დეპუტატებმა“ და ჟურნალისტებმა გაიხსენეს, რომ ამ საეჭვო კრედიტის შესახებ აწ განსვენებულმა ბაღაფშმა ასეთი განმარტება გააკეთა: „რუსეთის რკინიგზა გვეხმარება გზის აღდგენაში. ამის შემდეგ ბიზნესი, რომელიც გადაზიდავს ტვირთებს, ასევე რეექსპორტი, გადაუხდის რუსეთის რკინიგზას თანხებს“.

აქედან ჩანს განმარტების ავტორის პირადი დაინტერესება, თორემ რუსეთისთვის გადაცემული გზის რემონტისთვის რუსების მიერ გამოყოფილი ფინანსები კრედიტის სახით რატომ უნდა მიეღო ფორმალურად აფხაზეთს? ამასვე ადასტურებს ხელშეკრულების ოფიციალური გასაიდუმლოება. კი გაასაიდუმლოეს, მაგრამ მიმდინარე წლის დასაწყისში „სახელმწიფო ბიუჯეტში“ მოუწიათ ამ კრედიტის დასაფარად სათანადო პუნქტის ჩადება, რამაც „დეპუტატთა“ აღშფოთება გამოიწვია. აღმოჩნდა, რომ იმდროინდელმა ე.წ. „საგარეო საქმეთა სამინისტრომ“ მოახდინა დოკუმენტის ფალსიფიკაცია, კერძოდ, „პარლამენტისგან“ მალულად მოამზადა და გადააგზავნა რუსეთში ყალბი „რატიფიკაციის სიგელი“, რაც ნიშნავს, რომ აფხაზეთის „პარლამენტი“ ადასტურებს ხელშეკრულების ლეგიტიმურობას, – აღნიშნავენ.

დეპუტატი რაულ ხაჯიმბა აღნიშნავს, რომ ხელშეკრულებაში აფხაზურმა მხარემ სავარაუდოდ სახელმწიფო საკუთრება ჩადო, ანუ რუსები ოფიციალურად დაეპატრონებიან კიდევ ერთ სერიოზულ ობიექტს.

– ჯერჯერობით არ კონკრეტდება, თუ რომელი ობიექტია ჩადებული, მაგრამ ლოგიკურია ვივარაუდოთ, რომ ეს ობიექტი თავად აფხაზეთის რკინიგზა იქნება. საბოლოოდ აღმოჩნდება, რომ რუსებმა საკუთარი რკინიგზისთვის გადახდილი თანხით შეიძინეს საქართველოს რკინიგზის აფხაზეთის მონაკვეთი. კი წუწუნებენ აფხაზი „დეპუტატები“, ასეთი პოლიტიკით სახელმწიფოებრიობას დავკარგავთო, თუმცა გაუგებარია, როგორ უნდა დაკარგონ ის, რაც არ გააჩნიათ? – კითხულობენ ქართველი ექსპერტები.

მათთვის გაუგებარია, აფხაზებმა დღემდე რატომ ვერ გაშიფრეს ფულის გათეთრების რუსულ-აფხაზური მარტივი სქემა. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, მათი აზრით, სქემა ასეთია: 2 მილიარდი რუბლი რუსული ბიუჯეტიდან წავიდა რუსი და აფხაზი მაღალჩინოსნების ჯიბეებში.

– რკინიგზის მონაკვეთის კოსმეტიკური რემონტი რუსეთის რკინიგზამ განახორციელა და სათანადოდაც გაწერა. ამის შემდეგ რუსეთის მიერ აფხაზეთისთვის გამოყოფილი თანხები სეპარატისტთა „ბიუჯეტის“ გავლით ისევ რუსეთის რკინიგზისკენ წავა და „საჭირო ადგილას“ ჩაბარდება „საჭირო ხალხს“. ასე მუშაობს რუსეთის ხელისუფლება აფხაზებსა და ოსებთან და ნუთუ კიდევ ვერ ხვდება ეს ხალხი, რომ წარმოადგენენ კრიმინალური სქემის ნაწილს, რომელიც გარეშეთა თვალის ასახვევად ფორმალურად შეფუთულია ისეთი ცნებებით, როგორებიცაა „აღიარება“, „სუვერენიტეტი“, „სახელმწიფოებრიობა“ და ა.შ. თუ ეს ასე არაა, მაშინ განმარტონ ჩვენმა აფხაზმა და ოსმა ძმებმა, რატომ უჭერს პუტინი „არჩევნებისას“ ყოველთვის მხარს სახელგატეხილ, კრიმინალური მენტალობის, „ყურებით დაჭერილ“ ადამიანებს, რომლებსაც მოსკოვიდან ერთი სატელეფონო ზარით ყველაფერზე დაითანხმებ, – ნიშნისმოგებით კითხულობენ „ექსპერტთა კლუბში“.

სარკინიგზო მილიარდები, როგორც ჩანს, „აპსნი.რუ“ ამ საკითხით ძალიან დაინტერესდა. აქ ნადეჟდა ვენედიქტოვას წერილი დაიბეჭდა, რომელიც, ქართველი ექსპერტების აზრით, მთლად თავზარდამცემი და შოკისმომგვრელია. ჟურნალისტის მტკიცებით, აფხაზებს გაცილებით მსხვილი კრედიტები აუთვისებიათ და ახლის მისაღებადაც ემზადებიან.

– დაუფარავი კრედიტები აფხაზეთში აჭარბებს 3 მილიარდ რუბლს. შეგახსენებთ, რომ ასეთ თანხას რუსეთი აფხაზეთს გამოუყოფს მთელი წლის განმავლობაში. არ შეიძლება ითქვას, რომ სახელმწიფო არაფერს არ აკეთებს ამ კრედიტების დასაბრუნებლად, უსუსური მცდელობები იყო: მიღებულია სასამართლოს 377 გადაწყვეტილება, რომელიც ავალდებულებს კრედიტორებს 438 მილიონი რუბლის დაბრუნებას, მაგრამ ეს დადგენილებები არ სრულდება“. მოკლედ, შეჭამეს 3 მილიარდი. აქედან მხოლოდ 438 მილიონზეა სასამართლოგადაწყვეტილება და ისიც არ სრულდება. კი, მაგრამ, დანარჩენი? დანარჩენი ეტყობა ისეთ ხალხს აქვს აღებული, რომლებსაც აფხაზური სასამართლო“ ვერ შეწვდა, – წერს რუსი ჟურნალისტი.

ვენედიქტოვა გაოგნებულია იმის გამო, რომ აფხაზ მოვალეებს არავინ სჯის.

– ჩვენი კანონებით, თუ მოქალაქე 3 თვის ვადაში არ შეასრულებს სასამართლოს დადგენილებას, მიეცემა სისხლის სამართლის პასუხისგებაში, მაგრამ 377 მოვალიდან არც ერთი არ დასჯილა. ვღებულობთ სამწუხარო რეალობას. სასამართლო ხელისუფლება, რომლის მიერ მიღებული სწორი გადაწყვეტილება არ სრულდება, გამოიყურება სასაცილოდ და უსუსურად. საკანონმდებლო ხელისუფლება, რომელიც არ უზრუნველყოფს სამართლებრივი ბაზით სწორი გადაწყვეტილებების აღსრულებას, გამოიყურება უპასუხისმგებლოდ. აღმასრულებელი ხელისუფლება, რომელიც ვერ სჯის მოვალეებს, ზოგადად გამოიყურება, როგორც შიშარა გოგონა. არავითარ ძლიერ პრეზიდენტზე, ძლიერ პარლამენტსა და ძლიერ სასამართლო სისტემაზე ლაპარაკიც არ შეიძლება! არსებითად, ეს ხელისუფლების ყველა შტოს გამოწვევაა... რა ფინანსურ დისციპლინაზეა საუბარი, თუ ადამიანი იღებს კრედიტს ბიზნესის განვითარებისთვის და ყიდულობს „ინომარკას“ ან ავეჯს – ხალხო, ჩვენ ხომ XXI საუკუნეში ვცხოვრობთ! თუ სახელმწიფომ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში ვერ შეძლო ამ პრობლემის მოგვარება, ქვეყნის სტაბილური განვითარების იმედს შეიძლება დავემშვიდობოთ, – მიიჩნევს ვენედიქტოვა.

ქართველი ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ეს კრედიტები აფხაზებისთვის ძალიან ცუდი შედეგით დასრულდება.

– თითოეული კრედიტის გარანტად აფხაზეთში მდებარე უძრავი ქონებაა ჩადებული, რომელიც საქართველოს საკუთრებაა, მაგრამ დღესდღეობით განკარგავენ „სუვერენიზირებული“ აფხაზები. განკარგავენ სრულმასშტაბიანად, ვინაიდან, როგორც ვენედიქტოვა წერს, ბიზნესის განვითარებასა და ცივილიზებული ფორმით გადახდაზე არც ფიქრობენ: ჯამ-ჭურჭელს ყიდულობენ. ყიდულობენ და თან ჰგონიათ, რომ ეს „კაიფი“ უსასრულოდ გაგრძელდება: რუსი ქართველის ჯიბაზე მუდმივად დააფინანსებს მათ განცხრომას. კი ჰგონიათ, მაგრამ ერთი დამფინანსებელსაც ჰკითხონ! რუსი რომ ასეთ რამეს აპირებდეს, სერიოზულ ობიექტებს ჩაიდებდა გირაოში? – კითხულობენ ექსპერტები.

მათი აზრით, სწორედ აქ იმალება შუა საუკუნეების კოლონიალური მეთოდი, როცა ევროპელი კოლონიზატორები იაფფასიან ბრჭყვიალა ნივთებში „უცვლიდნენ“ ოქროს ქვიშას აფრიკული ტომების წარმომადგენლებს. როცა ოქროს ქვიშა გათავდა, რა მოუვიდათ მის ყოფილ მეპატრონეებს? არაფერი, უბრალოდ, გუშინდელმა „პარტნიორებმა“ მონებად გაყიდეს!

მონებს რაც შეეხება, ჯერჯერობით აფხაზეთში გაყიდეს რუსები მონებად. ამაზე რუსეთში დიდი ხმაური იყო. დადგება დრო და მოსკოვი ამისთვისაც მოითხოვს სამაგიეროს.

„კონსტიტუციის 42-ე მუხლმა“ წამების მსხვერპლთა მხარდასაჭერი აქცია გამართა

წამების წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით გუშინ პარლამენტის წინ არასამთავრობო უფლებათადაცვითმა ორგანიზაცი-



ამ „კონსტიტუციის 42-ე მუხლმა“ წამის მსხვერპლთა მხარდასაჭერი აქცია გამართა.

აქციის მონაწილეთა თქმით, საქართველოში ფსიქოლოგიური და ფიზიკური წამების მსხვერპლთა მდგომარეობა სავალალოა. ამ მხრივ განსაკუთრებით დიდი მომართვიანობაა გლდანის საპატიმრო დაწესებულებაში მყოფი პატიმრებისგან, რომლებსაც საბოლოოდ არა აქვთ განაჩენი გამოტანილი. თუმცა როგორც არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები აცხადებენ, პატიმრები რამდენიმე დღეში ჩვენებას ცვლიან, რაც ფსიქოლოგიურ წამებასთანაა კავშირში.

„ჩვენ თავს უფლება მივეცით, წამებულ მსხვერპლთა დასაცავად პარლამენტის წინ მხარდასაჭერი აქცია გაგვემართა. რადგან ხელისუფლებამ უნდა გამოიჩინოს პოლიტიკური ნება რომ დასაჯოს პირები რომლებიც აწამებენ ხალხს. განსაკუთრებით პასუხი უნდა აგონ პენიტენციარულ სისტემაში მომუშავე თანამშრომლებმა“, – განაცხადა არასამთავრობო ორგანიზაცია „კონსტიტუციის 42 -ე მუხლის“ გამგეობის თავმჯდომარე თამარ გაბისონიამ.

მედიანიუსი

საქართველოს დელეგაცია მოლდოვაში კონფერენციას დაესწრო

საქართველოს შს სამინისტროს ცნობით, სამართალდამცავ სისტემაში კორუფციასთან ბრძოლის სფეროში საქართველოს გამოცდილების გაზიარების მიზნით კიშინიოვში კონფერენცია გაიმართა. საქართველოს დელეგაციას წარმოადგენდა საქართველოს შინაგან საქმეთა და იუსტიციის სამინისტროს ოფიციალური პირები. დელეგაციას ხელმძღვანელობდა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ეკატერინე ზღულაძე. ქართულმა მხარემ წარადგინა სამართალდამცავი სისტემის რეფორმირების მიზნით გატარებული ღონისძიებები და მათთან დაკავშირებული სირთულეები.

კონფერენციას ესწრებოდა მოლდოვეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ვლად ფილატი, შინაგან საქმეთა მინისტრი ალექსეი როიბუ, იუსტიციის მინისტრი ოლეგ ეფრიმი, მინისტრების მოადგილეები და საერთაშორისო თანამეგობრობის წარმომადგენლები.

მოლდოვაში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა, თავის მისასალმებელ სიტყვაში განაცხადა: „სახელმწიფო მდივანი კლინტონი ცოტა ხნის წინ იმყოფებოდა საქართველოში, სადაც მან გააკეთა კომენტარი სხვადასხვა პოზიტიური ცვლილებების შესახებ და აღნიშნა, თუ რამდენი ახალგაზრდა დემოკრატიის ქვეყანა მიმართავს საქართველოს მაგალითს, რათა შეისწავლოს თუ როგორ მიაღწიეს ამდენს ასეთ მცირე დროში. საქართველოს წინსვლა პოლიციის რეფორმირებისა და კორუფციასთან ბრძოლის სფეროებში შთამბეჭდავია და მოლდოველთა ნამდვილად შეუძლია რეფორმების პროცესში ისარგებლოს საქართველოს გამოცდილებით.“

კონფერენციის მომდევნო დღეს გაიმართა ორმხრივი შეხვედრები მოლდოველთის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა და იუსტიციის სამინისტროებში, სადაც საქართველოს დელეგაციამ გაუზიარა თავისი გამოცდილება და შესთავაზა მოლდოვურ მხარეს დახმარება სხვადასხვა სფეროებში.

მედიანიუსი

ლეიბორისტებს გოროზიასთან პრეტენზიები აქვთ

ლეიბორისტული პარტია სოფლის მეურნეობის მინისტრს მოუწოდებს, დაუყოვნებლივ უზრუნველყოს ქართლისა და კახეთის მიწების მორწყვა.

როგორც გუშინ ბრიფინგზე პარტიის გენერალურმა მდივანმა იოსებ შატბერაშვილმა განაცხადა, როდესაც მიხეილ სააკაშვილი საკუთარ ვენახში მოწეული მოსავლით ტკბება და პერსონალური თვითმფრინავის ილუმინატორიდან ათვალიერებს საქართველოს სოფლებს, ამ დროს ქართლისა და იმერეთის სოფლები უწყლობისგან სულს ღაფავენ.

„ათეულათასობით ჰექტარი დაუმუშავებულ მიწას გახმობისა და გაუდაბნოების საშიშროება ელის, ხოლო გლეხს არ გააჩნია ტექნიკა, არ აქვს დიზელის საწვავის შეძენის ფული, არ აქვს შხამქიმიკატებით მიწის დამუშავების საშუალება და ახლა ამას ემატება უწყლოობა. ხელისუფლება ყველაფერს უძებნის გამართლებას. საწვავზე ამბობს, რომ მსოფლიო ბაზარზე ნავთობის ფასი გაიზარდა, ტექნიკაზე ამბობს, რომ ძვირია, მაგრამ წყალზე რაღას გვეტყვიან, რომელიც ჩვენი ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრეა და წესით სულ უფასო უნდა იყოს. უფასოს ვინღა ჩივის, საერთოდ არ არის და სოფლებს გაუდაბოებან და შიმშილობა ემუქრება“,-განაცხადა პრესკონფერენციაზე იოსებ შატბერაშვილმა და დასძინა, რომ მიუხედავად სამელიორაციო, სარიგაციო სისტემის რეაბილიტაციაზე გამოყოფილი 70 მილიონისა, ქართლსა და კახეთს წყალი არ აქვს.

„მივმართავთ სოფლის მეურნეობის მინისტრს, დაუყოვნებლივ გასცეს განკარგულება ქართლისა და კახეთის მიწების მორწყვის თაობაზე, გამოვიდეს კაბინეტიდან და უშუალოდ უხელმძღვანელოს ირიგაციის პროცესს“,-განაცხადა მან.

მედიანიუსი

იუსტიციის სამინისტროსთან აქცია — „მატყუარა პროკურორები“ გაიმართა

კოალიცია „ქართული ოცნების“ ახალგაზრდული ორგანიზაციის წარმომადგენლებმა იუსტიციის სამინისტროსთან აქცია გამართეს; აქციის სახელმწოდება იყო „მატყუარა პროკურორები“.

როგორც ჟურნალისტებს ახალგაზრდული ორგანიზაციის ერთ-ერთმა ლიდერმა ცოტნე ზუ-

რაბიანმა განუცხადა, დღეს პროკურორები მიხეილ სააკაშვილის დაკვეთას ასრულებენ და სწორედ ამას აპროტესტებენ.

„მატყუარა პროკურორები ასრულებენ სააკაშვილის გადაწყვეტილებას და ისინი შორს არიან, სამართლიანობისა და კანონისგან“, – განაცხადა ცოტნე ზურაბიანმა.

რაც შეეხება აქციას, ის ტამტამების ფონზე მიმდინარეობდა. ზურაბიანის განმარტებით, ეს არის სიმბოლური, რადგან „ხელისუფლება და იუსტიციის წარმომადგენლები უკრავენ სააკაშვილის დაკრულზე“.

„ვინც უკრავს სააკაშვილის დაკრულზე, აუცილებლად აგებს პასუხს“, – განაცხადა ცოტნე ზურაბიანმა. მისივე განცხადებით, ახალგაზრდები მიხეილ სააკაშვილს არჩევნების დროს ეტყვიან არას და ისინი პრეზიდენტ სააკაშვილს მოუწოდებენ შეწყვიტოს ძალადობა მათ აქტივისტებზე.

ინტერპრესნიუსი

ხალხმა და ივანიშვილმა თავიანთი არჩევანი მტკიცედ უნდა დაიცვან!

თამარ ნინიძე

ინტერვიუ სოციალ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე გია ჟორჟოლიანთან

– თქვენმა პარტიამ საარჩევნო სტარტი უკვე აიღო. საინტერესოა, როგორ მიმდინარეობს საარჩევნო მზადება?

– ჩვენ ვთანამშრომლობთ „ქართულ ოცნებასთან“, ბიძინა ივანიშვილთან. საპროგრამო დოკუმენტების შემუშავებაში ვმონაწილეობთ. ასევე ვაწარმოებთ პროპაგანდას მთელი რიგი მიმართულებებით როგორც თბილისში, ასევე რეგიონებში. ვყალიბდებით მაჟორიტარ კანდიდატებზე.

– ხომ არ არის საუბარი ბლოკში გაერთიანებაზე, მაგალითად, ბურჯანაძესთან და კუკავასთან?

– არა, ვთანამშრომლობთ „ქართულ ოცნებასთან“ და სხვა ბლოკში გაერთიანებაზე არ ვფიქრობთ. ამ გადაწყვეტილებას არ შევცვლით.

– ხელისუფლება „ქართულ ოცნებას“ ნორმალური საარჩევნო პროცესის წარმოებაში ხელს უშლის. როგორია თქვენი აზრი ამ პროცესებზე?

– გეთანხმებით, ჩვენ მედიის საშუალებით არა ერთხელ გამოვთქვით ეს მოსაზრებები, ის რაც ხდება „ქართული ოცნების“ შეზღუდვებთან დაკავშირებით სხვადასხვა ფორმით, იქნება ეს ივანიშვილის დაჯარიმება, ანტენების დაყადაღება თუ სხვა რამ. ახლა დაიწყო პროცესი - რეგიონებში ოფისების ლეგიტიმურობის ეჭვქვეშ დაყენება. ეს ერთი მიზნისკენ არის მიმართული, რომ მაქსიმალურად შეეზღუდოს, ხელი შეუშალოს ივანიშვილის გაერთიანებას, მიღოს მონაწილეობა არჩევნებში. ჩემი აზრით, ეს კიდევ უფრო შორს მიდის, ეს არის ბრძოლა ნამდვილი არჩევნების ჩატარების წინააღმდეგ. ხელისუფლებას არ უნდა არჩევნების ჩატარება, მას უნდა, რომ არჩევნების დღეს, როცა მოქალაქეები მივლენ ან არ მივლენ, ყველაფერი იყოს გადაწყვეტილი. მე ვფიქრობ, ეს შეზღუდვები მუდმივად გაგრძელდება, ხელისუფლებას უნდა, რომ საარჩევნო პროცესს შეუცვალოს სახე და პოლიტიკური პროცესი აქციოს სამართლებრივ პროცესად. იმის ნაცვლად, რომ იყოს ხალხთან ურთიერთობა, სასამართლოებში იყოს საკითხების განხილვა, ახლა რადიკალურ ფორმებს მიმართავენ, 27 მაისის შემდეგ განსაკუთრებით გამოჩნდა, რომ ხალხს არჩევანი გაკეთებული აქვს, ეს არის არჩევანი ძველის უარყოფისა და ახლის მოლოდინი. ხელისუფლება ცდილობს სინამდვილეში შეზღუდოს არა ივანიშვილი, არამედ თვითონ ხალხი, რომ მან გააკეთოს არჩევანი.

– როცა თქვენ ახსენეთ ის, რომ ხელისუფლებას არ სურს არჩევნების ჩატარება, რა იგულისხმეთ ამაში?

– რეალური არჩევნების ჩატარება არ სურს, პლებისციტი უნდა, მე ვარ და დავრჩები.

– საკაშვილმა განაცხადა, რომ იქნება ნულოვანი ტოლერანტობა იმ ადამიანების მიმართ, ვინც თავის თავს კანონზე მაღლა აყენებს. თავის თავი ხომ არ იგულისხმა?

– რამდენიც გნებავთ, იმდენი მაგალითია, როცა ის თავის თავს კანონზე მაღლა აყენებს. საბშუხაროდ, ამას სამართლებრივი შეფასებები არ ეძლევა. ჩვენ არ ვართ სამართლებრივი სახელმწიფო, სადაც ხელისუფლება კანონის დარღვევის გამო პრეზიდენტის იმპიჩმენტის პროცედურას წამოიწყებს. რაც შეეხება ნულოვან ტოლერანტობას, იოლი არ არის, ჩვენ ვიცით ამ პოლიტიკის შედეგები, რეპრესიის მანქანა ძალიან მკაცრია. კანონები არასამართლიანია. თუ ის, ვინც იღებს კანონებს და არის უსამართლო, სად არის გარანტია, რომ შეიძლება იქამდე მივიდეს ხელისუფლება, რომ მას აღარ დასჭირდეს კანონის დარღვევა იმიტომ, რომ მიიღოს ისეთი კანონები, რომელიც პრივილეგირებულ მდგომარეობაში ჩააყენებს მას, ამის მცდელობაა საარჩევნო კანონთან დაკავშირებით. მაგრამ მე უიმედოდ არ ვუყურებ მომავალს, პირიქით, ის რომ ხელისუფლება ასეთ ნაბიჯებს დგამს, მიმანიშნებელია იმისა, რომ სხვა არაფერი დარჩენია, რომ აბსოლუტურად არაპოლიტიკური მეთოდებით, ძალით, რეპრესიით, შეზღუდვის მეთოდით დაუპირისპირდეს იმ ნებას, რომელიც უკვე გამოვლენილია. ჩვენ მოვახერხებთ ისტორიული ცვლილებების მოხდენას. პირველად იქნება, რომ საქართველოში ხელისუფლება შეიცვლება არა ძალის გამოყენებით, არამედ არჩევნებით. ეს გახდება მომავალში დემოკრატიის საწინდარი. რადიკალურად შეიცვლება ჩვენი ცხოვრება.

– ივანიშვილი მხოლოდ დიპლომატიურ კორპუსს ხვდება და აცნობს მას არსებულ მდგომარეობას. ხელისუფლების ხელშია მთელი ადმინისტრაციული რესურსი. როგორ ფიქრობთ, არჩევნებამდე პერიოდში ივანიშვილი როგორ დაიცავს კოალიციას ხელისუფლების ასეთი რეპრესიებისაგან?

– ერთადერთი გზაა ხალხთან უშუალო ურთიერთობა. ხალხის მობილიზება იმისათვის, რომ ხალხმა დაიცვას თავისი არჩევანი. ხმების დაცვაზე კი არ არის საუბარი მხოლოდ, მანამდე ხალხმა და ბიძინა ივანიშვილმა მტკიცედ უნდა დაიცვან თავიანთი არჩევანი.

გიორგი ტუღუში შოთა თოლორდავას პატიმრების წამებაში ადანაშაულებს

შალვა ჯოხაძე

გიორგი ტუღუში

26 ივნისს გაეროს წამების მსხვერპლთა მხარდაჭერის საერთაშორისო დღე აღინიშნა. ეს დღე აღინიშნეს საქართველოშიც. უფლებათა დამცველმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა კიდევ ერთხელ გაამახვილეს ყურადღება, რომ საერთაშორისო საზოგადოების მიერ თითოეული ადამიანის უფლება – არ დაექვემდებაროს წამებას – აღიარებულია, როგორც აბსოლუტური უფლება და მასში ჩარევა არ შეიძლება გამართლებული იყოს, თუნდაც – ყველაზე მაღალ საფეხურზე მდგომი საზოგადოებრივი აუცილებლობით და ფორსმაჟორული სიტუაციით.

სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიშების მიხედვით, საპატიმრო დაწესებულებებში არაადამიანური მოპყრობის არაერთი ფაქტი ფიქსირდება. თუმცა, ხშირ შემთხვევაში, არ ხდება მათი ეფექტური გამოძიება... ცნობისათვის, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის სტატისტიკით, 2012 წელს, ივნისის მონაცემებით, პატიმართა რაოდენობა 23.658-ს შეადგენს, რაც საქართველოს მოსახლეობის 0.53%-ია.

წამების მსხვერპლთა მხარდაჭერის საერთაშორისო დღეს, სახალხო დამცველს, გიორგი ტუღუშს მთავარი პროკურორის, მურთაზ ზოდელავასადმი კიდევ ერთი რეკომენდაციის გაგზავნა მოუხდა. ტუღუშმა ზოდელავას მოსთხოვა, დაიწყოს გამოძიება ქსნის №15 დაწესებულების ეგრეთ წოდებულ ახალ ნაწილში პატიმართა უფლებების სავარაუდო მასობრივი დარღვევების გამო.

– 22 ივნისს, სახალხო დამცველის წარმომადგენლები შეხვდნენ ქსნის დაწესებულებაში განთავსებულ რამდენიმე ასეულ პატიმარს, რომლებიც საუბრობენ მათი უფლებების დარღვევის ფაქტებზე. მსჯავრდებულები აცხადებენ, რომ მათ მიმართ ხშირია სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა, სხვადასხვა სახის ძალადობას და ღირსებისშემლახავ მოპყრობას ყველაზე ხშირად ადგილი აქვს დაწესებულებაში მიღებისას და სამარტოო საკანში მოთავსებამდე. ასევე, ხშირია დასჯის უკანონო მეთოდების გამოყენება მცირედი გადაცდომისთვის. ამას გარდა, დაწესებულებაში ხშირად არ მუშაობს ტელეფონი, პატიმრებს არ მიეწოდებათ პრესა და არ აქვთ რადიომიმღებები.

პატიმრები ასახელებენ რამდენიმე პირს, რომლებიც უშუალოდ მონაწილეებენ მათი უფლებების დარღვევებში, მათ შორის დაწესებულების ხელმძღვანელი შოთა თოლორდავა, მისი მოადგილე, ასევე დიმა ჩხაიძე, ლევან ლეჟავა, გელა იოსავა და ვინმე უჩა, – აცხადებენ სახალხო დამცველის აპარატში.

სახალხო დამცველის სახელზე გამოგზავნილ განცხადებას ხელს აწერს 693 მსჯავრდებული.

23 და 24 ივნისს სახალხო დამცველის რწმუნებულებმა კვლავ მოინახულეს ქსნის №15 დაწესებულებაში განთავსებული მსჯავრდებულები. როგორც აღმოჩნდა, 28 მსჯავრდებული, რომლებმაც ყველაზე აქტიურად გამოთქვეს პრეტენზია დაწესებულებაში არსებული მდგომარეობის გამო, 24 ივნისს, დილის საათებში ქსნის დაწესებულებიდან თბილისის №1 დახურული ტიპის დაწესებულებაში გადაიყვანეს. მათი გადაყვანის მიზეზი ადმინისტრაციამ არ განმარტა.

აღსანიშნავია, რომ ქსნის №15 დაწესებულებაში განთავსებული მსჯავრდებულები სახალხო დამცველს 2010 წლისაც ხშირად მიმართავდნენ კოლექტიური თუ ინდივიდუალური საჩივრებით, რომლებიც შეეხებოდა თანამშრომლების მხრიდან ცემისა და შეურაცხყოფის ფაქტებს. აღნიშნულის თაობაზე სახალხო დამცველის 2010 წლის ანგარიშშიცაა საუბარი და ასევე, არაერთ ასეთ ფაქტზე გამოძებაა დაწყებული. მსჯავრდებული ყველაზე ხშირად ასახელებდნენ დაწესებულების რამდენიმე თანამშრომელს, მათ შორის ლევან ლეჟავას და გელა იოსავას. მსჯავრდებულები აღნიშნავდნენ, რომ ისინი განსაკუთრებული სისასტიკით გამოირჩეოდნენ.

ასეთი სახის ინფორმაციის გავრცელებისას ხათუნა კალმახელიძის უწყებაში ან საერთოდ არაფერს ამბობენ, ან თავდაცვის პოზიციაში დგებიან. სამინისტრო თითქოს ემიჯნება ყველა იმ ფაქტს, რომელიც მის დაქვემდებარებულ საპყრობილეებში ხდება. მაგალითად, რამდენიმე დღის წინ სასჯელაღსრულების სამინისტრომ გააკეთა განცხადება მსჯავრდებულ ი.მ-ის გარდაცვალებასთან დაკავშირებით.

– საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო ღრმა მწუხარებას გამოხატავს მსჯავრდებულ ი.მ-ის გარდაცვალებასთან დაკავშირებით. სამინისტროს მიზანშეწონილად მიაჩნია მსჯავრდებულის გარდაცვალებასთან დაკავშირებით საზოგადოებას ამცნოს შემდეგი ინფორმაცია: მსჯავრდებული ი.მ. გასამართლებულ იქნა თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის III ნაწილის „ა“პუნქტით (განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული ნივთიერების – ჰეროინის შეძენა/შენახვა/გადაზიდვა). მიმდინარე წლის 19 ივნისს რუსთავის 16 ნახევრად ღია და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მსჯავრდებულმა ი.მ.-მ, წინასწარი ინფორმაციით, ჩაიდინა სუიციდი, პირადი-ოჯახური გარემოებების გამო. პაციენტს ადგილზევე ჩაუტარდა სარეანიმაციო ღონისძიებები, მაგრამ მიუხედავად ამისა, დაფიქსირდა ბიოლოგიური სიკვდილი.

მსჯავრდებულ ი.მ.-ს გარდაცვალებასთან დაკავშირებით, 2012 წლის 19 ივნისს, ისევე როგორც სისტემაში დაფიქსირებულ ნებისმიერ გარდაცვალების ფაქტზე, მყისიერად დაიწყო გამოძიება და დაინშნა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა.

საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო იმედს იტოვებს, რომ ცალკეული სუბიექტების მიერ არ მოხდება ამ სამწუხარო ფაქტის წინასწარი შეფასება, მანამ, ვიდრე საქმეზე არ დასრულდება გამოძიება, – აღნიშნეს ხათუნა კალმახელიძის უწყებაში.

კონტროლის პალატამ „ქართულ ოცნებაში“ შემავალი პოლიტიკური სუბიექტები სამართალდამრღვევებად ცნო

კონტროლის პალატის მონიტორინგის სამსახურმა კოალიცია „ქართულ ოცნებაში“ შემავალი პოლიტიკური სუბიექტები სამართალდამრთვევებად ცნო.

შპს „მენეჯმენტ სერვისმა“ საკუთარი სახსრებით დაიქირავა და 476.614.51 ლარის სარემონტო სამუშაოები ჩაატარა საქართველოს სხვადასხვა რეგიონში არსებულ კოალიცია „ქართული ოცნების“ საოფისე ფართებში, რომლითაც დღემდე სარგებლობენ პოლიტიკური სუბიექტები:საზოგადოებრივი მოძრაობა „ქართული ოცნება“, „ქართული ოცნების“ კოალიციაში შემავალი პარტიები: „რესპუბლიკური პარტია“, „ეროვნული ფორუმი“, „დემოკრატიული მოძრაობა ერთიანი საქართველო“, „ქართული ოცნება– დემოკრატიული საქართველო“ , „კონსერვატორული პარტია“ და „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“.

შპს „მენეჯმენტ სერვისის“ მიერ პოლიტიკური სუბიექტების სასარგებლოდ განხორციელებული უსასყიდლო მომსახურება სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად უკანონო შემოწირულობად იქნა მიჩნეული.

„მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 271 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, თუ შემოწირულების მიღებით ირღვევა ამ კანონით დადგენილი მოთხოვნები, პარტია ვალდებულია თანხა 5 დღის ვადაში დაუბრუნოს შემომწირველს. ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში თანხა გადაირიცხება სახელმწიფო ბიუჯეტში, პარტიას კი დაეკისრება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი პასუხისმგებლობა.

რადგან საქართველოს კონტროლის პალატის მიზანია დარღვევების პრევენცია და არა სანქციების გამოყენება, უკანონო შემოწირულობის მიმღებ პოლიტიკურ პარტიებს წერილობით მიეცათ წინადადება პროპორციულობის პრინციპის დაცვით, უკანონო შემოწირულება დაებრუნებინათ შემომწირველისათვის. თუმცა, ზემოაღნიშნულმა პოლიტიკურმა პარტიებმა უარი განაცხადეს ორგანული კანონის და სასამართლოს გადაწყვეტილების შესრულებაზე.

ზემოაღნიშნულის საფუძველზე, სახეზეა „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 342 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევა.

ორგანული კანონით დადგენილი წესების შესაბამისად, საქართველოს კონტროლის პალატამ ყველა ზემოაღნიშნული პოლიტიკური პარტია სცნო სამართალდამრღვევად და ადმინისტრაციული საქმის მასალები შემდგომი განხილვის მიზნით ქ.თბილისის საქალაქო სასამართლოში გადააგზავნა.

საზოგადოების ყურადღება უნდა მივაპყროთ იმ გარემოებას, რომ დღეის მდგომარეობით პოლიტიკურ სივრცეში საქმიანობს ოთხი სუბიექტი „ქართული ოცნების“ სახელით. კერძოდ, საზოგადოებრივი მოძრაობა „ქართული ოცნება“, პარტია „ქართული ოცნება“, შპს „ქართული ოცნება“ და კოალიცია „ქართული ოცნება“ რომელიც, თავის მხრივ დამატებით აერთიანებს პარტიებს-„რესპუბლიკური პარტია“, „ეროვნული ფორუმი“, „დემოკრატიული მოძრაობა ერთიანი საქართველო“, „კონსერვატიული პარტია“, „მრეწველობა გადარჩენს საქართველოს“ .

აღნიშნული გარემოება არ უწყობს ხელს ჯანსაღი, გამჭვირვალე და საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებული პოლიტიკური სისტემის უზრუნველყოფას. აქედან გამომდინარე მივმართავთ თხოვნით ზემოაღნიშნულ პოლიტიკურ სუბიექტებს თავიანთი საქმიანობა წარმართონ კეთილსინდისიერების და ანგარიშვალდებულების პრინციპების დაცვით.– ნათქვამია მონიტორინგის სამსახურის განცხადებაში.

ინტერპრესნიუსი

კონტროლის პალატაში გამოკითხვები მიმდინარეობს

პოლიტიკური პარტიებისთვის შემოწირულობის სახით გაღებული თანხების წარმომავლობის შესწავლის მიზნით კონტროლის პალატაში ცალკეული პირების გამოკითხვა მიმდინარეობს.

ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ ინფორმაცია კონტროლის პალატაში დაუდასტურეს.

ამასთან, ჯერ არ კონკრეტდება, თუ რომელი პარტიების შემომწირველები იმყოფებიან ამ დროისთვის კონტროლის პალატაში.

მონიტორინგის სამსახური იმ 32 პირის თანხების წარმომავლობასა და დასაბუთებულობას სწავლობს, რომლებმაც გადარიცხვები „თავისუფალი საქართველოს“, „ნაციონალური მოძრაობის“, „ახალი მემარჯვენეების“, „რესპუბლიკური პარტიის“, „კონსერვატიული პარტიის“, „ეროვნული ფორუმის“, საზოგადოებრივი მოძრაობა „ქართული ოცნებისა“ და კოალიცია „ქართული ოცნების“ ანგარიშებზე განახორციელეს.

შემოწმება შეეხება „თავისუფალი საქართველოს“ 6 შემომწირველს – ირაკლი ჭუბაბრია (15 829 ლარი); გიორგი მოსიაშვილი (25 070 ლარი); ალექსანდრე შალამბერიძე (8 050 ლარი); დავით თალაკვაძე (60 000 ლარი); ხვიჩა თოლორდავა (60 000 ლარი); ბადრი ცინცქილაძე (8 020 ლარი).

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ 8 შემომწირველს – ვლადიმერ ნარტყოშვილი (8 000 ლარი); ვასილ სულხანიშვილი (40 000 ლარი); მალხაზ ჭყოიძე (6 000 ლარი); ბეჟან ოდიშვილი (5 000 ლარი); სერგო ლაბარტყავა (40 000 ლარი); თამაზ ჯამაგიძე (40 000 ლარი); ელგუჯა ბერუაშვილი (20 000 ლარი); ზურაბ ინასარიძე (12 000 ლარი);

„ეროვნული ფორუმის“ 8 შემომწირველს – ლეილა ჩქარეული (4 000 ლარი); კახა ჩაკვეტაძე (18 692 ლარი); მაია თანიაშვილი (4 997,50 ლარი); ავთანდილ დავითაძე (12 844 ლარი); ირმა დავითაძე (10 673 ლარი); მარინა ნადირაძე (6 500 ლარი); ლევან ჩიჩუა (4 997,50 ლარი); მარინე ავაზაშვილი (9 940 ლარი);

„საქართველოს კონსერვატიული პარტიის“ 5 შემომწირველს – ბიძინა გუჯაბიძე (30 000 ლარი); გივი რამაზაშვილი (16 000 ლარი); გიგა ბუკია (35 450 ლარი); დავით ბაციკაძე (16 150 ლარი); შოთა ორთავიძე (1000 ლარი);

„ახალი მემარჯვენეების“ შემომწირველებიდან მაკონტროლებელი უწყება მხოლოდ გურამ ასათიანმა დააეჭვა, რომელმაც პარტიისთვის 50 000 ლარი გაიღო.

კონტროლის პალატა კითხვებს „რესპუბლიკური პარტიის“ ორ შემომწირველსაც დაუსვამს – გელა თევდორაშვილს (5 000 ლარი); ნუგზარ ჩხიკვაძეს (25 000 ლარი).

საზოგადოებრივი მოძრაობა „ქართული ოცნებისთვის“ შეწირული 12 000 ლარისთვის გამოკითხვაზე ზაალ გოგსაძესაც დაიბარებენ.

პოლიტიკური პარტია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ ანგარიშზე გადარიცხული 40 000 ლარის წარმომავლობის შესახებ ინფორმაციას კი კონტროლის პალატა ზურაბ აზმაიფარაშვილს მოსთხოვს.

„ფინანსური მონიტორინგის სამსახური კანონით დადგენილი მანდატის ფარგლებში ამოწმებს შემოწირულებათა კანონიერებას. მონიტორინგის პროცესში I ეტაპზე გამოვლინდა შემოწირულებათა გარკვეული კატეგორია, რომელთა დასაბუთებულობა დამატებით გამოკვლევას საჭიროებს. აღნიშნულ გარემოებათა შესწავლისა და შეფასების მიზნით, ფინანსური მონიტორინგის სამსახური განახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ღონისძიებებს, მათ შორის, გამოკითხვის პროცედურას“, – აცხადებენ კონტროლის პალატაში.

ინტერპრესნიუსი

გიგა კობალაძე რეგიონებში გავიდა

ეკა ირემაშვილი

საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაციის თავმჯდომარე გიგა კობალაძე თბილისში ჩატარებული ღონისძიებების შემდეგ, საზოგადოებისთვის საავტორო უფლებების უკეთ გაცნობის მიზნით, რეგიონებში გავიდა. გიგა კობალაძე თელავის, რუსთავის, გორის, ქუთაისის, ზუგდიდის, ოზურგეთისა და ბათუმის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრებში რეგიონებში მოქმედი რადიოკომპანიების, თეატრების, გამომცემლობების, სავაჭრო დაწესებულებების, რესტორნების, კაფეების, სასტუმროების ხელმძღვანელებსა და სხვა საავტორო უფლებით მოსარგებლეებს შეხვდა. შეხვედრებს ესწრებოდნენ რეგიონებში მოღვაწე ხელოვანებიც – კომპოზიტორები, მომღერლები, მწერლები, პოეტები, მხატვრები და კულტურის სხვადასხვა სფეროში მოღვაწე ხელოვანები, აგრეთვე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

გიგა კობალაძე

– ეს შეხვედრები ემსახურებოდა რეგიონების წარმომადგენელთათვის საავტორო უფლებების შესახებ საქართველოში არსებული მდგომარეობის გაცნობას, საავტორო უფლებების დაცვის მექანიზმებისა და ლიცენზირების წესის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას, ასევე ასოციაციაში ახალი წევრების გაწევრიანებას, – განაცხადა გიგა კობალაძემ.

რეგიონებში გამართულ შეხვედრებზე საავტორო უფლებების ასოციაციის თავმჯდომარემ და მისმა მოადგილემ თამარ კემულარიამ გამართეს პრეზენტაციები, სადაც მონაწილეებმა დეტალურად გაიცნეს ასოციაციის საქმიანობა, ლიცენზირების წესი და მოთხოვნები, ასევე ასოციაციაში გაწევრიანების პროცედურა. გაიმართა მსჯელობა საავტორო და მომიჯნავე უფლებათა სფეროში რეგიონების დონეზე არსებულ პრობლემატიკასა და მათი გადაჭრის გზებზე.

– ასოციაციის რეგიონული შეხვედრების შესახებ პრესკონფერენციაც გავმართეთ საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაციაში და ამის შემდეგ საავტორო უფლებების შესახებ საქართველოში არსებული მდგომარეობის გაცნობის, საავტორო უფლებების დაცვის მექანიზმებისა და ლიცენზირების წესის შესახებ ინფორმირების, ასევე ასოციაციაში ახალი წევრების გაწევრიანების მიზნით საქართველოს რეგიონებში შეხვედრები დაიწყო. ჩვენ შევარჩიეთ საქართველოს სხვადასხვა რეგიონები – კახეთი, ქვემო ქართლი, შიდა ქართლი, იმერეთი, გურია, სამეგრელო, აჭარა, სადაც მოღვაწე ხელოვანებს – კომპოზიტორებს, მომღერლებს, მწერლებს, პოეტებს, მხატვრებს, ასევე რეგიონებში მოქმედი სხვადასხვა საავტორო უფლებით მოსარგებლეებს შევხვდით. ჩვენს შეხვედრებს ესწრებოდნენ ადგილობრივი თვითმმართველობების ორგანოებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები. შეხვედრების მონაწილეები დეტალურად გაეცნენ ასოციაციის საქმიანობას, ასოციაციაში გაწევრიანების პროცედურას, ლიცენზირების წესსა და მოთხოვნებს. შეხვედრებზე ვიმსჯელეთ საავტორო და მომიჯნავე უფლებათა სფეროში რეგიონების დონეზე არსებულ პრობლემატიკასა და მისი გადაჭრის გზებზე, – აღნიშნა გიგა კობალაძემ.

შეხვედრები ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიერ დაფინანსებული დემოკრატიული ჩართულობის ცენტრების პროექტის თანაორგანიზებით გაიმართა.

– შეხვედრებზე ყველა დაწვრილებით გაეცნო საავტორო უფლებების დაცვის წესებს. ჩვენ მივიღეთ გადაწყვეტილება, ჩვენი ასოციაცია საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ჩასულიყო. ავირჩიეთ შვიდი რეგიონი და შევხვდით როგორც ავტორთა წარმომადგენლებს, ასევე იქ მოღვაწე მოსარგებლეებს. რეგიონებში ჩასვლისას სამი მიზანი გვაქვს – გვინდა, რეგიონის დონეზეც გავაცნოთ ხალხს საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ არსებული მდგომარეობა, ავუხსნათ ის პრობლემები, რომლებიც ჯერ კიდევ არსებობს და მოგვესმინა მათი აზრი. არ გამოვრიცხავთ, რომ მომავალში რეგიონული ცენტრები დავაარსოთ და იქ გადაწყდება საავტორო უფლებებთან დაკავშირებული ნებისმიერი პრობლემები, თანაც რეგიონებში ჩასვლით, არ არის გამორიცხული, აღმოვაჩინოთ ისეთი ავტორები, რომელთაც სურთ საკუთარი საავტორო უფლებების დაცვა და გაწევრიანება ჩვენთან, რათა მათი უფლებები დავიცვათ. ჩვენი სურვილია, საქართველოს რეგიონებშიც მოხდეს ბაზრის ლიცენზირება, ამიტომაც საქართველოს რეგიონებშიც გავედით, – განმარტავს საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაციის თავმჯდომარე.

რეგიონებში მოგზაურობის პარალელურად, საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაციის თავმჯდომარე კვლავაც აგრძელებს ხელშეკრულებების გაფორმებას სხვადასხვა ორგანიზაციებთან, ტელევიზიებთან თუ რადიოებთან. ბოლო პერიოდში საქართველოში მომუშავე ბევრმა ტელევიზიამ გამოთქვა სურვილი, საავტორო უფლებების ლიცენზია იყიდოს. ამჯერად საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაციის თავმჯდომარემ ხელშეკრულება მუსიკალურ ტელევიზია „ალტერვიჟენ ტივისთან“ გააფორმა. ტელევიზიამ გადაწყვიტა, საავტორო უფლებების ლიცენზია იყიდოს და სწორედ ამიტომ სალიცენზიო შეთანხმების შესახებ ხელშეკრულებას ხელი ტელეკომპანიის ოფისში მოეწერა. დოკუმენტი საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაციის თავმჯდომარე გიგა კობალაძემ და „ალტერვიჟენ ტივის“ დირექტორმა მამუკა ჯიჯეიშვილმა გააფორმეს.

როგორც ტელეკომპანიის წარმომადგენლებმა განაცხადეს, ლიცენზიის შეძენა ტელეეთერებში საავტორო უფლებებით დაცული პროდუქციის უნებართვოდ გამოყენების შემცირებას მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს, რაც საქართველოში საავტორო უფლებების დაცულობის მაჩვენებელს გაზრდის.

ლიცენზიის საფუძველზე „ალტერვიჟენ ტივის“ ეთერში საავტორო უფლებებით დაცული ნაწარმოებების გამოყენებისთვის ჰონორარები იქნება გადახდილი, რასაც ასოციაციის მეშვეობით ავტორები მიიღებენ.

ტელევიზიამ ვალდებულება აიღო, საავტორო უფლებების ყველა ნორმის დაცვით იმუშაოს. არხის ხელმძღვანელობის განცხადებით, სატელევიზიო ეთერში ყველა სარეკლამო ვიდეორგოლის, სარეკლამო ტიხრისა თუ პირდაპირი ეთერით კონცერტის გაშვებისას საავტორო უფლებები დაცული იქნება. მათივე თქმით, ტელევიზიას აქვს პრეტენზია, იყოს ერთადერთი მუსიკალური არხი, რომელიც ყველა მუსიკალური გემოვნების მსმენელს დააკმაყოფილებს და, ამავე დროს, საზოგადოებას მსოფლიოში ცნობილ და აქტუალურ მუსიკოსებს გააცნობს. მუსიკალური ტელევიზია ეთერში მაისში გავიდა, მისით სარგებლობა ჯერჯერობით მხოლოდ „სილქტივის“ მომხმარებლებს შეუძლიათ.

ვახო ბაბუნაშვილი, ტელევიზიის ერთ-ერთი დამაარსებელი:

– ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი არა მარტო ჩვენთვის, არამედ, ზოგადად, ჩვენი საზოგადოებისთვის. ჩვენ ამ შემთხვევაში თავისუფლები ვართ ტელევიზიის შინაარსის არჩევაში, რადგან, რაც გადის ჩვენს ტელევიზიაში, ყველაფერი კანონიერი, ლიცენზირებულია და ეს გვაძლევს საშუალებას, რაც შეიძლება მეტი არჩევანი და მასალა გვქონდეს. ამიერიდან ჩვენს ტელევიზიაში ყველა ნაწარმოები ლიცენზირებული გავა. ამ ხელშეკრულებით გვეკისრება ვალდებულება, ვიყოთ გულწრფელნი და არ გამოვიყენოთ არალიცენზირებული მასალა.

მამუკა ჯიჯეიშვილი, „ალტერვიჟენ ტივის“ დირექტორი:

– „ალტერვიჟენ ტივი“ წარმოადგენს ახალ მუსიკალურ ტელევიზიას, რომელიც საქმიანობას საავტორო უფლებების დაცვით იწყებს. ტელევიზიის მიერ ლიცენზიის შეძენა მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ტელეეთერებში საავტორო უფლებებით დაცული პროდუქციის უნებართვოდ გამოყენების შემცირებას, რაც საქართველოში საავტორო უფლებების დაცულობის მაჩვენებელს გაზრდის. ჩვენ ვცდილობთ, ძალიან მალე მოვედოთ მთელ საქართველოს. ჩვენი ყურება ჯერჯერობით მხოლოდ „სილქტივის“ მომხმარებლებს შეუძლიათ. ჩვენი მიზანია, ყველაფერი იყოს გამჭვირვალე, ლიცენზირებული, დანარჩენი კი უკვე გემოვნების საკითხია, გვიყურეთ და შეგვაფასეთ.

გიგა კობალაძე, საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაციის თავმჯდომარე:

– ამ ტელევიზიამ, რომელიც ახლა გაიხსნა, პირველი, რაც გააკეთა, საავტორო უფლებების ლიცენზია შეიძინა, ანუ მის ეთერში გასული ყველა მუსიკალური ნომერი იქნება დაცული საავტორო უფლებით, შეგროვდება ჰონორარი და გადაეცემათ ავტორებს. ტელევიზია ის მოსარგებლეა, რომელიც ყველაზე მეტად იყენებს საავტორო უფლებით დაცულ ნაწარმოებებს. ძალიან მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ახალმა არხმა პირველად სწორედ საავტორო უფლებები შეიძინა და მაუწყებლობა ასე დაიწყო.

თოჯინების მუზეუმში გამოფენა გაიხსნება

27 ივნისს თბილისის თოჯინების მუზეუმის დროებითი ექსპოზიციების დარბაზში ახალგაზრდა მხატვრის გიორგი მახარაშვილის პირველი პერსონალური გამოფენა გაიხსნება. გამოფენა თბილისის თოჯინების მუზეუმისა და მუზეუმის მეგობრის, ცნობილი მხატვრის ეთერ ჭკადუას პატრონაჟით ჩატარდება.

როგორც თოჯინების მუზეუმის ხელმძღვანელი ნანა ოქრუაშვილი აცხადებს, მათი საგამოფენო სივრცე საკმაოდ ხშირად ეთმობა საინტერესო ექსპოზიციებს. ივნისის დასაწყისში თოჯინების მუზეუმში გამოფენა „დავამხვრიოთ ეპილეფსიის სტიგმა“ შედგა, რომელიც ეპილეფსიის საერთაშორისო ბიუროსა და საქართველოს ახალგაზრდა ეპილეფტოლოგთა კავშირთან ერთად ჩატარდა.

გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ორი მხატვრის – მიშა იაშვილისა და ელენე გამგონიძის ნამუშევრები. მათ, პროფესიის გარდა, საერთო მდგომარეობა – ეპილეფსია აკავშირებთ.

– ისინი საზოგადოების სრულფასოვანი, აქტიური წევრები არიან, ქმნიან ხელოვნების ნიმუშებს, მიაღწიეს საკმაოდ დიდ წარმატებას და დღეს მთელი საზოგადოების წინაშე ხმამაღლა აცხადებენ იმას, რაც მათი მდგომარეობის მქონე პირების უმრავლესობისათვის ჯერ კიდევ წარმოუდგენელია, – აღნიშნა თოჯინების მუზეუმის ხელმძღვანელმა.

ეკა ირემაშვილი

ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

2010 წელს ხობის ხარების დედათა მონასტრის უძველეს ტაძარში არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩნდა წმიდა ცოტნე აღმსარებლის საოჯახე საძვალე.

(საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2011 წლის 11 ნოემბრის 611/15 დადგენილებით, ხობის მონასტრის რესტავრაცია—განახლებისათვის შემოწირულობის შეგროვების მიზნით გამოყოფილი სატელეფონო ნომრები: მაგთი, ჯეოსელი და ბილაინი 700 607, სილქნეტი 608 608, ახალი ქსელები და ახტელი 700 608, შეიცვალა ახალი ნომრით 0-901-900-900.

ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ფასიანი ზარის განხორციელება შესაძლებელია შემდეგი თანმიმდევრობით: 0-901-900-900.



იცხოვრეთ მომავალისთვის.
უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.

საბანკო რეკვიზიტები:

ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: 220 101 465
ანგ. N 36 010 892 GEL;
136 180 892 USD;
236 180 892 EUR

თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი. (ზარის ღირებულებაა 1 ლარი).

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ანა (მუსელიანი)

განცხადებები

● ქ.რუსთავში იყიდება ოროთახიანი (45კვ.მ.) ბინა, რემონტით, კარ-ფანჯრები გამოცვლილია. მის: VI მიკრორაიონი, III კორპუსი, ბინა 710. ფასი შეთანხმებით. ტელ: 595-716-515 ხათუნა.

● ფოტოსურათით მოგიხსნით: ალკოჰოლიზმს, აგრესიას, აკვიატებულ აზრებსა და ქმედებებს, აფორიაქებას, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, კოშმარულ სიზმრებს, მოუსვენარ ძილს, უმიდერობას, ოჯახურ კონფლიქტებს, დაძაბულობას, დეპრესიას, ჩაკეტილობას. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა. ტელ: 599-498-423 ნანა ქიბროწაშვილი. შს „იადიგარ დაუდის“ დირექტორი, გაგიფორმებთ ხელშეკრულებას.

● ქალბატონებო! აგლაძის №67-ში შეგიძლიათ ბამბის, მატყლის გარჩევა, საბან-ლეიბების განახლება-აღდგენის მიზნით. საბან-ლეიბებს შეგიკვრავთ პროფესიონალი მკერავი, შემოგთავაზებთ ქსოვილების არჩევანს. ტელ: 235-15-96.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრონ.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის განმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94; 234-02-38 ექიმი ქ-ნი სალომე.

● იყიდება ან გირავდება საკუთარი სახლი, ფართით 106 კვ.სმ. გამოდგება საოფისედ, საცხოვრებლად, საწარმოდ მის: ნუცუბიძის ფერდობი 1 მ/რ,სახლი №5. ფასი შეთანხმებით. ტელ. 599-41-52-29; 568-65-10-48; 232-52-29; 231-48-72 ვაჟა.

● წონაში დაკლება 5-15 კგ, გასუქება 2-5 კგ. აგრეთვე ვმკურნალობ კუჭ-ნაწლავის პრობლემებს, გასტრიტს, კოლიტს, შეკრულობას, კუჭის წყლულს, უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, იმპოტენციას უკუჩვენების გარეშე, ამერიკული მცენარეული პროდუქციით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 274-81-41, 571-33-01-61.

ბოსტონის სადრაფტო შანსი — ქართველი ფორვარდი თორნიკე შენგელია

ახლოვდება ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის დრაფტი. 28 ივნისს ნიუ ჯერსიში ნბა-ს გუნდები ნიჭიერი ახალგაზრდებით შეივსებიან და, სავარაუდოდ, თორნიკე შენგელიასაც გამოუჩნდება გუნდი, რომელიც ქართველ კალათბურთელზე უფლებებს მოიპოვებს.

ჯერჯერობით უცნობია, თუ რომელი გუნდი აიყვანს შენგელიას. ამას უშუალოდ 28 ივნისის დრაფტისას გავიგებთ, მანამდე კი ამერიკული ინტერნეტ-გამოცემები ნაირგვარ ვარაუდს გამოთქვამენ. უახლესი ინფორმაციით, შენგელიათი დაინტერესება „ბოსტონ სელტიქსმა“ გამოთქვა, რომელსაც წლევანდელ დრაფტზე სამი არჩევანის უფლება აქვს: პირველ რაუნდში 21-ე და 22-ე და მეორე რაუნდში – 51-ე.

ბოსტონური კლუბის პროფილის რადიოს ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა წერილი სათაურით: „ბოსტონის“ სადრაფტო შანსი – ქართველი ფორვარდი თორნიკე შენგელია. სტატიაში ქართველი ფორვარდის შესაძლებლობები ზედმიწევნითაა დახასიათებული. გთავაზობთ რამდენიმე შეფასებას:

– შენგელიას ულევი ენერგია გააჩნია. მას ერთნაირად წარმატებით შეუძლია როგორც შეტევაში, ისე დაცვაში თამაში. მიუხედავად იმისა, რომ 207 სანტიმეტრი სიმაღლისაა, ბურთს მშვენივრად ფლობს და ძლიერი ფეხების დახმარებით მიმართულების მყისიერი ცვლილებაც ძალუძს. შენგელია ჩინებული მომხსნელია და პასის ალღოც გააჩნია. შენგელია გაბარიტებში ძალიან სოლიდურია. შეუძლია, თავი მშვენივრად გაართვას მსუბუქ და მძიმე ფორვარდების პოზიციებზე თამაშს. გამორჩეული სისწრაფე მას დიდ უპირატესობას ანიჭებს. პლუს ამას, ის ფარქვეშაც მარჯვეა. მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს საკალათბურთო ლიგაში – ევროლიგაში – შენგელია საშუალოდ (40 წუთში) 9,2 მოხსნას აგროვებდა. ერთადერთი, რისი გამოსწორებაც მას მართებს, შორი მანძილიდან სროლის სიზუსტეა, რის შემდეგაც საკმაოდ წონიანი მოთამაშე იქნება.

შენგელია ამჟამად ამერიკაში იმყოფება. თორნიკე ზაზა ფაჩულიას შეხვდა და მისი 27-ნომრიანი მაისურით „ატლანტა ჰოუქსის“ დარბაზში ინდივიდუალურადაც ივარჯიშა.

დაველოდოთ 28 ივნისის ღამეს, როცა შენგელიას, სავარაუდოდ, ნბა-ს რომელიმე კლუბი აიყვანს. დრაფტზე არჩევის შემდეგ შენგელიას არანაკლები ძალისხმევა მოუწევს, ამრჩევი კლუბისგან კონტრაქტი რომ დაიმსახუროს და ნბა-ში მომავალი სეზონიდანვე გადაბარგდეს.

დევდარიანი დაინიელებს საქართველოში ეპატიჟება

გუშინდელ ნომერში ვწერდით, რომ ევროპის ლიგის მე-2 საკვალიფიკაციო ეტაპზე გორის „დილის“ მეტოქედ დანიური „ორჰუსი“ ერგო. სკანდინავიურ კლუბში ორი ქართველი თამაშობს – ნახევარმცველი დავით დევდარიანი და ფორვარდი დავით სხირტლაძე. ცხადია, თუ რას წარმოადგენს ქართული კლუბი, უფრო სტაჟიან დევდარიანს დაეკითხნენ, რომლის სიტყვებიც „ორჰუსის“ ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა. დევდარიანმა „დილა“ შეაქო და ქართულ სტუმარმასპინძლობაც ახსენა.

– „დილა“ კარგი გუნდია. საქართველოს თასი მოიგო, ჰყავს უცხოეთიდან დაბრუნებული ფეხბურთელები. მართალია, გუნდი ახალი დაკომპლექტებულია, მაგრამ წინ მიიწევს. ვფიქრობ, დიდ წინააღმდეგობას გაგვიწევენ, თუმცა „ორჰუსს“ შეუძლია შემდეგ ეტაპზე გასვლა, – აღნიშნა დევდარიანმა.

დევდარიანმა „ორჰუსის“ ქომაგებს მიმართა, რომ გუნდს საქართველოში გაჰყვნენ.

– მართალია, საქართველომდე შორია და ფრენა დიდ ხანს მოგიწევთ, მაგრამ კარგი მასპინძლობა ელით, – დაპირდა ჩვენებური.

ევროპის ლიგისთვის დანიური კლუბიც ემზადება და „ორჰუსმა“ უკვე გამართა პირველი მატჩი, მაგრამ შვედურ „გიოტებორგთან“ 0:2 დამარცხდა. დევდარიანს ტრავმა ბოლომდე არ მოუშუშებია და ამიტომაც არ უთამაშია, ხოლო სხირტლაძე სასტარტოში გახლდათ და შესვენებაზე შეცვალეს.

16-წლამდელთა ნაკრები ბელორუსში 2 საკონტროლო მატჩს გამართავს

ევროპის ჩემპიონატის ბ დივიზიონში საასპარეზოდ ემზადება საქართველოს 16-წლამდელთა ნაკრები. გია კაზანჯიანის გუნდი დღეს გამთენიისას ბელორუსში გაემგზავრა, სადაც 27 და 28 ივნისს ორ საკონტროლო მატჩს გამართავს ბელორუს 16-წლამდელებთან. ქართველები ბელორუსიდან 29 ივლისს დაბრუნდებიან და 1 ივლისს უკვე სლოვაკეთისკენ აიღებენ გეზს, სადაც სამ საკონტროლო მატჩს გამართავენ.

რაც შეეხება უშუალოდ ევროპის ჩემპიონატის მატჩებს, წლეულს ბ დივიზიონის მატჩებს რუმინეთის ქალაქი ბრაშოვი უმასპინძლებს. საქართველო, ტურნირის მასპინძელი, რუმინეთის, ჩერნოგორიის, ბოსნიისა და ესტონეთის წარმომადგენლებთან ერთად ც ჯგუფში იასპარეზებს. ჯგუფში პირველ-მეორე ადგილზე გასული გუნდები ფინალური ეტაპის საგზურისთვის ბრძოლას გააგრძელებენ. ბ დივიზიონის 2 საუკეთესო გუნდი ფინალური ეტაპის საგზურს მიიღებს.

საქართველოს ნაკრების შემადგენლობა:

ლუკა ზაქრაძე (თსუ), ლევან გოგოლაძე, დიმიტრი ბობილევი, გიორგი გუგეშაშვილი (ყველა ორბი-კარდინალი), იურა ხალათიანი (ზაზა), დათო ლომიძე, ვახტანგ ქვარაია (ავერსი), ლევან მასხულია (აკადემია), ნუგზარ ტაბაღუა (რუსთავი), სოსო მაჭავარიანი (სოხუმი), თემურ პეტრიაშვილი (აკადემია), მაიზერ რევაზაშვილი (მაკაბი), დათო მაჭარაძე (ქუთაისი), ვილი ისიანი (შსს აკადემია).

ფედერაციები

ფეხბურთი

ფინეთი. ვეიკაუსიგა

ინტერი-ვაასა	1:1
კუუპიო-მარიეჰამნი	2:0
ჰაკა-ჯჯკ	3:1
ჰიკი-ტპს	0:0
ჰონკა-ლახტი	3:2
იარო-მიუპა	1:0

კალათბურთი

ამხანაგური მატჩები

ჯგუფები

ავსტრალია-საბერძნეთი	91:51
რუსეთი-დ.ბრიტანეთი	87:51

ოლიმპიური თამაშები

საკვალიფიკაციო ჩაუნდი

ქალები

ხორვატია-მოზამბიკი	84:62
ჩეხეთი-ა.ზელანდია	70:51
თურქეთი-პუერტო რიკო	65:53
კანადა-მალი	89:23

ჩოგბურთი

უიმბლდონი

ქალები

მაიერი-ტურსუნოვი	7:6;6:2;6:3
ჰარისონი-ლუ	4:6;6:3;6:4;6:2
ანდრეევი-გოლდინგი	1:6;7:6;7:6;7:5
ბერდიხი-გულბისი	6:7;6:7;6:7
მალისე-მატოსევიჩი	6:2;6:2;7:5
დარსისი-რუფინი	4:6;6:3;7:5;4:6;4:6
სეპი-ისტომინი	7:6;4:6;6:3;3:6;6:8
ბოლელი-იანოვიჩი	6:3;3:6;3:6;3:6

ჯენტლმენები

პლიშკოვა-სტივენსი	2:6;2:6
კერბერი-პრადეცკა	6:4;6:1
ცეტკოვსკა-კინგი	6:4;6:2
მაკაროვა-ბრიანტი	6:2;3:6;6:3
გალოვიცი-ესპინოზა	6:4;4:6;8:10
პეტროვა-კამერინი	6:0;6:2
კლაისტერსი-იანკოვიჩი	6:2;6:4
დომინგეს ლინო-ბროუდი	6:4;7:6
კირილენკო-კადანტუ	6:3;6:1
პანტუჩოვა-ჰემპტონი	4:6;6:7
იოჰანსონი-ცურენკო	3:6;6:0;6:3
უოტსონი-ბენეშოვა	6:2;6:1

ესპანეთი და პორტუგალია ფინალისთვის იბრძოლებენ

დღეს ევროპის ჩემპიონატზე პირველი ნახევარფინალური მატჩი გაიმართება – ესპანეთის ნაკრები პორტუგალიელებს შეხვდება. პირინეულ დერბიში ფავორიტად ესპანელები ითვლებიან და პრესაშიც მხოლოდ მათი კომენტარებია.

– როდესაც ნაკრებში მოვედი, ძალიან ახალგაზრდა ვიყავი. ესპანური ფეხბურთის ლეგენდების გვერდით ვთამაშობდი. მათგან მაგალითს ვიღებდი და ვსწავლობდი. დღეს ნაკრები შესანიშნავ ფორმაშია. გასაგებია, ხალხს მეტი უნდა. იტალიასთან პირველი შეხვედრა ფრედ დავასრულეთ და ეს ცუდი არ იყო, თუმცა ზოგიერთისთვის წაგების ტოლფასი აღმოჩნდა. ამიტომაც თავს არ დავზოგავთ. პორტუგალიასთან შეხვედრა ურთულესი იქნება. ვილია და პუიოლი

ძალიან გვაკლია, მაგრამ პიკე რონალდუს წინააღმდეგ საბრძოლველად მზად არის და ვიცი, დაუმსგავსდება, როგორც ამას „ბარსელონაში“ აკეთებდა, – განაცხადა ესპანეთის ნაკრების კაპიტანმა და მეკარემ იკერ კასილიასმა.

ესპანეთის ნაკრების ნახევარმცველმა ჩაბი ალონსომ პორტუგალიის ეროვნულ გუნდთან ევრო 2012-ის მომავალი ნახევარფინალური მატჩის შესახებ განაცხადა, რომ რონალდუს წინააღმდეგ რაიმე სპეციალური გეგმა არ აქვთ.

– რონალდუს წინააღმდეგ სპეციალური გეგმა არ გვაქვს. გვესმის, რომ ის ძალიან ძლიერი შემტევი მოთამაშეა. მეორე მხრივ, რა უნდა მოვიფიქროთ ახალი? პორტუგალიელებს კარგად ვიცნობთ, ისინი კი ჩვენ. ბუნებრივია, იმედი მაქვს, ესპანეთი ფინალში იქნება, – განაცხადა ალონსომ.

„ბარსელონასა“ და ესპანეთის ნაკრების ნახევარმცველმა სესკ ფაბრეგასმა კი პორტუგალიის ნაკრები მადრიდის „რეალს“ შეადარა.

– ისინი თავს შესანიშნავად იცავენ და კონტრშეტევებზე ძალიან საშიშნი არიან. მათთან უაღრესად ყურადღებით უნდა ვიყოთ, – თქვა ფაბრეგასმა.

პორტუგალიელთა კონტრშეტევები ესპანეთის ნაკრების კიდევ ერთმა ფეხბურთელმა ჩავიმაც ახსენა და განაცხადა, რომ პორტუგალიელებს ჰყავთ ფეხბურთელები, რომელთაც ბურთთან ურთიერთობა შესანიშნავად გამოსდით. ამ ფეხბურთელებში ჩავიმ მოუტინიო და მეირელეში იგულისხმა.

პედრო როდრიგესმა კი აღნიშნა, რომ გამარჯვებისთვის მის გუნდს აუცილებლად სჭირდება ბურთის მეტ ხანს ფლობა.

რაც შეეხება ესპანეთის ნაკრების მთავარ მწვრთნელ ვისენტე დელ ბოსკეს, მისი ვარაუდით, მატჩი ძალიან დაძაბული იქნება. დელ ბოსკეს თქმით, ესპანეთის ნაკრების ნახევარდაცვას კრიშტიანო რონალდუსთვის განსაკუთრებული ყურადღების მიქცევა მოუწევს, მაგრამ მის წინააღმდეგ პერსონალურად არავინ ითამაშებს.

– რა თქმა უნდა, ვიღაც ყოველთვის დაზღვევაზე იქნება, როგორც ორი წლის წინ. მაშინ მისი თამაშიდან გამოთიშვა მოვახერხეთ, – განაცხადა ფურია როხას თავკაცმა.

პორტუგალიელთა მხრიდან ერთადერთი ვინც კომენტარებს აკეთებს, სწორედ ის რონალდუა, რომელსაც ყველაზე მეტად უფრთხიან ესპანელები. ამასთან, პორტუგალიელთა კაპიტანმა გააკრიტიკა ესპანელები, რომლებიც მოკლე დასვენების დღეებზე წუწუნებდნენ.

– დასვენებისა და ძალების აღსადგენად სამი დღე საკმარისია. ზოგიერთმა ესპანელმა განაცხადა, რომ დრო არ აქვთ მოსამზადებლად. მე, როგორც ნამდვილი პროფესიონალი, ვიტყვი, ამას დიდი მნიშვნელობა არ აქვს.

პორტუგალიელმა ფეხბურთელმა ევრო 2012-ის ჩემპიონატზე თავისი ნაკრების თამაშიც შეაფასა.

– ეს ჩემპიონატი ცუდად დავიწყეთ, მაგრამ შეცდომები გამოვასწორეთ. პორტუგალიისთვის ხვალინდელი მატჩის მოგება მნიშვნელოვანია და ამისთვის მზად ვართ. ესპანეთი უდიდესი ნაკრებია და ეს შეხვედრა ნამდვილი ბრძოლა იქნება – ჩვენ მოგება შეგვიძლია.

ყოფილმა პორტუგალიელმა ფეხბურთელმა პაულო ფუტრემ განაცხადა, რომ ოქროს ბურთს კრიშტიანუ რონალდუს და უკვე დროა, ამაზე დაიწყონ ფიქრი. „კრიშტიანუმ გაცილებით მეტი იშრომა, ვიდრე მესიმ და ოქროს ბურთსაც ის იმსახურებს. თუ ევროპის ჩემპიონატი პორტუგალიამ მოიგო, რონალდუ პორტუგალიური ფეხბურთის ისტორიაში საუკეთესო ფეხბურთელი გახდება. რაც შეეხება ნახევარფინალში პორტუგალია-ესპანეთის ნაკრებების შეხვედრას, ურთულესი მატჩი იქნება. ესპანეთი ბურთს გააკონტროლებს, პორტუგალია კი ყველა საგოლე შანსს გამოიყენებს. პორტუგალია დიდი ნაკრებია, რომელსაც მსოფლიოში საუკეთესო ფეხბურთელი ჰყავს. ესპანეთმა ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატი დამაჯერებლად მოიგო. ახლა იმავე თავდაჯერებით ვერ ასპარეზობს. რატომ? შესაძლოა, ერთერთი მიზეზი დაღლაც იყოს, – ასეთია ფუტრეს აზრი.

შეგახსენებთ, რომ ესპანეთი და პორტუგალია ევრო 2012-ის ნახევარფინალში ერთმანეთს 27 ივნისს დონეცკში დაუპირისპირდებიან. მეორე ნახევარფინალში, რომელიც 28 ივნისს გაიმართება, გერმანია და იტალია ითამაშებენ.

ცხელი ივლისის მოლოდინში

ქართულ კლუბებს ცხელი ივლისი ელით – 4 გუნდი ევროტურნირებში მიიღებს მონაწილეობას. „ზესტაფონი“ ჩემპიონთა ლიგის გათამაშებაში მეორე ეტაპიდან ჩაერთვება, ასევე მეორე ეტაპიდან ითამაშებს ევროპის ლიგაზე გორის „დილა“, ხოლო რუსთავის „მეტალურგი“ და ქუთაისის „ტორპედო“ შეჯიბრებას პირველი ეტაპიდან დაიწყებენ.

სანამ გუნდებს ოფიციალური თამაში მოუწევთ, მანამდე შეკრებებზე იმყოფებიან. ევროპის ლიგაზე მოთამაშე სამივე გუნდმა საკონტროლო მატჩებიც გამართა. უნდა აღვნიშნოთ, რომ სამივე მათგანი დამარცხდა და სამივე – უკრაინულ გუნდებთან.

სლოვენიურ შეკრებაზე მყოფმა რუსთავის „მეტალურგმა“ 0:1 წააგო უკრაინული ლუგანსკის „ზორიასთან“. უკრაინული კლუბის ვებგვერდის ცნობით, თამაში თანაბარი იყო და საგოლე მომენტები ორივე გუნდს ჰქონდა.

ერთადერთი გოლი მე-60 წუთზე გავიდა, კერძოდ, დმიტრი ხომჩენოვსკიმ გაიტანა. ქართველთაგან შანსები ჰქონდათ ირაკლი სიხარულიძეს, რევაზ გეწაძესა და დიმიტრი ტატანაშვილს.

„მეტალურგმა“ ეს მატჩი შემადგენლობა ითამაშა: ჰოსმანი, კაკუშაძე, კვარაცხელია, მახვილაძე (გავაშელიშვილი 68), სუხიაშვილი, ჯაფარიძე (თექთურმანიძე 68), რაზმაძე, ქავთარაძე (დობროვოლსკი 68), გეწაძე (ლობჟანიძე 68), მაისურაძე (მიქაბერიძე 68), სიხარულიძე (ტატანაშვილი 68).

„ზორიას“ შემადგენლობაში ჯაბა ლიპარტიამ ითამაშა, რომელმაც მოედანზე სანყისი 45 წუთი დაჰყო.

თუ რუსთაველთა შემადგენლობას დაკვირვებით გადახედეთ, უცხო გვარს აღმოაჩენდით. ხორვატი მეკარე ივან ჰოსმანი 22 წლისაა და „მეტალურგში“ გასინჯვაზეა. ჰოსმანი რამდენიმე ხორვატიულ კლუბში ირიცხებოდა, თუმცა 18 წლის ასაკში დორტმუნდის „ბორუსიაში“ გახლდათ და კლუბის 19-წლამდელებში გამოდიოდა. 197-სანტიმეტრიანი ჰოსმანი ბოლოს ჩეხურ „ლიბერეცში“ ირიცხებოდა, მაგრამ თამაში არ უწევდა.

მომდევნო მატჩს „მეტალურგი“ 27 ივნისს გამართავს ასევე უკრაინის პრემიერლიგელ „ზაკარპატიასთან“.

ავსტრიაში შეკრებაზე მყოფმა გორის „დილამ“ კი ოდესის „ჩერნომორეცთან“ 1:2 წააგო. გორელთაგან გოლი რომან ახალკაცმა 88-ე წუთზე გაიტანა, მანამდე „დილამ“ 55-ე და 79-ე წუთებზე გაუშვა.

ოდესური კლუბის ვებგვერდის ცნობით, თამაში აქაც თანაბარი ყოფილა და გორელებს რამდენიმე კარგი მომენტიც ჰქონიათ. კერძოდ, მოდებაძესა და გვალიას ორჯერ მოურტყამთ ბურთი ძელისთვის. თავის მხრივ, იგივე ოდესელ ბალაშოვსაც გაუკეთებია.

„დილას“ შემადგენლობა ასეთი იყო: სკენდერი (შეყრილაძე 46), კაშია (შაშიაშვილი 64), ინნკირველი, თომაშვილი (სალუქვაძე 68), ნიკა ჯიშკარიანი (რევაზ ბარაბაძე 76), ივანე კანდელაკი (გვალია 66), კაციტაძე (მამუჩიშვილი 56), გურული (გორელიშვილი 46), სადაღაშვილი (კახელიშვილი 46), ახალკაცი, მოდებაძე (ვაწაძე 63).

ასევე ავსტრიულ შეკრებაზე მყოფმა ქუთაისის „ტორპედომ“ მორიგი საკონტროლო მატჩი გამართა და დონეცკის „შახტართან“ ასეთივე ანგარიშით, 1:2 დამარცხდა. გია გეგეჭკორის გუნდმა უკრაინის 7-გზის ჩემპიონს, თასის 8-გზის და სუპერთასის 3-გზის მფლობელსა და უეფას თასის 2009 წლის გამარჯვებულს საკმაო წინააღმდეგობა გაუწია და მე-2 ტაიმის შუაწელს გაშვებული გოლით დამარცხდა.

დონეცკელთა მხრიდან ორივე გოლი ბრაზილიელმა ლეგიონერებმა გაიტანეს. უკვე მე-2 წუთზე ტორპედოელთა ბურთი მოედნის ცენტრში დაკარგეს, ილსინიო კი მიგინეიშვილთან პირისპირ დარჩა, იოლად მოატყუა და „შახტარი“ დანინაურდა. ანალოგიური გოლი გასულა 67-ე წუთზეც, როდესაც ქუთაისელთა მორიგი შეცდომით უკვე კოსტამ იხეირა და, „ტორპედოს“ მეკარესთან პირისპირ დარჩენილს, გოლის გატანა არ გასჭირვებია.

ამ გოლებს შორის „ტორპედომაც“ იხეირა – 55-ე წუთზე მოედანზე მეორე ტაიმში შესული ვალერი ბოლქვაძე მცველებმა წააცილეს, ჯარიმა თავად დაზარალებულმა შეასრულა, ბურთი ცოცხალ კედელს შემოატარა და მელარე უშანსოდ დატოვა. აღსანიშნავია, რომ ქართულ კლუბს წონასწორობის აღდგენა ჯერ კიდევ პირველი ტაიმის მინურულს შეეძლო, თუმცა მცველების გარემოცვაში მყოფი დავით დიღმელაშვილის დარტყმული ბურთი ძელს მოხვდა.

„ტორპედო“ ავსტრიულ შეკრებაზე კიდევ ერთ საკონტროლო მატჩს გამართავს – 28 ივნისს რიონისპირელები ალექსანდრე იაშვილის ყოფილ კლუბ „კარლსრუესთან“ შეხვდებიან.

ტორპედო: მიგინეიშვილი (ქვილითაია 62), რიგვავა (ტაბატაძე 70), კვახაძე (ჭელიძე 46), გამეზარდაშვილი (სიჭინავა 79), გურული (შერგელაშვილი 70), დიღმელაშვილი (გიგაური 62), დათუნაიშვილი (ფირცხალავა 62), კუხიანიძე (ბოლქვაძე 46), დოლიძე (იოსელიანი 70), საბანაძე (გრიგალაშვილი 62), გოცირიძე (ფანცულაია 62).

გუშინ დილით ასევე ავსტრიაში გაემგზავრა საფეხბურთო კლუბი „ზესტაფონი“, სადაც 10 ივლისამდე დაჰყოფს და პერიოდში 2012-2013 წლის უეფას ჩემპიონთა ლიგის გათამაშებისათვის მზადების მეორე მოსამზადებელი ეტაპს გაივლის.

საქართველოს ჩემპიონები ბინას ტიროლის ფედერალური მინის კიტცბიუელის ოლქის დაბა ფიბერბრუნში დაიდებენ. ალპურ შეკრებაზე პირველ სპარინგ-მატჩს ზესტაფონელები რუმინული ფეხბურთის წარმომადგენელ პლოეშტის „ასტრასთან“ 29 ივნისს გამართავენ. სულ, ავსტრიული შეკრებისას, დაგეგმილია ოთხი ამხანაგური შეხვედრის გამართვა.

„ზესტაფონი“ ავსტრიაში შემდეგი 25 ფეხბურთელი გაემგზავრება:

მეკარეები: როინ კვასხვაძე, ზურაბ მამალაძე, კახაბერ მეშველიანი;

მცველები: ზაალ ელიავა, ედიკ საჯაია, მამუკა კობახიძე, თეიმურაზ ღონღაძე, თორნიკე გრიგალაშვილი, მალხაზ გაგოშიძე, თევდორე გრიგალაშვილი, ლაშა კალანდაძე;

ნახევარმცველები: ალექსი ბენაშვილი, ზურაბ მენთეშაშვილი, თორნიკე გორგიაშვილი, შოთა ბაბუნაშვილი, თორნიკე აფციაური, ლუკა გუგუჩია, ლევან შარიქაძე, დავით რაჟამაშვილი, გურამ სამუშია, მიხეილ სარდალიშვილი;

თავდამსხმელები: ჯაბა დვალი, აბაიომი ოვონიკოკო, ოთარ კვერნაძე, დავით მუჯირი.

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

2012, 27 ივნისი, №151

უნარშეზღუდული ბავშვები ნამუშევრებს გამოფენენ

ეკა ირემაშვილი

28 ივლისს მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში საქველმოქმედო აქცია-კონცერტი გაიმართება, რომელსაც მისმა ორგანიზატორებმა „ჩვენ ერთმანეთს ვჭირდებით“ უწოდეს. ღონისძიების ორგანიზატორები ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის შემოქმედთა კლუბი „ლემადე“ და მოსწავლეთა სასახლე არიან. მათი კონცერტის ფარგლებში გაიმართება უნარშეზღუდული ბავშვების ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა.

როგორც ღონისძიების ორგანიზატორმა ნანუკა იმნაძემ განაცხადა, აქცია სოციალური თერაპიის სახლის დასახმარებლად იმართება.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებმა საქველმოქმედო აქცია-კონცერტისა და ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვის გამართვამდე ილიაუნის თეატრში სპექტაკლი „წითელქუდა“ წარმოადგინეს. სპექტაკლი არასამთავრობო ორგანიზაციების „ინვალიდი ბავშვი, ოჯახი საზოგადოება“ და კავშირი „სტუდია ეი-დი-სი“-ს დღის ცენტრების ბენეფიციარი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა და მოზარდთა შემოქმედებითი ჯგუფის მიერ დაიდგა. ღონისძიების მხარდამჭერები არიან სტუდია „ბასტი ბუბუ“, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.

სპექტაკლში ორგანიზაციების ბენეფიციარი ბავშვებისა და მოზარდების გარდა, მონაწილეობა მიიღეს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოხალისე სტუდენტებმა, ასევე ორგანიზაცია „ჰელპინგ ჰენდსის“ აქტივისტებმა.

– ჩვენი ღონისძიების მიზანია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანების სოციალური იზოლაციის დაძლევა, საზოგადოებაში ამ ადამიანთა მიმართ არსებული ნეგატიური სტერეოტიპების რღვევა და მათი რეალური შესაძლებლობების წარმოჩენა. ღონისძიების ორგანიზატორები არიან კავშირი „ინვალიდი ბავშვი, ოჯახი, საზოგადოება“, რომელიც 1995 წელს დაფუძნდა. იგი არის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა და მშობლებელთა პირველი გაერთიანება საქართველოში. ორგანიზაციის მიზანია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისა და მოზარდებისათვის თანაბარი პირობების შექმნა, მათი დამოუკიდებლობის ხარისხის გაზრდა და საზოგადოებაში ჩართულობის უზრუნველყოფა. რაც შეეხება კავშირ „სტუდია ეი-დი-სის“, მისი მიზანი ახალგაზრდების, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრირების ხელშეწყობა, ახალგაზრდების კულტურულ-შემოქმედებითი ინიციატივების მხარდაჭერა და ახალგაზრდულ გაცვლით პროგრამებში მათი მონაწილეობის უზრუნველყოფაა, – ნათქვამია ილიაუნის თეატრის მიერ გავრცელებულ ოფიციალურ განცხადებაში.

ნონა გიუნაშვილი „ნიჭიერის“ გამარჯვებულია

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ნონა გიუნაშვილს, ყველაზე ნიჭიერის ტიტულის გარდა, ჟიურის ფავორიტის წოდება და სპეციალური პრიზი – ავტომობილი „ჰიუნდაი აქცენტი“ ერგო. მასვე გადაეცა ბინა ბათუმის აპარტოტელში, როგორც გამარჯვებულს კი „ორბი ჯგუფმა“ სასტუმროს ნომრის გასაღები გადასცა და განაცხადა, რომ ნონა გიუნაშვილი კომპანიასთან ერთად ბიზნესის მფლობელი გახდება და რეგულარულ შემოსავალსაც მიიღებს.

საქართველოს ბანკის წარმომადგენელმა ნინი ბუკიამ საზოგადოებას ამცნო, რომ შეიქმნა ნიჭის განვითარების ფონდი, რომელშიც 180.00 ლარი ჩაირიცხა, ამიტომაც რიგით მესამე „ნიჭიერის“ 12-ვე ფინალისტი ამ თანხით დაფინანსდა. თითოეულმა მათგანმა საჩუქრად მიიღო 10.000 ლარი, საქართველოს ბანკის რჩეულს აკრობუმს კი დამატებით 20.000 ლარი გადაეცა. საქართველოს ბანკის წარმომადგენლის განცხადებით, ბანკმა გამარჯვებულისთვის 40.000 ლარი დააწესა. ნონა გიუნაშვილი, მთლიანობაში, 50.000 ლარის მფლობელი გახდა.

წელს პროექტის ფინალისტებიდან ხელცარიელი არავინ დარჩენილა. პროექტის სპონსორებმა და მეგობარმა კომპანიებმა თავიანთი ფავორიტები დაასახელეს და სამახსოვრო საჩუქრები გადასცეს. რადიო „ფორტუნას“ რჩეული მომღერალი ლენკა ზვიადაძე გახდა, რომელმაც საჩუქრად აიპადი მიიღო. რადიო „არ დაიდარდომ“ თავის ფავორიტად ჯგუფი „ლურჯი იალქანი“ დაასახელა. ჯგუფს რადიოს ხელმძღვანელობა გაუფორმებს ხელშეკრულებას და გაუწევს პროდიუსერობას მთელი წლის მანძილზე. ხმის ჩამწერ სტუდია „ფორტუნა რეკორდსში“ ჯგუფის წევრები ჩაწერენ სიმღერას, რომელიც რადიოში იტრიალებს.

„პრაიმ ტაიმმა“ საუკეთესოდ „თსუ არტი“ მიიჩნია. თაკო ფხაკაძის განმარტებით, „პრაიმ ტაიმი“ გახდება ამ ჯგუფის პროდიუსერი და საინფორმაციო მხარდამჭერი იქნება მთელი წლის განმავლობაში.

„ჯეოსელის“ რჩეული მისმა სახემ, დუტამ დაასახელა. კომპანიამ ფავორიტად მიიჩნია „თსუ არტი“ და სიგელი გადასცა. დუტამ ჯგუფის ექვსივე წევრს ქსელში ჩართული ანდროიდები აჩუქა ერთწლიანი უფასო სასაუბრო დროით „ჯეოსელის“ ქსელში.

მაივიდეოს რჩეულად პატარა რეპერი ოთო ბუაძე დასახელდა. მას ახალი თაობის ლეპტოპი აჩუქეს.

კომპანია „იამაჰამ“ ციფრული პიანინო თავის ფავორიტს, ბათუმელ მომღერალ ნინიკო კახაძეს გადასცა.

ჯგუფი „ლურჯი იალქანი“ კომპანია „ბარამბოს“ რჩეულიც გახდა. საჭირო აპარატურის შესაძენად მათ 5.000 ლარი გადაეცათ.

კომპანია „ელიტ ელექტრონიქსმა“ პროექტის ყველა მონაწილე დაჯილდოვა და საზოგადოებას თავისი ორი ფავორიტიც წარუდგინა. „ელიტ ელექტრონიქსის“ ფავორიტები „ნიჭიერის“ ორი პატარა მონაწილე ლუკა სვანიძე და მარიამ დალალიშვილი გახდნენ.

როგორც რიგით მესამე „ნიჭიერის“ ჟიურიმ აღნიშნა, წელს ყველაზე მრავალფეროვანი და საინტერესო შოუ დაიდგა, სადაც ჟიურის სამივე წევრის ფავორიტად ერთპიროვნულად ნონა გიუნაშვილი დასახელდა.

საჩხერის სამთო სკოლაში ამერიკელმა კადეტებმა კურსი დაასრულეს

ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო უნივერსიტეტის კადეტებმა ზაფხულის სამთო მომზადების საბაზისო კურსი დაასრულეს. წვრთნების დასრულების საზეიმო ცერემონია საჩხერის სამთო მომზადების სკოლის ბაზაზე გაიმართა. ამერიკელ კადეტებს კურსის დასრულების დამადასტურებელი სერთიფიკატები და სამკერდე ნიშნები გადაეცათ, – იუწყება საქართველოს თავდაცვის სამინისტრო.

სამხედრო უნივერსიტეტის 28 კადეტი სამთო მომზადების სკოლაში ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საქართველოს შორის ორმხრივი თანამშრომლობის ფარგლებში იმყოფებოდა. ზაფხულის სამთო მომზადების საბაზისო კურსი 4 ივნისს დაიწყო და 23 ივნისს დასრულდა. 3 კვირის განმავლობაში კადეტები სამთო-ტექნიკურ უნარ-ჩვევებს ეუფლებოდნენ.

სკოლის ინსტრუქტორებმა მომავალ სამხედროებს მთაში და მაღალ მთაში გადაადგილების, მდინარეებისა და ხეობების გადალახვის ტექნიკა შეასწავლეს. ისინი პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენისა და ევაკუაციას ტექნიკურ მეთოდებსაც გაეცნენ.

კურსის ფარგლებში კადეტებმა ქართველი ინსტრუქტორების დახმარებით ტექნიკური ცოცვა და სხვადასხვა სირთულის სიმაღლეებიდან დაშვებაც განახორციელეს.

კურსის დასრულების საზეიმო ცერემონიას შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის უფროსის მოადგილეები, პოლკოვნიკი არსენ ცუხიშვილი, ვიცე-პოლკოვნიკი ლაშა ბერიძე, საქართველოში ნატოს სამეკავშირეო ოფისის და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები დაესწრნენ. მედიანიუსი

ქუთაისში ახალგაზრდა მამაკაცის ცხედარი იპოვეს

ქუთაისის რკინიგზის სადგურთან გუშინ დილით ახალგაზრდა მამაკაცის ცხედარი აღმოაჩინეს.

ექსპერტიზის პირველადი დასკვნით 19 წლის ახალგაზრდა ცემით არის მოკლული. წინასწარი ინფორმაციით, შემთხვევა წუხელ მოხდა.

საქმეზე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე და მიმდინარეობს გამოძიება. მედიანიუსი

დავით ბაქრაძემ და ბოგდან ბორუსევიჩმა ორმხრივ ურთიერთობებზე ისაუბრეს



ორმხრივ ურთიერთობებზე ისაუბრეს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე, დავით ბაქრაძემ და პოლონეთის რესპუბლიკის სენატის მარშალმა, ბოგდან ბორუსევიჩმა დღევანდელ შეხვედრაზე.

როგორც შეხვედრის შემდეგ გამართულ ბრიფინგზე პარლამენტის თავმჯდომარე, დავით ბაქრაძემ განაცხადა, შეხვედრაზე ისაუბრეს საქართველოსა და პოლონეთის პარტნიორობაზე საერთაშორისო არენაზე, მათ შორის ევროკავშირთან დაახლოებასა და ნატო-ში გაწევრიანებაზე.

მისი თქმით, სწორედ პოლონეთის ინიციატივა იყო თავის დროზე აღმოსავლეთ პარტნიორობის შექმნა და ევროკავშირის პოლონეთის პრეზიდენტობის პერიოდი, საქართველოსთვის ძალიან წარმატებული იყო, რა დროსაც საქართველომ თავისუფალი ვაჭრობის ასოცირებული შეთანხმების შესახებ მოლაპარაკებები დაიწყო.

ბაქრაძე იმედოვნებს, რომ ასეთი მჭიდრო თანამშრომლობით, საქართველო გაისად მოლაპარაკების ძირითად ნაწილს დაასრულებს იმ უმნიშვნელოვანეს თემებზე, რომელიც შეეხება თავისუფალ ვაჭრობას, საქართველოს მოქალაქეების უვიზოდ გადაადგილებას და საქართველოს ასოცირებულ წევრობას.

სპიკერის ინფორმაციითვე, შეხვედრაზე საუბარი შეეხო ოკუპირებული ტერიტორიების პრობლემას და ქართულ–რუსულ ურთიერთობებს.

“ჩვენ მადლობელი ვართ იმ უპირობო მხარდაჭერისთვის, რომელიც პოლონეთის გააჩნის საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობის მიმართ”, – დასძინა ბაქრაძემ.

პოლონეთის სენატის მარშალმა, ბოგდან ბორუსევიჩმა იმედმა გამოთქვა, რომ ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების შესახებ მოლაპარაკებები კარგი ტემპით მიმდინარეობს.

სტუმარმა იმედი გამოთქვა, რომ მომავალი წლის შემოდგომაზე, აღმოსავლეთ პარტნიორობის“ სამიტისთვის შეთანხმება გაფორმდება.

ასევე, ბორუსევიჩმა აღნიშნა, რომ ივლისში ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლის შესახებ მოლაპარაკებები განახლდება და წარმატებულიც იქნება.

ბორუსევიჩმა პოლონეთსა და საქართველოს საკანონმდებლო ორგანოებს შორის თანამშრომლობის შესახებაც ისაუბრა და გაანცხადა, რომ ხშირი კონტაქტები და აქტიური თანამშრომლობა აქვთ.

მისივე ინფორმაციით, ივლისის ბოლოს პოლონეთის სეიმში საქართველოს პარლამენტის აპარატის თანამშრომელთა ჯგუფი ჩავა.

ინტერპრესნიუსი

იდენტობასა და კულტურას საჯარო ლექცია მიეძღვნება

ეკა ირემაშვილი

27 ივნისს, საქართველოს ფრანგული ინსტიტუტის ინიციატივით, საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორიუმში საჯარო ლექცია გაიმართება, რომელსაც მარკ ოჟე წარუძღვება. საჯარო ლექცია საერთაშორისო კონფერენციების ფარგლებში გაიმართება და მისი თემაა „იდენტობა და კულტურა – ლევი სტროსის მემკვიდრეობა“.

საჯარო ლექცია ჩატარდება ფრანგულად, ქართული სინქრონული თარგმანით, რომელზეც დასწრება თავისუფალია. „ბუნება, კულტურა, პეიზაჟი“ – ეს ის თემებია, რომლებზეც ეროვნული მუზეუმის აუდიტორიუმში ისაუბრებენ.

– როგორც კლოდ ლევი სტროსი აღნიშნავს, ენების გაჩენისთანავე ადამიანთა ყველა ჯგუფმა, რაც არ უნდა მცირერიცხოვანი და იზოლირებული ყოფილიყო ის, დაიწყო უახლოესი გარემოს შესწავლა და მისთვის შინაარსის მიცემა, ე.ი. დამორჩილება. აქედან იღებს სათავეს კოსმოგონია, რომელიც დეტალურად აღწერს იმ თანმიმდევრულ განსხვავებებს, რომელმაც ადამიანი გაურკვეველი ქაოსიდან გამოიყვანა. ეს მიდგომა მეცნიერული არ არის, მაგრამ არც მთლად ირაციონალურია. ის აწესრიგებს როგორც ბუნებისა და საზოგადოების ნათესაურ კავშირებს, ცხოვრების წესებს, ასევე სივრცის აღქმას. სივრცე, პეიზაჟი მოწესრიგებულია, სულ ცოტა, სიმბოლიზირებულია ადგილების დასახელებებით, ორიენტირებით, მიმართულებებით. რა გავლენა აქვს ამ სიმბოლურ წესრიგზე დიდი ქალაქების, ჩქაროსნული გზების, აეროპორტების „ზეთანამედროვე“ პეიზაჟს? იმ დროს, როცა პლანეტა დედამინა თვითონ გადაიქცა პეიზაჟად და მზის სისტემის პლანეტები დედამინის უბრალო გარეუბნებად წარმოგვესახებიან, მსოფლიოს „გაკულტურების“ ახალი ფორმები ჩნდება, – აღნიშნავს ფრანგი ანთროპოლოგი მარკ ოჟე.

ეროვნულ მუზეუმში დაგეგმილ საჯარო ლექციასთან დაკავშირებით მისი წარმომადგენელი ანა ვერულაშვილი აღნიშნავს:

– მარკ ოჟე ფრანგი ანთროპოლოგი, ეკოლ ნორმალ სუპერიერის კურსდამთავრებული, კლასიკური ფილოლოგიის ხარისხის მფლობელი, ფილოლოგიისა და ჰუმანიტარული მეცნიერებების დოქტორია. იგი 10 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა პარიზის სოციალურ მეცნიერებათა უმაღლეს სკოლას. ანთროპოლოგიაში მისი ნაშრომების გამო მან მონაწილეობა მიიღო მრავალ ექსპედიციაში შავ აფრიკაში, სამხრეთ ამერიკასა და ევროპაში. მარკ ოჟე არის ავტორი კონცეფციებისა „არარსებული“ და „ზეთანამედროვე“ და, როგორც ანთროპოლოგი, აღწერს თანამედროვე მსოფლიოს.

საქართველოს ფრანგული ინსტიტუტის ინიციატივით 28 ივნისს ღონისძიებები უკვე სხვა მიმართულებით გაგრძელდება. კინოთეატრ „ამირანში“ წარმოდგენილი იყო ჟაკ დემის „გოგონა ვირის ქურქში“. ფილმი ნაჩვენები იქნება ფრანგულად, ინგლისური ტიტრებით ფრანგული ინსტიტუტის კინოკლუბში. კინოსეანსზე დასასწრები ბილეთის ფასი 3 ლარია, თუმცა მასზე დასწრება ფრანგული ინსტიტუტის სტუდენტებისათვის უფასოა.



ჯოსვოხდი ბ

შვეულად: 1. უცოდინარი, უვიცი რაიმე დარგში; 2. მონასტერი, ხუროთმოძღვრული ძეგლი რაჭაში; 3. ირლანდიური ლუდი; 4. სვლის მიმართულება; 5. ნადირისგან დამცავი ძაღლის ეკლიანი ყელსაბამი; 8. მოსახლეობის ცალკეული ჯგუფების განადგურება რასობრივი ან ეროვნული ნიშნით; 12. ქალაქის ტიპის დასახლებული პუნქტი; 13. გარემოსა და ცოცხალი ორგანიზმების ურთიერთდამოკიდებულების შემსწავლელი ბიოლოგიის ნაწილი; 14. ერთ-ერთი კონტინენტი; 16. მინერალური წყალი ჯავის რაიონში; 18. აღმოსავლური ხის ჩასაბერი მუსიკალური საკრავი; 20. ძვირფასმერქნიანი, ფოთლოვანი ხე.

თარაზულად: 6. მუსიკალური ნაწარმოების შესავალი ნაწილი; 7. კოსმოდრომი იაპონიაში; 8. საეკლესიო საგალობელთა და ლოცვათა კრებული; 9. რომაელი პოეტი, „ღვთაებრივი კომედიის“ ავტორი; 10. მოსავლის ამღები სასოფლო-სამეურნეო მანქანა; 11. „ვეფხისტყაოსნის“ ინგლისურად მთარგმნელი; 15. ფასიანი ქაღალდი; 17. უდაბნო აფრიკაში; 19. ქალაქის თავი ჩეხეთში; 21. ზღვისპირა კურორტი გულრიფშის რაიონში; 22. ლიმონათის გაზავება ნახშირმჟავა აირით; 23. თეთრი მელას ძველი ქართული სახელწოდება. შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

ნინა ნომეხში გამოქვეყნებული ჯოსვოხდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ხერგიანი; 2. სუეცი; 3. ყაპუზუნა; 4. დიდუბე; 7. გნოლი; 9. ერაძე; 12. კრიტერიუმი; 14. ბულონი; 15. გალიერა; 17. კანტატა; 18. ომალო.

თარაზულად: 5. ცელსიუსი; 6. ორაგული; 8. ბოცმანი; 10. კელასური; 11. ონაგრი; 1„. პლანერი; 16. შეწირული; 18. კამეა; 19. ელადა; 21. უმანკო; 22. ბროწეული; 23. გაუტამა.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ფუტბალი; 2. მადაფათა; 3. „სოკარი“; 4. „პორტო“; 5. ნიკოტინი; 8. კარაკასი; 12. ცეცე; 13. ტრაქტატი; 14. ანდები; 16. ნიგერია; 18. პრესა; 20. ჭაჭა.

თარაზულად: 6. ჩურჩხელა; 7. აპოთეოზი; 8. კახასა; 9. პალმა; 10. სამორინე; 11. კურცხაარი; 15. ბრიჯსტოუნი; 17. ფესახი; 19. ბურჭულაძე; 21. გალერეა; 22. დილეტანტი; 23. ქარაგმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეკოლოგიური სამართლის ცენტრი რუსთავის ტყე-პარკის განადგურებაში მონაწილე პირების დასჯას ითხოვს

„ეკოლოგიური სამართლის ცენტრი" რუსთავის ტყე-პარკის განადგურების შეჩერებასა და იმ პირების პასუხისგებაში მიცემას ითხოვს, ვისი ინიციატივითაც მოხდა ხეების გაჩეხვა.

„ეკოლოგიური სამართლის ცენტრის" თავმჯდომარის, ნიკოლოზ მჟავანაძის განცხადებით, 1028 ჰა-ზე გადაჭიმულ რუსთავის ტყე-პარკში განადგურებულია ასეულობით იშვიათი სახეობის მრავალწლიანი ვერხვის, ფშატის, ჭალის მუხის, ნეკერჩხალისა და თუთის ხეები. სამუშაოებს ახორციელებს სამშენებლო კომპანია „ალგეთი".

„ჩვენი ინფორმაციით, მოჭრილი ხეების ადგილზე რესტორნებისა და შადრევნების გაკეთება იგეგმება. ფაქტობრივად, რუსთაველები ტყე-პარკის ნაცვლად რიყის პარკის ტიპის დასასვენებელ ობიექტს მიიღებენ, სადაც, რეალურად, მხოლოდ დეკორატიული მცენარეებია და დასვენება შეუძლებელია", – განაცხადა ნიკოლოზ მჟავანაძემ გაზეთ „რუსთავის ამბების" რედაქტორ თამარ ბატიაშვილსა და რუსთავის მოსახლეობის წარმომადგენლებთან ერთად გამართულ პრესკონფერენციაზე.

„ეკოლოგიური სამართლის ცენტრის" ინფორმაციით, ტყე-პარკის განადგურება ამჟამადაც მიმდინარეობს.

ნიკოლოზ მჟავანაძის განცხადებით, საქართველოს ხელისუფლება სკვერებისა და პარკების რეაბილიტაციას გამწვანებული ტერიტორიების განადგურების ხარჯზე ახორციელებს: ანადგურებენ მრავალწლიან ნარგავებს და მათ ნაცვლად შადრევნებსა და რკინაბეტონის კონსტრუქციებს დგამენ. ცენტრის თავმჯდომარე ამის დასადასტურებლად „მზიურს", ბუკიას ბაღს, კიკვიძის, მუშტაიდისა და რიყის პარკებს ასახელებს, სადაც უკვე შეუძლებელია დასვენება და მზისგან თავის არიდება. მედიანიუსი

კონსტიტუციონალიზმის კვლევისა და ხელშეწყობის ცენტრი ტენდერს აცხადებს

კონსტიტუციონალიზმის კვლევისა და ხელშეწყობის რეგიონული ცენტრი თბილისის ოფისის გასარემონტებლად ტენდერს აცხადებს. თანხა 192 619 ლარს შეადგენს.

აღნიშნული ცენტრი მას შემდეგ შეიქმნა, რაც კონსტიტუციონალისტმა ავთანდილ დემეტრაშვილმა ახალ კონსტიტუციაზე მუშაობა დაასრულა. ცენტრს შექმნის დღიდანვე დემეტრაშვილი ჩაუდგა სათავეში.

კონსტიტუციონალიზმის კვლევისა და ხელშეწყობის რეგიონალური ცენტრი აქამდე ბათუმში მდებარეობდა. უკანასკნელ პერიოდში კი, მისი თბილისში გადმოტანა გადაწყდა.

ინტერპრესნიუსი

ახალსოფელში სარიტუალო დარბაზის მოწყობა მიმდინარეობს

„სოფლის მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამის" ფარგლებში, ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალსოფელში სარიტუალო დარბაზის მოწყობა მიმდინარეობს.

როგორც „ინტერპრესნიუსს" ადგილობრივი მუნიციპალიტეტიდან აცნობეს, მალე დარბაზში ცივი და ცხელი წყლის სისტემის მოწყობის სამუშაოები დასრულდება.

სამუშაოები „სოფლის მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამის" ფარგლებში ხორციელდება და მასზე 11 954 ლარი დაიხარჯება. სამუშაოებს ინდ. მეწარმე „ბადრი თურმანიძე" ასრულებს.

„პროექტის ფარგლებში მიმდინარეობს სოფელში არსებული ბუნებრივი თერმული წყლებიდან 1100 მ სიგრძეზე მიწის ქვეშ მილების ჩაწყობა. სამუშაოს დასრულების შემდეგ სარიტუალო დარბაზში მოხდება ცივი და ცხელი წყლის შეყვანა, დამონტაჟდება ონკანები და 50 გრძ/მ-ზე მოეწყობა საკანალიზაციო სისტემა ორი ჭით", – აცხადებენ რაიონის მუნიციპალიტეტში.

მათივე ცნობით, ორი წლის წინ, სოფელ ახალსოფლის მოსახლეობის საერთო გადაწყვეტილებით, სოფლის ცენტრში არსებული კლუბის შენობას, რომელიც წლების განმავლობაში უფუნქციოდ იყო, დემონტაჟი ჩაუტარდა და სარიტუალო დარბაზად გადაკეთდა. პროექტი „სოფლის მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამის" ფარგლებში განხორციელდა.

ამ ეტაპზე დარბაზის ფუნქციონირებისათვის შიდა სარემონტო სამუშაოებია შესასრულებელი. სულ მალე სარიტუალო დარბაზით, სოფელში მცხოვრები 200 კომლი ისარგებლებს.

ინტერპრესნიუსი

სამგლოვიარო განცხადებები

ნოდარ ტაბიძე ღრმა მწუხარებით იუწყება
ლადო უგრეხელიძის
გარდაცვალებას და თანაუგრძნობს გარდაცვლილის ოჯახს.

ამირან სხიერელი ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება
ლადო უგრეხელიძის
გარდაცვალებას და თანაუგრძნობს ოჯახსა და ახლობლებს.

ციური, კონსტანტინე, ნოდარ, ანზორ, თემურ, მერაბ და გია მჟავიები ოჯახებით ღრმა მწუხარებითა და გულისტკივილით იუწყებიან მამიდაშვილის
სოკრატ სალუქვაძის
გარდაცვალებას.

დაკრძალვა: ხუთშაბათს, 28 ივნისს, ოზურგეთის რაიონის სოფელ ნიაბაურში.

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

„მასთ ქერის" პრინციპის დანერგვაზე თანხმობა სამოქალაქო საზოგადოების ზეწოლის შედეგია"

გერა მამულაშვილი

ე.წ. მასთ ქერისთან დაკავშირებით საკანონმდებლო ინიციატივას პარლამენტი მიმდინარე კვირას დაჩქარებული წესით განიხილავს. ამის შესახებ ბიუროს სხდომაზე სპიკერმა დავით ბაქრაძემ განაცხადა. მისივე თქმით, ინიციატივის დეტალები დღის მეორე ნახევარში დაზუსტდება და პარლამენტის ბიუროს ხვალ წარედგინება.

ჯონ ბასი

ინიციატივის მიხედვით, საარჩევნო პერიოდში სატელევიზიო არხების ტრანზიტი სავალდებულო იქნება, თუმცა ბაქრაძეს არ დაუკონკრეტებია, კიდევ რა დეტალებია დასაზუსტებელი ამ ინიციატივასთან დაკავშირებით.

დასაზუსტებელ დეტალებს ვერ აკონკრეტებენ უმრავლესობის სხვა წევრებიც. ამასთან, არსებული ინფორმაციით, პროექტის ავტორები არიან პავლე კუბლაშვილი და აკაკი მინაშვილი, რომლებიც პარლამენტში არ იმყოფებიან.

პარლამენტის თავმჯდომარემ მხოლოდ ის აღნიშნა, რომ კანონპროექტი დაჩქარებული წესით იქნება განხილული, რის გამოც მიმდინარე კვირაში კიდევ ერთი რიგგარეშე სხდომა გაიმართება.

სატელევიზიო არხების სავალდებულო ტრანზიტს კამპანია „ეს შენ გეხება" რამდენიმე თვე უშედეგოდ ითხოვდა. ინიციატივას კერძო სექტორში უხეშ ჩარევად აფასებდა იურიდიულ საკითხთა საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე პავლე კუბლაშვილი. ინიციატივასთან დაკავშირებით კამპანიამ „ეს შენ გეხება" ხელმოწერების შეგროვებაც კი გადაწყვიტა და პარლამენტისგან შესაბამისი თანხმობაც მიიღო, რათა ე.წ. მასთ ქერის პრინციპთან დაკავშირებით საკანონმდებლო წინადადება პარლამენტში, ამომრჩევლის ინიციატივით შესულიყო.

თუმცა, პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძე გამოვიდა ინიციატივით, რომ ამ პრინციპს მხოლოდ წინასაარჩევნოდ ემოქმედა, რაზეც საკანონმდებლო ცვლილება მიმდინარე კვირაში – ხუთშაბათს და პარასკევს დაგეგმილ რიგგარეშე სხდომებზე განიხილება და დამტკიცდება.

„ეს შენ გეხებას" კამპანიაში შემავალი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები კი აცხადებენ, რომ მთავარია მოგვარდეს პრობლემა, რომელიც მოსახლეობისთვის განსხვავებული ინფორმაციის მიწოდებას ეხება.

„ქართული ოცნების" ლიდერის, ბიძინა ივანიშვილის, პრესსპიკერის მაია ფანჯიკიძის აზრით, სანამ „მასთ ქერისა" და „მასთ ოფერის" პრინციპების დანერგვაზე საკანონმდებლო ინიციატივას არ დაამტკიცებენ და არ გაირკვევა, რას აპირებს ხელისუფლება, ეიფორიის საფუძველი არ არსებობს.

აღნიშნული განცხადებით, ფანჯიკიძე პარლამენტის თავმჯდომარის, დავით ბაქრაძის, განცხადებას გამოეხმაურა, რომლის თქმით, საარჩევნო პერიოდში ყველა საკაბელო ქსელის მეშვეობით ყველა სატელევიზიო არხის გადაცემა უნდა მოხდეს და პარლამენტში მუშაობენ ინციატივაზე, რომლის მიხედვითაც, ყველა სატელევიზიო არხს მიეცემა საშუალება, საზოგადოების უფრო დიდი ნაწილს მიაწვდინოს ხმა.

როგორც ივანიშვილის პრესსპიკერმა აღნიშნა, საპარლამენტო უმრავლესობის მიერ „მასთ ქერისა" და „მასთ ოფერის" პრინციპების დანერგვაზე თანხმობა სამოქალაქო და საერთაშორისო საზოგადოების ზეწოლის შედეგია.

ფანჯიკიძის თქმით, სამოქალაქო და საერთაშორისო საზოგადოების ზეწოლით ხელისუფლება იძულებული გახდა, რომ დაეთმო და როგორც დავით ბაქრაძემ განაცხადა, „მასთ ქერისა" და „მასთ ოფერის" პრინციპებზე საკანონმდებლო ინციატივა მომზადდება.

ივანიშვილის პრესსპიკერის განმარტებით, ახალი პრინციპების დანერგვა მხოლოდ წინასაარჩევნო პერიოდში საკმარისი არ არის, რის გამოც ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში ის ძალაში დარჩება. რასაკვირველია, ინფორმაცია უნდა იყოს ხელმისაწვდომი საზოგადოებისთვის არა მხოლოდ არჩევნებამდე ორი თვით ადრე – გამოცხადებული საარჩევნო კამპანიის დროს, არამედ ყოველთვის, რადგან არჩევნების მეორე დღესვე ახალი ციკლით იწყება პოლიტიკური პროცესები.

„ჩვენ პირობას ვდებთ, რომ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ეს პრინციპი საკამათო აღარ იქნება და ის იმოქმედებს", – აღნიშნა მაია ფანჯიკიძემ.

შეგახსენებთ, ამ საკითხზე აშშ-ის ელჩის საქართველოში ჯონ ბასის მიერ ატლანტიკურ საბჭოში გაკეთებულ განცხადებას, რომ „მასთ ქერის" პრინციპის უკან დგას მიზანი, რომელიც მედიის ხელმისაწვდომობის პრობლემის დაძლევას გულისხმობს. ელჩის განმარტებით, ის, თუ როგორ გადაიჭრება ეს პრობლემა, ქართული საზოგადოების გადასაწყვეტია:

„ქვეყანაში მიმდინარე პროცესების გაშუქება მაუწყებლების ვიწრო სპექტრის მიერ ხდება და მოქალაქეებს ხელი არ მიუწვდებათ სხვა მაუწყებლებზე, რომლებიც განსხვავებულ მიდგომას გამოხატავენ".

ბასისვე თქმით, წინასაარჩევნო ვითარების პირობებში უმნიშვნელოვანესია, ინფორმაციის ფართო სპექტრის გაცნობისა და განსხვავებული პოლიტიკური პარტიების აზრის მოსმენის საშუალება საქართველოს ყველა მოქალაქეს ჰქონდეს.

საპარლამენტო უმრავლესობის წევრი აკაკი მინაშვილი აქამდე დარწმუნებული იყო, რომ კამპანია „ეს შენ გეხებას" წევრები და აშშ-ის ელჩი საქართველოში ჯონ ბასი სხვადასხვა „მასთ ქერიზე" საუბრობენ. მინაშვილი ამტკიცებდა, რომ ქართული არასამთავრობოების მიერ წარმოდგენილი „მასთ ქერის" ვარიანტი მსოფლიოში უპრეცედენტოა და ბუნდოვანი. მისივე თქმით, არც ერთ ქვეყანაში საკაბელო მაუწყებლებს არ აქვთ ვალდებულება, სხვა საკაბელო თუ სატელიტური მაუწყებლის ჩართვისა. დეპუტატს მიაჩნია, რომ სფეროში სახელმწიფო რეგულირება თავისუფალ მედიასაც შეზღუდავს და თავისუფალ ბიზნესსაც.

რაც შეეხება კონკრეტულად ჯონ ბასის განცხადებას, დეპუტატმა აღნიშნა, რომ ელჩი ზოგადად „მასთ ქერის" პრინციპზე საუბრობს და არა ქართული არასამთავრობოების მიერ შემუშავებულ ინიციატივაზე.

ამასთან დაკავშირებით, გაზეთ „რეზონანსის" მთავარმა რედაქტორმა ლაშა ტუღუშმა აკაკი მინაშვილს ჯონ ბასის განცხადების „კარგად წაკითხვა „ურჩია". როგორც ტუღუშმა განაცხადა, ჯონ ბასი სწორედ საქართველოში არსებულ პრობლემებზე საუბრობდა:

„ბასის განცხადებაში პირდაპირ იყო აღნიშნული, რომ მოსახლეობას განსხვავებულ მაუწყებლობაზე ხელი არ მიუწვდება და სწორედ ამ პრობლემის მოგვარებას ისახავს მიზნად ის კანონპროექტი, რომელიც ჩვენ მას შევთავაზეთ. მინაშვილს და ამ ჯგუფის წარმომადგენლებს ძალიან უნდათ, რომ საზოგადოება შეიყვანონ შეცდომაში, მაგრამ ამას ვერ შეძლებენ".

ტუღუშის თქმით, იმდენად ნათელია ბასის განცხადება, რომ ასეთი მიდგომით საზოგადოებისთვის ტვინის არევა ვერ მოხდება: „ჩვენ ვიზიარებთ ბასის პათოსს, ვემხრობით მის განცხადებას და მოხარულები ვართ, რომ აშშ-ის ელჩი ასევე იზიარებს იმ მიდგომებს, რომელიც სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან არის ინიცირებული პარლამენტში და ეს მიდგომები მისთვისაც ძალიან ნათელი იყო."

მისივე თქმით, ის მიდგომა, რომელიც „ეს შენ გეხებას" წევრების მხრიდან გაჟღერდა, ხელს შეუწყობს მედიაპლურალისტური გარემოს დამკვიდრებას და განვითარებას ქვეყანაში: „ეს არის ჩვენი მიზანი და როგორი ბუნდოვანი და დამაბნეველი განცხადებებიც არ უნდა აკეთონ ხელისუფლების წარმომადგენლებმა, ჩვენ ამ მიზანს მაინც მივაღწევთ".

საბოლოოდ, ხელისუფლება იძულებული გახდა დათმობაზე წასულიყო. მართლია, „მასთ ქერის" პრინციპის დანერგვა გარკვეული დათქმით ხორციელდება, პირველ ეტაპზე სასურველი შედეგი მაინც მიღწეულია.

TV პროგრამა

ოთხშაბათი
27 ივნისი

07.30 ჩვენი დილა 09.00, 12.00, 16.00, 20.00 მოამბე 11.00 სამოთხის ვაშლები 12.45 ცხოვრება მშვენიერია 13.50 ვაშინგტონი დღეს 14.20 დოკ. ფილმი „მსოფლიოს ქალაქები„ 15.00, 21.00 სერ.„დეტექტივი„ 17.00 ეკონომ მენიუ 18.00 პეპე და მეგობრები 19.05 სერ. „ჩემი მეგობარი„ 22.00 ევრო-2012. მიმოხილვა. 22.35 ევრო-2012. ნახევარფინალი. 00.45 ევრო-2012. მიმოხილვა. 01.45 მხ. ფილმი „ახალი სეზონი„ 03.35 მხ. ფილმი „მშვიდობისმოყვარე„ 05.55 დოკ. ფილმი „მსოფლიოს ქალაქები„

08.00, 00.00 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 09.00, 12.00, 14.45, 17.45, 23.00 ბრიფინგის დროით 10.00, 13.45, 19.00, 22.00 თავისუფალი ტრიბუნა 11.00 დოკ. ფილმი 16.00 დოკ. ფილმი 17.00 სერ. „არავითარი საიდუმლო ჩვენს შორის„ 20.00 მხ. ფილმი „ხატი„ (პ. სვეიზი) 00.00 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 01.00 მხ. ფილმი „ბოულინგის მეფე„ (15)

07.30 იმედის დილა 10.05 სერ. „მოპარული ბედნიერება„ 11.00, 11.30. 14.00, 17.00, 20.00, 01.30, 05.15, 07.00 ქრონიკა 11.05 სერ. „მოპარული ბედნიერება„ 11.50 სერ. „უკვდავი ამბავი„ 12.30 დღის შოუ 14.40 სერ. „ღვინის გზა„ 15.40 რომ გადახვალ, გააჩერე (გან.) 17.40 სერ. „მეწამული ცა„ 18.40 სერ. „შურისძიების სახელით„ 21.00 სერ. „მემკვიდრეები„ 22.00 მე მიყვარს საქართველო 23.30 ხანუმა. 00.40 რემონტი 01.30 მხ. ფ. „შავი ორქიდეა„ 03.40 მხ. ფილმი „ცეცხლოვანი ველი„ 05.40 მუსიკა. 06.30 სერ. „შურისძიების საფასური„

07.30 დილა მშვიდობისა 10.00 სერ. „დედის გული„ 11.00 სერ. „ეჭვი და სიყვარული„ 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00, 04.30 კურიერი 12.30 სხვა ამბები 13.00 ბიზნეს კურიერი 13.30 შუა დღე 15.30 თქვენი შოუ 17.00 სერ. „ტერეზა„ 18.45 სერ. „მგზნებარე გული„ 19.50 სერ.„ველური ყვავილი„ 22.00 იღბლიანი ბორბალი 23.00 რა? სად? როდის? 00.30 შუა დღე 02.00 პატრული 02.30 მხ. ფილმი (ტიტ.)

08.00 ან. ფილმი 08.55 სერ. „ჩემი შეყვარებული„ 09.45, 12.00, 15.15, 17.00 ტვ-მარკეტი 10.00 მხ. ფილმი 12.15 სერ. „ნათლიმამას ისტორია„ 13.00 მზესუმზირა (პირდ.) 15.15 ან. ფილმი 17.10 სერ. „ველური მთვარე„ 18.00 მხ. ფილმი 20.00 სერ. „ვნებათა მიწა„ 21.00 სერ."გაუხსნელი საქმე„ 22.00 ევრო-2012. (პირდაპ.) 22.45 მხ. ფილმი 00.00 მზესუმზირა 02.00 მხ. ფილმი

08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30 „დრო„ 09.00 მუსიკა 09.30 სერ. „საიდუმლო აგენტების თავგადასავალი„ 10.30 დოკ. ფილმი „ჰოლივუდის წყვილები„ 11.10, 14.10, 17.10 ინგლისურის გაკვეთილი 11.40, 15.00, 18.00 თურქულის გაკვეთილი 11.50, 21.25 სერ. „საგა„ 12.50, 19.35 სერ. „ოსტატი და მარგარიტა„ 13.50 დოკ. ფილმი „ისინი„ 15.15 სერ. „საიდუმლო აგენტების თავგადასავალი„ 16.00 დოკ. ფილმი „პლატინის ქორწინებები„ 16.30 დროის ვექტორი 18.15 დოკ. ფილმი „ჰოლივუდის წყვილები„ 19.35 სერ. „ოსტატი და მარგარიტა„ 23.00 სცენა 23.40 მხ. ფილმი

ერთსულოვნება 08.30 განთიადი 10.00, 18.05, 21.15 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 12.10, 18.55, 22.55, 00.25 ისტორიის დღიური 10.10, 19.00, 22.00, 00.05 სიახლენი 10.30, 21.20 ლექსით ქებათა ქება 10.40 დოკ. ფილმი „გურული ფირალები„. 11.00 დოკ. ფილმი „ყველაზე საქმიანი ადამიანი 11.25 მგზავრები წუთისოფლისა 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 12.00, 15.00 საეკლესიო კალენდარი 12.05 ამინდი 12.10 დროის ჩანაწერები. 13.20 კონცერტი. 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 15.00, 18.00 საეკლესიო კალენდარი 15.05 ერთი ნივთის ისტორია. 15.10 განთიადის სტუმარი 15.30 დოკ. ფილმი „მოგზაურობა ბართ ვულფთან ერთად„ 15.55 დოკ. ფილმი „ველური ბუნება„ 18.10 100 ქართული სიმღერა. 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი. 18.53, 22.50 ერთი ნივთის ისტორია. 19.20 ეთნოგრაფია. 19.25 მხ. ფილმი „სინათლე ჩვენს ფანჯრებში„ 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.30 გზა, რომლითაც ვიარე 22.25 ქართული ალბომი 23.00 სალამოს ლოცვა 23.15 დოკ. ფილმი „ნალვერდალი„. 00.05, 02.30 [illegible] 00.35 განთიადის სტუმარი. 01.00 ერთი დღე მონასტერში. 01.20 მხ. ფილმი „ჰამლეტი" 1-ნაწ.

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით

ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

27 ივნისი

აშშ დოლარი — 1,6341

ევრო — 2,0488

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,5440



რუსული რუბლი — 0,0499

აღმოსავლეთ საქართველო: ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 33-35, ღამით — 20-22

დასავლეთ საქართველო: ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 35-37, ღამით — 22-23

სამხრეთ საქართველო: ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 32-33, ღამით — 18-19

ამინდის პროგნოზი 27 ივნისისთვის

ბიბლიოთეკა

14 ივნისიდან!

დიდი საზაფხულო აქცია

ქართული მწერლობის საუნჯე

„ახალ თაობასთან“ ერთად

ფასი 5 ლარი

ასტროპროგნოზი 27 ივნისისთვის

ყველამ გაითვალისწინეთ! წარმატებული დღეა

ვერძი – ფული გაქვთ, პრობლემებიარ გაწუხებთ. **კურო** – ის საქმე აკეთეთ, რაც მოგწონთ. **ტყუპები** – ფული გაქვთ, ყველაფერს იყიდით. **კირჩხიბი** – არავის ენდოთ, საკუთარ თავს დაეყრდენით. **ლომი** – ახალი საქმე მოგეწონებათ, ფულიც გექნებათ. **ქალწული** – არ გარისკოთ, დღეს არ ღირს. **სასწორი** – თქვენი საქმე კარგად მიდის, ფულიც გექნებათ. **ღრიანკალი** – ფულის პრობლემა არ გექნებათ, ცოტაც მოითმინეთ. **მშვილდოსანი** – არ აყვეთ ნერვებს, ყველაფერი კარგად იქნება. **თხის რქა** – სიყვარულში გიმართლებთ, გელით სიურპრიზი. **მერწყული** – ყურადღების ცენტრში ხართ, ყველა თქვენ შემოგყურებთ. **თევზები** – ახალი საქმე გაამართლებს, თავს კარგად გრძნობთ.

ბისუხვებთ ბედნიერ დღეს!

ნონა გიუნაშვილი „ნიჭიერის“ გამარჯვებულია

ეკა ირემაშვილი

ყველაზე რეიტინგული პროექტის „ნიჭიერის“ რიგით მესამე სეზონის გამარჯვებული ქვიშაზე მხატვარი გორელი ნონა გიუნაშვილი გახდა. მან საზოგადოების მხრიდან მოწონება ქვიშაზე ხატვით, განსაკუთრებით კი პატრიოტული მოტივებისა და საქართველოს ისტორიის ქვიშაზე გაცოცხლებით დაიმსახურა. „ნიჭიერის“ ფინალში სულ 93.163 ზარი შევიდა, აქედან ხმათა 28,2 პროცენტი სწორედ ნონა გიუნაშვილმა მიიღო, მეორე ადგილი ჯგუფ „ლურჯ იალქანს“ ერგო, ხოლო მესამე ადგილი 4 წლის მედოლე ლუკა სვანიძემ დაიკავა.

გორელი მხატვარი ამჟამად სკოლაში ასწავლის ხატვას. ის ცაციაა და ქვიშაზე ხატვა არც ისე დიდი ხნის დაიწყო. მას მეუღლე და ორი შვილი – ქალ-ვაჟი ჰყავს. გამარჯვებული თავის სასახლეში საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა პირადად მიიღო.

საზოგადოება შედეგით კმაყოფილი დარჩა, რადგან წელს პირველად, ქართული „ნიჭიერის“ არსებობის ისტორიაში, გამარჯვება არა მომღერალმა, არამედ სხვა სფეროს წარმომადგენელმა მოიპოვა. წინა წლებში „ნიჭიერის“ გამარჯვებულები მომღერლები ლევან შავაძე და ვანო ფიფია გახდნენ, რომლებიც მომღერლები იყვნენ. ხშირად ამის გამო პროექტის ხელმძღვანელობას

ურჩევდნენ, კონკურსანტები პირდაპირ „ჯეოსტარში“ გაეშვათ.

გაგრძელება მე-10 გვერდზე

ფედერაციამ დაადგინა, კლუბები გადაწყვეტენ

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ უმაღლესი ლიგის კლუბებთან შეხვედრა 28 ივნისს დაგეგმა. კლუბების წარმომადგენლებთან ერთად გადაწყდება დამდეგი ეროვნული ჩემპიონატისა და თასის გათამაშების დებულებისა და მართვის პროექტი.



მ ა რ თ ვ ი ს პროექტში მითითებული იქნება სამონაწილეო თანხა. ფედერაციამ კლუბებს უკვე დაუდგინა ტარიფი – 52 000 ლარი. უმაღლეს ლიგაში მონაწილეობისთვის კლუბი გადაიხდის 40.000 ლარს, ხოლო დუბლების ჩემპიონატში თამაშისთვის – 12.000 ლარს.

პროექტი აგრეთვე შეიცავს საპრიზო ფონდის, 2.000.000 ლარის გადანაწილების პრინციპს.

დებულების პროექტში მითითებულია ის წესი, რომელიც გასული სეზონის ბოლოს სკანდალად გადაიქცა – თანაბარი ქულების შემთხვევაში რომელ გუნდს მიენიჭება უპირატესობა. ფედერაციის სურვილია, რომ ასეთ დროს უპირატესობა მიენიჭოს ურთიერთშეხვედრებში ნაჩვენებ შედეგს.

კლუბები ფედერაციის სასარგებლოდ ფულს ლეგიონერების აყვანის შემთხვევაშიც გადაიხდიან – თითო უცხოელი გუნდებს 15.000 ლარი დაუჯდებათ.

ფედერაციამ პროექტი კი გაამზადა – ახლა ჯერი კლუბებზეა.

ჯ. უ.

20 ივნისიდან

უნიკალური პროექტი

„ახალ თაობასთან“ ერთად იყიდება უნიკალური პროექტის „ადამიანები, რომელთაც შეცვალეს მსოფლიო — 100 წიგნი“ 26-ე ტომი

ჯუზეპე ვერდი

„100 წიგნში“ შედის იმ ადამიანთა ბიოგრაფიები, რომელთაც დიდი ჯვარი დატოვეს მსოფლიო პოლიტიკაში, მეცნიერებასა და კულტურაში.



გაზეთი და წიგნი ერთად 8 ლარი

ჯოსვოხდი ა

შვეულად: 1. სამონასტრო კომპლექსი იმერეთში; 2. ბამბის უხეში ქსოვილი, მიტკალი; 3. რაიონული ცენტრი კახეთში; 4. ბურგუნდიული ღვინოების წარმოება, ვაჭრობის ცენტრი საფრანგეთში; 7. ლუდის დასაყენებელი ხის კასრი ფშავ-ხევსურეთში; 9. ვერცხლით დაფარული დანა-ჩანგალი; 12. საკუთარი სახელების შემსწავლელი ენათმეცნიერების ნაწილი; 14. თევზის საჭერი მოწყობილობა; 15. გემოს შეგრძნების უნარის დაკარგვა; 17. ქართული ტელეკომპანია; 20. თანავარსკვლავედის ძველი ქართული სახელწოდება.

თარაზულად: 5. ჰუსართა მუნდირი; 6. მოდური სიმღერა, მუსიკალური ნაწარმოები; 8. მრავალფეროვანი ყვავილი; 10. გუნდური შეჯიბრება მძლეოსნობაში, ცურვაში; 11. დედამიწის თანამგზავრი; 13. უკრაინული ლუდი; 16. საწყლოსნო სპორტის ერთ-ერთი სახეობა; 18. შოკოლადის ხე; 19. შვეიცარიის დედაქალაქი; 21. ქოთანში მზარდი მინიატურული ჩინური დეკორატიული ხე; 22. ინგლისის ფეხბურთელთა გუნდი; 23. ფულის ერთეული მონღოლეთში.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა